პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის— 1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან —80 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ— ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ძვირდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

საქართველოს [illegible]

დ ღ ი უ რ ი

- ჩეხო-სლოვაკიაში 24 საათით გაიფიცა 140.000 მუშა.
- ხარკოვში წყალდიდობამ დაფარა ქალაქის დაბლობი.
- წარმატებით მიმდინარეობს ხელის მოწერა კომუნისტზე.
- რუმინეთის პრემიერი ავერესკუ დანიშნულია ფინანსთა მინისტრად.
- დაიხურა ბაქოს ბაზრობა.

შაბათი, 26 მარტი 1927 წ. | ყოველდღიური გაზეთი | ფასი 5 კაპ. № 67 (1822)

სრ. საქართველოს საბჭოთა მეოთხე ყრილობის დელეგატების საყურადღებოთ

თბილისში ყრილობაზე ჩამოსულმა დელეგატებმა მანდატებისა და ბინების მისაღებად უნდა მიმართონ სამანდატო კომისიას სასახლეში, შაბათს და კვირას.

ორშაბათს, ა. წ. მარტის 28, თბილისში, გაიხსნება

სრ. საქართვ. საბჭ. მე-IV ყრილობა

ყრილობის დღის წესრიგი:

1. ამიერ-კავკასიის მთავრობის მოხსენება.
2) ს.ს.ს.რ. მთავრობის მოხსენება.
3) სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მოხსენება
4) სასოფლო მეურნეობის ამოცანების შესახებ.
5) ს.ს.ს.რ. კონსტიტუცია
6) რესპუბლიკის ორგანოების არჩევნები
7) დელეგატების არჩევა ა.-კავკ. და საკავშირო ყრილობებზე
8) მიმდინარე საკითხები.

თბილისელ და თბილისში ჩამოსულ დელეგატებს მანდატები შეუძლიათ მიიღონ სასახლის კომენდანტურაში ა. წ. მარტის 26-ს დილის 10 საათიდან.

სრულიად საქართველოს ცაკის მდივანი—ს. თოდრია.

„კომუნისტი"
მიიღება ხელის მოწერა
აპრილისათვის
ხელის მოწერა გარდა კანტორისა მიიღება აგრეთვე სპეციალურ რწმუნებულების საშუალებით, რომლებიც აღჭურვილი არიან კანტორის სათანადო მოწმობებით
კანტორა-რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

რა იქნება შემდეგ

კანტონის რევოლიუციონურმა ჯარებმა შანხაის შემდეგ აიღეს ნანკინი. შანხაი - ნანკინის უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობის რკინის გზა კანტონელების ხელშია და ჩინეთის გაერთიანებული რეაქციის ერთი მთავარი მონაწილეთაგანი, შანდუნის მფლობელი ჩან-ძუნ-ჩანი განადგურებულად უნდა ჩაითვალოს. ეს გარემოება ჩანკაიშის გაცილებით უადვილებს ომის წარმატებით წარმოებას. ჩინეთის მილიტარიზმის მეთაურ ჩან-ძო-ლინთან, რომლის აუცილებელ დამარცხებას, ცხადია, მოჰყვება იმპერიალისტების ბატონობის სრული აღმოფხვრაც ჩინეთში.

და აი, იმპერიალისტები უკანასკნელ ღონეს ხმარობენ ასეთი ხვედრის ასაცილებლად. ამ მიზანს ემსახურება ის სისხლიანი პროვოკაცია, რომელიც მათ ნანკინში მოაწყვეს. ამ ქალაქის დაპყრობისათვის ბრძოლის დროს, როცა კანტონელები შედიოდენ შიგ, ხოლო შანდუნელები გარბოდენ, დაჭრილ თუ მოკლულ იქნა რამდენიმე უცხოელი მოქალაქე. ამის საპასუხოთ ნანკინს ინგლისის და ამერიკის სამხედრო გემებიდან მთელი ოცი წუთის განმავლობაში უშენდენ ზარბაზნებს, რასაც მოჰყვა ქალაქის დანგრევა და აუარებელი მსხვერპლი. სარწმუნო წყაროების მიხედვით, უცხოელთა ხსენებული მოკვლა-დაჭრა შედეგი იყო შანდუნელების უთავბოლო სროლის, შანდუნელების, რომელნიც პანიკამ მოიცვა და მძარცველთა ბრბოს უფრო წარმოადგენდენ, ვინემ რეგულიარულ ჯარებს. მაგრამ იმპერიალისტები ამას კანტონელებს აბრალებენ, უკანასკნელთა თავდასხმაზე და მათ მიერ უცხოელთა გაძარცვაზე გაჰკივიან.

იმპერიალისტების მიზანი აშკარაა. ჯერ იყო და ინგლისი, განსაკუთრებით ხანკოუს კონცესიის ჩამორთმევის შემდეგ ყოველნაირ ხრიკს მიმართავდა იმის დასამტკიცებლად, რომ უცხოელ მოქალაქეთ და მათ ქონებას საფრთხე მოელის, თუ კანტონი გაიმარჯვებსო, რათა ამ გზით შეექმნა ყველა იმპერიალისტურ ქვეყნების ერთიანი ფრონტი შეიარაღებული ბრძოლისათვის ჩინეთის რევოლიუციის წინააღმდეგ. დღეს ესევე „ისტორია" მეორდება, და მასში ინგლისთან ერთად ამერიკაც იღებს მონაწილეობას. ინგლის-ამერიკის მოსყიდული პრესა და კორესპონდენტები ათასნაირ ჭორებს თხზავენ კანტონელების სიმხეცეზე და იმ საშიშროებაზე, რომელიც მათგან თითქო მოელით ან უკვე ეწიათ „უდანაშაულო" უცხოელებს. ამგვარად, მუშავდება „საზოგადოებრივი აზრი" ინტერვენციის მოსახდენად.

მაგრამ საეჭვოა ასეთმა პროვოკაციამ გასჭრას. ევროპა-ამერიკის და დანარჩენ ქვეყნების ფართე მასსები გაერკვევიან ნანკინის ამბებში და მათ არ შეუძლიათ აღშფოთება არ გამოსთქვან იმპერიალისტების ველურობის გამო, რომელიც უკანასკნელად ნანკინისათვის ზარბაზნების დაშენაში გამოიხატა; აშკარაა, რომ მასსები ვილიამსების მიერ გადასროლილ ანკესზე არ წამოეგებიან და აქტიურ წინააღმდეგობას გაუწევენ ინტერვენციას. შანხაის პროლეტარიატის და მთელი ჩინეთის ხალხისადმი საყოველთაო თანაგრძნობის პირობებში იმპერიალისტებმა არა გვგონია გაბედონ საერთო ახდილი ბრძოლა ჩინეთის დასამონებლად. კიდეც რომ გაბედონ, ცხადია, ეს ბრძოლა, მათი საბოლოო დამარცხებით გათავდება. იმპერიალისტებს საამისოდ ძალები არ გააჩნიათ. ჩინეთის რევოლიუციამ უკვე მიაღწია იმ საფეხურს, როცა მისი დამარცხება შეუძლებელია. აბა რა ძალა იქნება ისეთი, რომელიც 400 მილიონიან, გამოფხიზლებულ, ბრძოლაში ჩაბმულ ჩინელ ხალხს კვლავ უღელში მოაქცევს.

იმპერიალისტების უახლოეს მიზანს შეადგენს ერთგვარ პრივილეგიების შენარჩუნება შანხაიში, ნანკინში და სხვა ქალაქებში, სადაც უცხოელები ცხოვრობენ. კანტონის მთავრობას, რომელსაც არ სურს სხვა სახელმწიფოებთან დამოკიდებულების გართულება, განზრახვა არა აქვს ძალით დაეუფლოს კონცესიებს. მაგრამ, როგორც ევგ. ჩენი ერთხელ კიდევ აცხადებს, ეს კონცესიები აუცილებლად უნდა დაუბრუნდეს ჩინეთს და დასძენს: ბოიკოტის და გაფიცვის საშუალებით ნაციონალისტებს შეუძლიათ საერთაშორისო უბნიდან უცხოელები გარეკონ თოფის გაუსროლელათ. ასეა თუ ისე, ნანკინის დანგრევით და მსგავსი ნაბიჯებით უცხოელები ვერ მოახერხებენ ძველი მდგომარეობის შენარჩუნებას, პირიქით: ამ გზით ისინი მიაღწევენ თავის ძირ-ფესვიანად აღგვას ჩინეთის მიწაწყლიდან.

ნანკინის „გმირებს" კანტონის მთავრობა, ცხადია, გასცემს სათანადო პასუხს; ამავე დროს ის გააგრძელებს თავის ამოცანის გადაჭრას—ჩრდილოეთის ექსპედიციის მოსპობას. დაპყრობილ პოზიციების განმტკიცების შემდეგ მისი ჯარები ერთი მხრით შეუტევენ ნანკინ-პეკინის მიმართულებით, მეორე მხრით ხენან-პეკინის მიმართულებით. კანტონის მიერ პეკინის დაპყრობის შემდეგ. იმპერიალისტები საბოლოოდ გახდებიან იძულებულნი აღიარონ თავისი დამარცხება და სცნონ კანტონის მთავრობა სრულიად ჩინეთის ერთად-ერთ მთავრობათ.

კანტონის საბოლოო გამარჯვება უზრუნველყოფილი იქნება, თუ გომინდანმა მოახერხა ზურგის გამაგრება. ახალი სახელმწიფოებრივი წყობილების დამკვიდრება, მუშათა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, გლეხობის საკითხის გადაჭრა საერთოდ რადიკალური სოციალური რეფორმები— აი რა გზით შესძლებს ის თავის გარშემო მშრომელ მასსების შემდეგშიც დატოვებას და მათი ახალ ფენების შემოკრებას. ამ მასსების აქტიური დახმარება იყო მთავარი მიზეზი კანტონის გამარჯვებისა დღემდე, ესევე იქნება უტყუარი საწინდარი მისი შემდგომი გამარჯვებისა შინაურ და გარეშე მტრებზე.

წარმოების ტექნიკისა და ორგანიზაციის გაუმჯობესება

(პრავდა"-ს მოწინავე წერილი)

საბჭოთა კავშირის წარმოების რაციონალიზაცია წარმოადგენს ერთ-ერთ უძლიერეს ბერკეტს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოციალისტურ საფუძვლებზე ჩვენი მეურნეობის გადაკეთების ამოცანების განხორციელებაში.

აღორძინებითი პერიოდი დასრულებისა და ძირითადი კაპიტალის გამოუყენებელი რეზერვების ამოწურვის შემდეგ, ჩვენი მრეწველობის შემდგომი განვითარება შესაძლებელია მხოლოდ კაპიტალური ხარჯების მიზანშეწონილი მიმართვითა და გამოყენებით მაღალი ტექნიკური ბაზის შესაქმნელად მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების საფუძველზე.

ლენინი არა ერთხელ აღნიშნავდა, რომ „თუ არ გადავიყვანთ რუსეთს სხვა, უფრო მაღალ ტექნიკაზე, წინანდელთან შედარებით, ზედმეტია ლაპარაკი სახალხო მეურნეობის აღდგენაზე, კომუნიზმზე". აი ამიტომ უნდა მიაქციონ მუშათა კლასის ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება წარმოების ტექნიკისა და ორგანიზაციის გაუმჯობესებას, მათი გადამწყვეტი მნიშვნელობის გათვალისწინებით სოციალისტური მშენებლობის საქმეში. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს წარმოების რაციონალიზაციის საკითხზე პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ გამოტანილ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა პრაქტიკულ გატარებას ცხოვრებაში.

ჩვენი შემდეგი წინსვლა ინდუსტრიის განვითარების, სახალხო მეურნეობის განმტკიცების და გლეხობასთან მუშათა კლასის კავშირის გაძლიერების გზაზე შეუძლებელია ნაყოფიერი მუშაობის გარეშე წარმოების ტექნიკისა და ორგანიზაციის გაუმჯობესების დარგში, რომ აღარ ვილაპარაკოთ იმაზე, რომ ყოველგვარი შეფერხება წარმოების სარაციონალიზაციო ღონისძიებათა გატარებაში აუცილებლივ იმოქმედებს მუშათა კლასის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზედაც. ღონისძიებები, რომლებსაც ჩვენ ვატარებთ წარმოების რაციონალიზაციისა და წარმოების გაფართოვების დარგში, ძირითადათ განირჩევიან კაპიტალისტური რაციონალიზაციისაგან. იმ დროს, როდესაც მათი რაციონალიზაცია, როგორც წესი, გულისხმობს სამუშაო დღის გადიდებას, უმუშევრობის ზრდას და მუშათა კლასის საცხოვრებელი დონის დაქვეითებას,—ჩვენს მიერ უკანასკნელ წლებში ამ დარგში გატარებულ ღონისძიებებს თან სდევდა მუშების რიცხვის სისტემატიური ზრდა წარმოებაში და ამავე დროს რეალური სამუშაო ხელფასის გადიდება.

არასაკმაო ყურადღებამ ამ საკითხებისადმი ჩვენს პროფესიონალურ, პარტიულ და, აგრეთვე, სამეურნეო ორგანიზაციების მხრივ, დღემდე არ მოგვცა რამოდენიმედ მნიშვნელოვანი მიღწევები პროდუქციის თვითღირებულების დაკლებისა და მათი ღირსების გაუმჯობესების დარგში. ამიტომ ჩვენმა სამეურნეო, პროფესიონალურმა და პარტიულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ გადამწყვეტ ბრძოლას იმ ნაკლულოვანებების წინააღმდეგ, რომლებიც დაწვრილებით დახასიათებული არიან ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში.

რაციონალიზაციის დარგში ჩვენი შემდეგი მუშაობის დროს პირველ ადგილზე უნდა დავაყენოთ მრეწველობის ორგანიზაციისა და მმართველობის რაც შეიძლება რაციონალური აგება, წარმოების ტექნიკის გაუმჯობესება, ხელსაყრელი პირობების შექმნა გამომგონებლობისათვის და მუშებისა და საინჟინერო-ტექნიკური პერსონალის ცოდნისა და შემოქმედებითი ინიციატივის გამოყენება, სამეცნიერო-ტექნიკურ დაწესებულებათა მუშაობის შეთანხმებით წარმოების საჭიროებასა და პრაქტიკულ მუშაობასთან.

ამასთან ერთად საჭიროა გეგმიანი მუშაობისა და გეგმიანი დისციპლინის გაძლიერება კაპიტალური ხარჯების გაწევის დროს, ამ ხარჯების უმიზნო გაბნევისგან მორიდებით. წარმოების სპეციალიზაციასა, ნაწარმოებთა სტანდარტიზაციისა და მასიურ წარმოებაზე გადასვლასთან ერთად, სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს თბოძალოვანი მეურნეობისა და შინასაქარხნო ტრანსპორტის გაუმჯობესებას.

ყოველგვარი შეფერხება ამ ღონისძიებათა გატარებაში აუცილებლივ შეანელებს როგორც მუშათა მდგომარეობის შემდეგი გაუმჯობესების, ისე გლეხობასთან მჭიდრო კავშირის გაბმის ტემპს.

მხოლოდ მუშების და მათი ავანგარდის —პროფკავშირებისა და პარტიული ორგანიზაციების აქტიური დახმარებით, ეს ღონისძიებები, რომლებსაც ატარებს საბჭოთა სახელმწიფო, გამოიღებენ სათანადო ნაყოფს პროდუქციის თვითღირებულების დაკლებისა და მათი ღირსების გაუმჯობესების დარგში. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მუშათა ფართე მასების ჩაბმას ამ მუშაობაში, რისთვისაც გაძლიერებულ უნდა იქნან საწარმოო თათბირები და ამ საქმეში ჩაბმულ იქნას მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა.

მოსკოვი, 25 მარტი.

ინგლისელ იმპერიალისტების პროვოკაცია ნანკინში

შანხაის პროფსაბჭომ შესწყვიტა გაფიცვა.—ინგლისელები ამაგრებენ შანხაის უცხოელთა უბანს

პანიკა მილიტარისტებს შორის პეკინში.- კანტონის ჯარები განაგრძობენ წინსვლას

კანტონის არმია განაგრძობს წინსვლას

პანიკა მილიტარისტების ბანაკში

იმპერიალისტების პროვოკაცია

ამერიკის „ნეიტრალიტეტი".

ნიუ-იორკი, 24 მარტი. შანხაიდან მიღებულ ცნობით, ინგლისელებმა წინადადება მისცეს ამერიკელებს მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო უბნის დაცვაში, რომელსაც თითქოს საფრთხე მოელის ჩინელების მხრივ. ამის გამო ამერიკელ მეზღვაურთა რაზმი შეუერთდა ინგლისის ჯარებს, რომლებიც დაბანაკებული არიან საერთაშორისო უბნის საზღვარზე.

როგორც სჩანს, ამ შემთხვევაში ინგლისელები მიზნად ისახავენ ჩაბან ამერიკელები ინგლის-ჩინეთის შესაძლო კონფლიქტში, მიუხედავად იმისა, რომ წინად აცხადებდენ, თითქოს ამერიკელები გამოყენებულ იქნებიან მხოლოდ ქვეყნის შიგნით წესრიგის დასაცავად (ადს).

ინგლისის ოფიციალური რადიო

ლონდონი, 24 მარტი. ინგლისის ოფიციალური რადიო იტყობინება: „ნანკინში, რომელიც კანტონის ჯარებმა დაიკავეს, მეტად გართულებული მდგომარეობა შეიქმნა. გაზეთების ცნობით, უცხოელების მცირე ჯგუფს, რომელიც თავმოყრილი იყო გორაკზე ნავთსადგურის მახლობლად, სროლა აუტეხეს კანტონელების არარეგულიარულმა ჯარებმა. ინგლის. და ამერიკის სამხედრო გემებმა სროლა ასტეხეს ზარბაზნებიდან, მათ ისარგებლეს ყუმბარების ცეცხლით, გადმოსხეს რამდენიმე რაზმი, რომელთა დახმარებით გაიყვანეს უცხოელები. უცხოელების ცოლების და ბავშვების დიდი ნაწილი ნანკინიდან უკვე მოსული იყო, სანამ ქალაქს სამხრეთის ჯარები დაიკავებდენ, დანარჩენები კი, გარდა ქალაქის ჩინურ ნაწილში დარჩენილებისა, თავმოყრილ არიან შენობებში სანაპირო ქუჩაზე, სადაც მათ მფარველობა გაეწიათ". (ადს).

ინგლისის პროვოკაცია

შანხაი, 24 მარტი. უცხოეთის ჯარების დამოკიდებულება გომინდანის ხელისუფლებისადმი ხშირად აშკარა პროვოკაციულ ხასიათს ატარებს. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტი პროვინციალურ მთავრობის წევრთან ერთად ავტომობილით მიდიოდა ჩინური ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილიდან, სამხრეთ ნაწილში და უნდა გაევლო საერთაშორისო უბნის ტერიტორიაზე. ხიდზე, რომელზედაც იდგა ტყვიის მფრქვეველი, ინგლისელმა ოფიცერმა ავტომობილიდან თავხედურად მოგლიჯა გომინდანის დროშა და ჩააგდო ის ტალახში. მთავრობის წარმომადგენელმა, რომელიც ავტომობილში იჯდა არაფერი არ უთხრა ოფიცერს, მაგრამ შემდეგ შენიშნა: **„ჩვენ მოვიგონებთ ამას, თუმცა ოფიცერის მოქმედება ამტკიცებს, არა მარტო მის თავხედობას, არამედ მის სისულელესაც"**

როგორ სურს ამირბარს

ვაშინგტონი, 25 მარტი. „ვაშინგტონ პოსტი" იტყობინება, რომ კელლოგთან თათბირის შემდეგ ჩ.—ა. შ. შტატების სამხედრო მინისტრმა ვილბურმა განაცხადა: შეერთებული შტატების ჩინეთში გაგზავნილ საზღვაო-სამხედრო ჯარების სარდალს, ამირბარ ვილიამს მიცემული აქვს რწმუნებანი იმოქმედოს ჩინეთში თავის მოსაზრებებით და მთავრობაც მხარს დაუჭერს იმ ზომებს, რომელთა მიღებასაც განიზრახავს ვილიამსი. (ადს).

ადმირალ ვილიამსის პროვოკაციული დეპეშა

ვაშინგტონი, 24 მარტი. ჩინეთში მყოფ შეერთებულ შტატების სამხედრო საზღვაო ძალების სარდლის ადმირალ ვილიამსის დეპეშაში ნანკინში მომხდარ ამბების შესახებ ნათქვამია შემდეგი: „ნაციონალისტები თავს დაესხენ უცხოელებს, რომლებიც თავმოყრილი იყვნენ საევაკუაციოდ. ამერიკის და ინგლისის სამხედრო გემების ზარბაზნებმა ყუმბარები დაუშინეს ჩინელებს. ნაციონალისტებმა დაარბიეს ამერიკის, ინგლისის და იაპონიის საკონსულოები, დასჭრეს ინგლისის კონსული და, ხმებია, რომ მოჰკლეს იაპონიის კონსული. მოკლულია რამდენიმე ამერიკელი მოქალაქე და რამდენიმეც დაჭრილია. ინგლისელმა და ამერიკელმა ოფიცრებმა ინგლისის სამხედრო გემზე მოიყვანეს ჩინელი თანამდებობის პირები და წარუდგინეს მათ შემდეგი მოთხოვნილებები: დაუყოვნებლივ უნდა მოეწყოს უცხოელების და მათი ქონების დაცვა, ნაციონალური ჯარების სარდალი უნდა გამოცხადდეს გემზე არა უგვიანეს საღამოს 11 საათისა უცხოელებზე თავდასხმის გარშემო მოსალაპარაკებლად, ნანკინში მყოფი ყველა უცხოელები მცველების თანხლებით ნაპირზე უნდა იქნენ მოყვანილი".

ინგლის-ამერიკის ულტიმატუმი ნანკინისათვის ყუმბარების დაშენის განახლებით იმუქრება, თუ წარდგენილი მოთხოვნილებები არ იქნა დაკმაყოფილებული. (ადს).

ადმირალი ვილიამსი

შეერთებული შტატების ყველა სამხედრო ძალების უფროსი ჩინეთში

ფრონტზე

შანდუნის ჯარების ფრონტის და შლა

შანხაი, 24 მარტი. ჩინეთის ყველა გაზეთები იუწყებიან შანდუნის ჯარების ფრონტის სავსებით დაშლის შესახებ.

იტყობინებიან აგრეთვე, რომ **მუკდენის ჯარებმა სასტიკი დამარცხება განიცადეს ხენანის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში, სადაც ინ-ვეი-ჩინის ჯარებმა დაიკავეს კაიფინი. ჩინ-იუნ-ასის ჯარები უტევენ ჩენ-ჯოუს, რომლის დაცემას მახლობელ დღეებში მოელიან.**

ცნობამ, შანდუნის და მუკდენის ჯარების დამარცხების შესახებ პეკინში დიდი პანიკა გამოიწვია.

ჩინეთის პრესა აღნიშნავს, რომ **შანდუნის ჯარები უკვე არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენენ ნაციონალურ არმიისათვის და ეხლა შანდუნის ჯარების ბედი მოელის მუკდენის ჯარებსაც.**

სამხედრო წრეები ნანკინის აღების შესახებ

მოსკოვი, 25 მარტი. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს ავტორიტეტულ სამხედრო წრეებში ეროვნულ-რევოლიუციონური არმიის მიერ ნანკინის აღების შესახებ მისცეს შემდეგი შეფასება:

„ნანკინის აღებით თავდება ეროვნულ-რევოლიუციონური ჯარების ოპერაციები ჩან-ცზუნ-ჩანის წინააღმდეგ შანხაი-ნანკინის ფრონტზე. ნანკინ-შანხაის მთელი რკინის-გზის ხაზი, რომელსაც დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, სავსებით სამხრეთელების ხელშია; მათ ხელშია აგრეთვე მდ. იან-ცზის მთელი დაბლობი მიდამო. სამხრეთის ჯარების სარდლობის წინაშე ეხლა სდგას ამოცანა ერთი მხრით, ცზიან-სუს მთელი პროვინციის გაწმენდა ჩჟან-ცზუნ-ჩანის ჯარების ნაშთებისაგან და მეორეს მხრით, ძირითადი ძალების ნანკინ - შანხაის ფრონტიდან მიმართვა სიუი-ჩჟოუს რკინისგზის კვანძისაკენ, რომელიც პროვინცია ცზიან-სუს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს.

ნანკინის დაცემას უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. სამხრეთის ჯარებს ან-ხოის ჩრდილოეთ-ნაწილში აღარ ყავთ ეხლა სერიოზული მოწინააღმდეგე და შედარებით ადვილად შეუძლიათ დაიკავონ მთელი პროვინცია ან-ხოი. მაგრამ სამხრეთელი ჯარების გამოსვლა პროვინცია ან-ხოის ჩრდილო ნაწილში მეტად სერიოზულ საფრთხეს ქმნის ჩან-ძო-ლინის საექსპედიციო კორპუსებისათვის, რომლენიც ხენანში არიან თავმოყრილნი. ეხლა უკვე კატეგორიულად შეიძლება ითქვას, რომ ჩან-ძო-ლინი არამც თუ განაგრძობს წინსვლას ხენანში, არამედ სამხრეთელების ჯარების შემდგომ წარმატებათა გამო იგი იძულებული იქნება პროვინცია ჩჟილში დააბრუნოს უკან ჩრდილოეთ ხენანში გადაგზავნილი ჯარები და შეეცადოს შეაჩეროს სამხრეთელების შეტევა ჩრდილოეთში. (ადს)

მდგომარეობა შანხაიში

შანხაის შეიარაღებულ ძალთა რეორგანიზაცია

შანხაი, 24 მარტი. ჩინეთის გაზეთების ცნობით, ნაციონალური არმიის იმ ჯგუფის სარდალმა, რომელმაც დაიკავა შანხაი, ბაი-სუნ-ჩიმ დაიწყო მუშაობა შანხაის შეიარაღებულ ძალების გაერთიანებისა და რეორგანიზაციისათვის. ბაი-სუნ-ჩიმ პროფესიონალურ კავშირებს განუცხადა, რომ შეიარაღებულ მუშათა რაზმების დატოვება ნებადართული იქნება იმ პირობით, თუ პასუხისმგებლობას მათი მოქმედებისათვის თავის თავზე მიიღებენ კავშირები. (ადს)

უცხოეთის კონსულების დარბაზობა

შანხაი, 24 მარტი. უკანასკნელ ორი დღის განმავლობაში უცხოეთის კონსულების უმრავლესობამ ინახულა ნაციონალური არმიის იმ ჯგუფის სარდალი, რომელმაც დაიკავა შანხაი, ბაი-ბუნ-ჩი.

საომარი მზადება საერთაშორისო უბანში.

შანხაი, 24 მარტი. მიუხედავად წვიმიანი ამინდისა, შანხაის ჩინურ ნაწილში დემონსტრაციები განუწყვეტლივ გრძელდება. ქალაქი თანდათან ნორმალურ ხასიათს ღებულობს.

იმ დროს, როცა შანხაის ჩინურ ნაწილში თანდათან მყარდება მშვიდობიანობა, საერთაშორისო უბანში გრძელდება საომარი მზადება. საერთაშორისო უბნის მთელ ჩრდილოეთ ნაწილში აგებულია ბარიკადები ტყვიისმფრქვევლებით. ერთი ასეთი ბარიკადა აგებულია საბჭოთა საკონსულოს პირდაპირ. ქალაქის ჩინური ნაწილის ჩრდილოეთ რაიონებში მცხოვრები უცხოელები სტოვებენ ამ რაიონებს. მუნიციპალური საბჭო ცდილობს შექმნას ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს მოელის იერიშებს უცხოეთის კონცესიების ტერიტორიის წინააღმდეგ და ამ მიზნით აშენებს თავდაცვის ახალ ხაზებს.

ამჟამად საერთაშორისო უბანში და საფრანგეთის კონცესიაზე დაბანაკებულ ჯარის რიცხვი 20.000 კაცამდე აღწევს. ჯარების უმრავლესობა ინგლისელებისაგან შესდგება (ადს).

შანხაიში ცხოვრება ნორმალურ ხასიათს ღებულობს.

შანხაი, 24 მარტი. პროფკავშირების საბჭოს ცნობასთან დაკავშირებით, გაფიცვის შეწყვეტის შესახებ, წარმოებებში მუშაობა თანდათან ძველ კალაპოტში დგება. მაღაზიების უმრავლესობა უკვე გაღებულია. განახლდა საავტომობილო მიმოსვლა. შანხაიში ცხოვრება თანდათან ნორმალურ ხასიათს ღებულობს (ადს).

შანხაის საბჭოს ცნობა.

შანხაი, 24 მარტი. შანხაის პროფკავშირთა საბჭომ გამოაქვეყნა ცნობა გაფიცვის დამთავრების შესახებ ცნობაში ნათქვამია, რომ შანხაის მთავრობამ პირობა დასდო, რომ შეასრულებს მუშების ყველა მოთხოვნილებებს, რომელთა განხორციელების შესახებ წინად ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა.

დასასრულ, პროფკავშირთა საბჭო მოუწოდებს მასებს მზად იყვნენ იმ შემთხვევისათვის, თუ საჭირო გახდება კლასობრივი ბრძოლის განგრძობა (ადს).

შანხაიში წესიერებაა

ლონდონი, 25 მარტი. რეიტერის სააგენტო იუწყება: „თემთა პალატის სხდომაზე ჩემბერლენმა გააკეთა განცხადება ინგლისის, საფრანგეთის, იაპონიის გენერალურ კონსულებისა და შანხაიში მყოფ უცხოელთა ოფიციალურ წარმომადგენლების შეხვედრის შესახებ კანტონის ჯარების სარდალთან. ჩემბერლენმა, განაცხადა, რომ კანტონის ჯარების სარდალს თავი ეჭირა მეტად ზომიერად და წინდახედულათ. ჯარების სარდალმა აიღო თავზე პასუხისმგებლობა შანხაიში წესრიგის დაცვის შესახებ და სთქვა, რომ იგი მიიღებს ზომებს იმ ორგანიზაციების სალიკვიდაციოთ, რომლებიც მოქმედებენ ეროვნული მთავრობის სახელით, ხოლო სამისო რწმუნებანი კი არა აქვთ.

შემდეგ ჩემბერლენმა განაგრძო, რომ შანხაიში მყოფ ინგლისის გენერალური კონსულის ცნობით, შანხაის მუშათა ზოგიერთი წრეების პოზიცია გამოურკვეველია, მაგრამ მიუხედავათ ამისა ქალაქში მაინცაა დაცული წესიერება". ადს).

როგორ აიღეს ნანკინი

დაწვრილებითი ცნობები

შანხაი, 24 მარტი. როგორ ვითარდებოდენ ამბები ნანკინში, ჯერ არ არის გამორკვეული. ჩინურ წყაროებიდან ცნობები არ არის, ხოლო უცხოელების ცნობები ერთი მეორეს ეწინააღმდეგებიან. მაგრამ საკმაოდ სარწმუნო ცნობების მიხედვით, მდგომარეობა დაახლოებით შემდეგნაირად შეიძლება დახასიათდეს:

ნაციონალურმა ჯარებმა დაიკავეს ნანკინის გემთ-სადგომი სიაგუანი, რითაც შანდუნელებს იან-ცზი-ცზიანზე გადასვლის საშუალება მოუსპეს. ამ დროს ნანკინში დარჩენილმა უცხოელებმა, უმთავრესად, ინგლისელებმა და ამერიკელებმა თავი მოიყარეს შაჩჟანის გორაკზე, რომელიც დაახლოებით ორი კილომეტრით არის დაშორებული სიაგუანიდან აღმოსავლეთით. უცხლოელებსაც არ ჰქონდა მდინარეზე გადასვლის საშუალება, რადგან ნავთსადგურისაკენ მიმავალ გზაზე იმყოფებოდენ შანდუნის ჯარების ნაწილები, ხოლო თვით ნავსადგური უკვე სამხრეთის ჯარების ხელში იყო. გორაკის მეორე მხარეზედაც იყვენ შანდუნელები, რომლებიც ცდილობდენ ნავთსადგურში შეჭრას. ამრიგად შაჩჟანის გორაკი ორი მხრით იყო ალყაშემორტყმული: პირველი ალყა შექმნეს შანდუნელებმა, მეორე—სამხრეთის ჯარებმა, რომლებიც გარსშემორტყენ შანდუნის ჯარებს. **სავსებით გახრწნილი შანდუნის ჯარები, რომლებიც მანამდე ქალაქს ძარცვავდენ, პანიკამ მოიცვა, მათ ასტეხეს უთავბოლო სროლა. შემთხვევით გასროლილი ტყვიებით გორაკზე მოკლულ იქნა ერთი ინგლისელი და დაიჭრა ინგლისის კონსული.** როცა ეს გაიგეს, ინგლისის და ამერიკის სამხედრო გემებმა სროლა ასტეხეს ექვს დიუმიან ზარბაზნებიდან და გადმოსხეს საზღვაო ქვეითა ჯარების რაზმები, რომ გაენთავისუფლებიათ ალყაში მომწყვდეული უცხოელები, რომლებიც შაჩჟანის გორაკს აფარებდენ თავს. ჩინელებმაც ცეცხლით უპასუხეს სამხედრო გემებიდან ატეხილ სროლას და დასჭრეს რამდენიმე უცხოელი. **გემებიდან ყუმბარების დაშენის გამო ნანკინი დანგრეულია და იწვის.** რამდენიმე ათეული უცხოელი გამოიყვანეს ქალაქიდან და გადასხეს სამხედრო გემებზე. ამჟამად ნანკინში სასწრაფოდ გაგზავნეს დამატებითი სამხედრო გემები შანხაიდან და მანილიდან. ნანკინისათვის ყუმბარების დაშენა დაიწყო ხუთშაბათს საღამოს დაახლოებით 5 საათზე შანდუნის დროით. (ადს).

მოწოდება დამმობილებისაკენ

პარიზი, 24 მარტი. კომპარტიის მიერ მოწვეულ საპროტესტო მიტინგს ახალ სამხედრო კანონების წინააღმდეგ, დაესწრო 15.000 კაცი.

მხურვალე ოვაციებით და ინტერნაციონალის სიმღერით შეხვდენ გომინდანის წარმომადგენლის ჩოა-ტანის სიტყვას. მიტინგმა გომინდანს გაუგზავნა მისასალმებელი დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია:

„56 წლის შემდეგ პარიზის კომუნის დღიდან და 10 წლის შემდეგ რუსეთის რევოლიუციის დღიდან ჩინეთის კომუნა ახალ ეტაპს წარმოშობს მსოფლიო რევოლიუციის განვითარების ისტორიაში. ჩვენ მოუწოდებთ ფრანგ ჯარისკაცებს და მეზღვაურებს, რომ დაუძმობილდენ ჩინელ ამხანაგებს". (ადს)

პოლონეთის მემაღაროეთა ბრძოლა

პოლონეთის მაღაროს მეპატრონეთა მოთხოვნილებანი

ვარშავა, 24 მარტი. პოლონეთის მემაღაროენი აღშფოთებული არიან მაღაროს მეპატრონეთა მოთხოვნილებებით სამუშაო ხელფასის შემცირების შესახებ კოლექტიურ ხელშეკრულებათა ხელახლად დადებასთან დაკავშირებით. მემაღაროეთა კონფერენციის დელეგაციამ გამოიტანა დადგენილება, რომელიც **მოუწოდებს** გაფიცვისაკენ, თუ მწარმოებელნი ხელს არ აიღებენ თავიანთ პროვოკაციულ და უსირცხვილო მოთხოვნილებებზე. (ადს)

საფრანგეთ-რუმინეთის

დემონსტრაცია

ვენა, 25 მარტი. რუმინეთში ჩამოსულ საფრანგეთის ესკადრის საპატივცემოთ შესდგა რუმინეთის პარლამენტის საზეიმო სხდომა, სადაც წარმოთქმულ იქნა მრავალი მისასალმებელი სიტყვები ესკადრისადმი. (ადს).

პატარა მუსოლინი

ვენა, 25 მარტი. რუმინეთის მეფის დეკრეტით, რუმინეთის მთავრობის პრემიერი ავერესკუ დანიშნულია ფინანსთა მინისტრათაც. პოლიტიკურ წრეებში ამ დანიშვნას დიდ მნიშვნელობას აძლევენ და მას სთვლიან, როგორც ლიბერალიზმის მარცხს. (ადს).

გაფიცვა პროტესტის

ნიშნად

პრაღა, 25 მარტი. ჩეხო-სლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იტყობინება, რომ დაიწყო მემაღაროეთა 24 საათიანი გაფიცვა მთავრობის მიერ გამომუშავებულ მემაღაროეთა სოც. დაზღვევის სალაროების რეორგანიზაციის პროექტის საპროტესტოდ. გაფიცვას შეუერთდენ მაღაროების რაიონში მდებარე მეტალურგიული ქარხნების მუშები. გაფიცვაში მონაწილეობას იღებს 140.000 მუშა.

იტალია სამხრეთ-სლავიის კონფლიქტი

ინგლისი „არიგებს" იტალია-სამხრეთ-სლავიას.

ვენა, 25 მარტი. ინგლისის ელჩმა სამხრეთ-სლავიაში **კენარდმა** და იტალიის ელჩმა **ბორდრერომ** კვლავ ინახულეს სამხრეთ-სლავიის გარეშე საქმეთა მინისტრი **პერიჩი,** რომელსაც წინადადება მისცეს, რომ იტალია-სამხრეთ-სლავიის კონფლიქტის მოგვარების მიზნით, სამხრეთ-სლავიის შეიარაღების გამომრკვევ სამხედრო კომისიაში შეყვანილ იქნენ იმ სახელმწიფოების წარმომადგენლები, რომლებიც მონაწილეობენ ელჩთა კონფერენციაზე (ინგლისი, საფრანგეთი, იტალია და იაპონია). კენარდის წინადადება ეწინააღმდეგება სამხრეთ-სლავიის სურვილს, რომ ერთა ლიგის სახელით გარდა სამხრეთ-სლავიისა გამოკვლეულ იქნეს აგრეთვე იტალიის და ალბანეთის შეიარაღებაც. (ადს).

ჩემბერლენის რჩევა

პრაღა, 25 მარტი. დეპუტატთა პალატაში შეტანილ შეკითხვაზე ჩემბერლენმა უპასუხა, რომ ინგლისის მთავრობა სცდილობს იმ უკმაყოფილების აღმოფხვრას, რომელიც არსებობს სამხრეთ-სლავიასა და იტალიას შორის, და ამიტომ მან ურჩია ორივე სახელმწიფოთა მთავრობებს და მათ წარმომადგენლებს ლონდონში, დაიცვან ზომიერება".

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

დნეპრის ჰიდროსადგური

მოსკოვი, 25 მარტი. დნეპრის ჰიდროსადგურის ასაგებ ადგილას სწარმოებს მუშაობა დროებითი ელექტროსადგურის მოსაწყობად და მისადგომ გზების გასაყვანად. ახლო მომავალში სადგურის ამგები ინჟინერი ვინტერი მიემგზავრება საზღვარგარეთ მოწყობილობის შესაკვეთად (ადს).

ყინულის გაღნობა მდინარეებზე

მოსკოვი, 25 მარტი. მდინარეები დნეპრი, დესნა, ბუგი, ინგული და ვოლგის შესართავი განთავისუფლდენ ყინულისაგან. იწყება ნაოსნობა. მდინარე ოკაზე, კამაზე, ვიატკაზე და ვოლგის სათავეში ყინულის გაღნობა დაიწყება აპრილის შუა რიცხვებში (ადს).

ჰიდროელსადგური ჩრდ. კარელიაში

ლენინგრადი, 25 მარტი. ჩრდ. კარელიაში დაიწყო 6.000 ცხენის ძალის ჰიდრო-ელექტრო სადგურის აგება. სადგურის ღირებულება 17,5 მილ. მან. უდრის. სადგური შენდება იმ რაიონში, რომელიც მდიდარია სპილენძით, რკინით, მარმარილოთი და სხ. მადნეულით (ადს).

ახალ სატელეგრაფო აპარატების გამოცდა.

მოსკოვი, 25 მარტი. დამთავრდა ექვსი სატელეგრაფო აპარატის ერთდროულად გადაცემისა და აგრეთვე ერთი სატელეფონო აპარატის ერთი მავთულით გადაცემის გამოცდა. გამოცდა ბრწყინვალედ ჩატარდა. აპარატები პირველ რიგში გამოყენებული იქნება ლენინგრად-მოსკოვის ხაზზე (ადს).

წყალდიდობა ხარკოვში.

მოსკოვი, 25 მარტი. 23 მარტს ხარკოვში დაიწყო წყალდიდობა. წყალმა გადმოხეთქა ქალაქის დაბლობ ნაწილში. ზოგიერთ ადგილებში სახლები დაფარულია წყალით (ადს).

ფასების შემცირება.

მოსკოვი, 25 მარტი. საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ გადასწყვიტა მაუდის ქსოვილზე დაუკლოს ფასები 10 პროცენტით და კამვოლის ქსოვილზე კი—5 პროცენტით (ადს).

ყოფილ მემამულეთა ქონება.

მოსკოვი, 25 მარტი. რუს. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა, რომ გადასახლებისაგან განთავისუფლებულ ყოფილ მემამულეთა ქონება, თუ იგი საკუთარი შრომით იყო შეძენილი 1918 წ. 19 თებერვლის შემდეგ, ცნობილია მათ საკუთრებად და არ უნდა იქნას ჩამორთმეული.

1918 წელში ნაციონალიზაციაქმნილი ქონება, თუ იგი აუცილებელია მეურნეობის გაძღოლისათვის, არ უნდა იქნას ჩამორთმეული. თუ ეს ქონება აღემატება მეურნეობის გაძღოლისა და ცხოვრებისათვის საჭირო ნორმალურ მოთხოვნილებას, ზედმეტი ნაწილი შეიძლება იქნას ჩამორთმეული.

ამ ზომის ცხოვრებაში გასატარებლად აღმასკომებთან შეიქმნება სპეციალური კომისიები (ადს).

ქონება, რომელსაც არ ხდება გადასახადის ნარჩენი.

მოსკოვი, 25 მარტი. რუს. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომ. საბჭ. დაამტკიცა იმ ქონების სია, რომელთაც არ შეიძლება გადახდეს საგადასახადო ნარჩენი. ამ სიაში შედიან: სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო დაწესებულებათაგანი, გლეხების მიერ მიღებული კრედიტი, გლეხთა ცოცხალი და მკვდარი ინვენტარი, საქონლის საკვები, საცხოვრებელი და სამეურნეო შენობები, თესლი და სხვ. (ადს).

აზერბეიჯანის საბჭოთა ყრილობა

ბაქო, 25 მარტი. სრ. აზერბეიჯანის საბჭოთა ყრილობის საღამოს სხდომაზე კონფერენციას მიესალმა საბჭოთა-სავაჭრო მოსამსახურეთა დელეგაცია, რომელმაც განაცხადა, რომ საბჭოთა-სავაჭრო მოსამსახურეთა კავშირი შეასრულებს ყრილობის მიერ დაკისრებულ ძირითად ამოცანას—ფასების შემცირებას. მისალმების შემდეგ დაიწყო კამათი ამხ. ბუნიატ-ზადეს მოხსენების (სასოფლო მეურნეობის შესახებ) გარშემო. კამათში ჩაეწერა 150 დელეგატი. ჩაწერილთა შორის გლეხების გარდა, არიან მეცნიერების წარმომადგენელნი — პროფესორები — ლებედევი, კალუგინი, ფიგუროვსკი და მთელი რიგი სხვა სპეციალისტები. საღამოს სხდომაზე გამოვიდა მხოლოდ 4 ორატორი.

პროფესორი ლებედევი, რომელსაც მხურვალე ტაშით შეხვდენ, შეეხო საცდელი საქმის დაყენების საკითხს და აღნიშნა, რომ აზერბეიჯანში არის მეტად საინტერესო კულტურული მცენარეები, რომელთა გამოცდამ გვიჩვენა, რომ ისინი არ ჩამოუვარდებიან საზღვარგარეთის პირველხარისხოვან ჯიშებს.

„სანამ ჩვენ არ დავამთავრებთ იმ სამუშაოებს,—განაცხადა პროფ. ლებედევმა, — რომელნიც დაწყებულია, და არ განვახორციელებთ ღონისძიებებს საცდელი მუშაობის დარგში, ჩვენ ვერ წავსწევთ წინ ჩვენს სასოფლო მეურნეობას. ყოველივე, რაც გამოკვლეულია, კიდევ უნდა გამოვცადოთ, და ეს შეიძლება მოვახდინოთ მხოლოდ მუდმივ საცდელ სადგურებში. თუ ჩვენ ეხლა გვაქვს 10 საცდელი სადგური, მათი რიცხვი უნდა გავადიდოთ 20-მდე და მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ საცდელი მუშაობის გაუმჯობესება მოითხოვს კარგად მომზადებულ სპეციალისტ-აგრონომების კადრს. სწორედ ამ კადრის შექმნას უნდა შევეცადოთ ადგილობრივ. აქ ლაპარაკობდენ, რომ ჩვენი სასოფლო-სამეურნეო განათლების საქმე ვერ არის რიგიანად დაყენებული. ამის მიზეზი არის ის გარემოება, რომ ჩვენი ლაბორატორიები და კაბინეტები არ არის კარგად მოწყობილი. ჩვენი სასოფლო-სამეურნეო სკოლების გაძლიერება წარმოადგენს პირველხარისხოვან ამოცანას. მხოლოდ სკოლებთან ერთად შევსძლებთ საცდელ-გამოკვლევით საქმის გაუმჯობესებას, რითაც გაიზრდება აზერბეიჯანის სასოფლო მეურნეობის ნაყოფიერება და სწრაფი ნაბიჯებით წავა წინ".

პროფესორმა კალუგინმა, რომელსაც აგრეთვე ტაშისცემით შეხვდენ, ყრილობის ყურადღება მიაქცია მესაქონლეობაზე.

„რევოლიუციამდე, — სთქვა პროფ. კალუგინმა, — სასოფლო მეურნეობა, და მასთან ერთად მესაქონლეობა სრულიად უყურადღებოდ იყო მიტოვებული. მხოლოდ საბჭოთა მთავრობა აქცევს ამას სათანადო ყურადღებას და იღებს განსაზღვრულ ზომებს".

პროფ. კალუგინიც აღნიშნავს, რომ საცდელმა მუშაობამ მესაქონლეობის დარგში გვიჩვენა, რომ აზერბეიჯანში გვაქვს ბევრი ძვირფასი მასალა, რომელიც დღემდე ვერ იყო ჯეროვანად შეფასებული. განსაკუთრებულ ყურადღებას იგი აქცევს თუშისა და ბალბასის ჯიშის ცხვრებს, რომელიც არაჩვეულებრივად ძვირფასია თავისი მატყლით. ამ ჯიშის ცხვრების მოშენება დიდ როლს ითამაშებს აზერბეიჯანის საფეიქრო მრეწველობის განვითარებაში.

შემდეგ პროფ. კალუგინი შეეხო სპეციალისტების ნაკლებობას და ლაბორატორიების მოწყობის აუცილებლობას, და აღნიშნა სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტის არსებობა მაშინ, როცა არა გვაქვს სათანადო ლაბორატორიები და კაბინეტები, სრულიად ვერ ამართლებს თავის დანიშნულებას. თუ ჩვენ გვინდა სასოფლო მეურნეობის პროდუქციის გადიდება, ამისათვის აუცილებლად საჭიროა კარგი აგრონომები, ზოოტეხნიკები და სხვ. სპეციალისტები" (ადს).

ბაქო, 2 მარტი. ყრილობაზე ჩამოსული დელეგატების აზრით საქონლის ჭირის გავრცელების უმთავრეს მიზეზათ უნდა ჩაითვალოს საბეითლო პუნქტების სიმცირე. ტყეების გაჩეხვას დელეგატები ხსნიან მიწის სიმცირით, სათანადო აგიტაციის ჩაუტარებლობით ტყეების დაცვის შესახებ და ტყეების ცუდი დაცვით. ზოგიერთი განცალკევებული ტყეები უნდა გადაეცეს გლეხობას.

მავნებლებთან ბრძოლის შესახებ პროფ. შრედროვსკიმ განაცხადა, რომ ამ საქმეში ჩაბმულ უნდა იქნენ მცხოვრებთა ფართო მასები.

განსაკუთრებით თბილად შეხვდა ყრილობა პროფ. ფიგუროვსკის გამოსვლას, რომელმაც მადლობა გადაუხადა ყრილობას იმ ყურადღებისთვის, რომლითაც იგი ხვდება სამეცნიერო დარგის მუშაკებს.

ყრილობა დიდი ოვაციებით შეხვდა აგრეთვე თურქ-ქალთა დელეგაციას, რომელმაც ყრილობას გადასცა წითელი დროშა.

დილის სხდომაზე დასრულდა კამათი მიწათმოქმედების კომისარის მოხსენების გარშემო, რის შემდეგაც საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. ბუნიატ-ზადე.

ამხ. ბუნიატ-ზადეს მოხსენების გარშემო რეზოლიუციის შესამუშავებლათ ამორჩეულია კომისია 40 კაცისაგან. შემდეგ ყრილობაზე მოსმენილ იქნა მისალმება ბაქოს ბიბლიოთეკების მუშაკთა საქალაქო კონფერენციის წარმომადგენლებისაგან, სურახანის რაიონის ქალთა ორგანიზაციისაგან და სხ.

პრეზიდიუმის წინადადებით მოხსნილია დღის წესრიგიდან საკითხი წითელი არმიის შესახებ.

26 მარტს დილით შესდგება კომისიების სხდომა ს. მ. უ. ს. და მიწათ-მოქ. სახ: კომისარიატის საანგარიშო მოხსენების გარშემო რეზოლიუციების შესამუშავებლათ. (ადს).

ბურჟუაზიის „მშვიდი ცხენი"

რეიხსტაგის სხდომაზე მეწშევიკ ბრეიტშეიდმა პირდაპირ მოითხოვა სოც.-დემ. თანამშრომლობა მთავრობასთან. მან სთქვა: „უმჯობესია ურჩი ცხენი (ლაპარაკია ნაციონალისტებზე) შტრეზემანის ეტლში შეცვლილ იქნეს მშვიდი ცხენით"-ო.

(გაზეთებიდან)



საქართველოს კომპარტიის ცეკას პლენუმი

პირველი სხდომა

გუშინ, დილის 11 საათზე გაიხსნა საქ. კ. პ.(ბ) ცეკას პლენუმი. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება საცალო ფასების დაკლების შესახებ, 2) საქართველოს სასოფლო-მეურნეობის განვითარების გზები ქვეყნის ინდუსტრიალიზაციასთან დაკავშირებით, 3) მიმდინარე საკითხები.

ამხ. ათაბეგოვის მოხსენება

მომხსენებელი დაწვრილებით ჩერდება ფასების დაკლების მიმდინარეობაზე თბილისში, ბათომში, ქუთაისში, სოხუმში და სოფლის კოოპერაციის ქსელში. დირექტივა ფასების დაკლების შესახებ, რომელიც მოცემული იყო ივლისის პლენუმის მიერ გატარებული იქნა ზუსტად—მიღწეულ იქნა ფასების დაკლება 2 პროცენტამდე თბილისში, ხოლო ½-დან 2 პროცენტამდე სასოფლო და სამაზრო კოოპერატივებში. მიზეზები, რომელიც ხელს უშლიდენ პირველ დირექტივის გატარებას ფასების დაკლების შესახებ, იყო აქციზი და რკინის გზის ტარიფების გადიდება და სხვა. მეორე დირექტივა, რომელიც მოცემული იყო საქ. კ. პ. ცეკას თებერვლის პლენუმის და შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ, სავალდებულოდ ხდიდა ფასების დაკლებას 10 პროცენტით 1927 წ. პირველ ივლისისათვის 1927 წ. 1 იანვრის ფასებთან შედარებით.

როდესაც შეუდექით ხელმძღვანელ ორგანოების დირექტივის მეორე გატარებას, ჩვენ ბაზარზე უკვე აღარ გვქონდა ისეთი მდგომარეობა, როგორიც პირველი დირექტივის დროს იყო. ბაზრის კონიუნქტურა უფრო ხელსაყრელი იყო. საწარმოო საქონლის შემოზიდვა უკანასკნელი 5 თვის განმავლობაში, გასულ წელთან შედარებით გაიზარდა, მოთხოვნილება არ იყო ძალიან დიდი და ამიტომ ბაზარი დაკმაყოფილებული იყო. თუმცა ცალკე საქონლებზე: ტყავზე, ლითონის ფართო მოხმარების ნაწარმოებზე და საკოლონიო ნაწარმოებზე ჩვენ მაინც განვიცდით ნაკლულოვანებას. დანარჩენი საქონელი კი საკმაოთ მოგვეპოვება, თუმცა ზოგიერთი მათგანი შემოზიდულ იქნა გეგმით გათვალისწინებულ რაოდენობის მხოლოდ 60-70-80 პროცენტი. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს ხორბალი და ნავთი, რომელიც შემოზიდულ იქნა გეგმით გათვალისწინებულ რაოდენობაზე მეტი. განსხვავება ქალაქის საქონლისა და სოფლის ძირითად ნაწარმოების ფასებს შორის თანდათან მცირდება და უახლოვდება ომის წინადროინდელს. მაგ. 1925 წ. გლეხს 34 გ. მატყლზე შეეძლო მიეღო 10 არშ. ჩითი, 5 გ. საპონი, 4 გ. ნავთი, 23 კოლოფი ასანთი და 10 გირ. შაქარი, იმავე ნორმაში 26 წელს მას უნდა მიეცა არა 54 გირ. მატყლი, არამედ მხოლოდ 28, 1927 წელს კი მხოლოდ 22 გირ., ე. ი. 1 გირ. მეტი ვიდრე ომის წინა წლებში აძლევდა. იმავე ნორმაში გლეხს 25 წელს უნდა მიეცა 10 ფ. და 29 გირ. ხორბალი, 26 წ.—8 ფუთი; 27 წ.—7 ფ. 7 გირ. ე. ი. ომის წინადროინდელთან შედარებით 1 ფ. და 8 გირ. ნაკლები. ფასებმა ღვინოზედაც აიწია საწარმოო საქონლის ფასებთან შედარებით და 1926 - 27 წელს დგას ომის წინადროინდელ ფასების დონეზე ე. ი. ზემოთაღნიშნულ ნორმაში გლეხმა უნდა მისცეს — 2½ ვედრო ღვინო. ფასები აბრეშუმის პარკზე თუმცა იზრდება, მაგრამ მაინც ნაკლებია ომის წინადროინდელთან შედარებით, რაც აიხსნება იმით, რომ პარკი საზღვარგარეთ გაგვაქვს, სადაც იძულებული ვართ შეუფარდოთ ჩვენი ფასები საზღვარ გარეთულ ბაზრის ფასებს.

შემდეგ მომხსენებელი დაწვრილებით ჩერდება ფასების დაკლების მსვლელობაზე თბილისში.

ფასების დაკლება მუშკოოპში, „ზაკტპოში“ და „მეომარში“ დაიწყო თებერვლის პირველ ნახევარში და 10 მარტისათვის უკვე დაკლებული იყო საშუალოდ 5,93 პროც. საქონელი გადაზიდულ იქნა 2.170.432 მან. რაოდენობით და ფასების დაკლება აბსოლიუტურ ციფრებში გამოიხატა 121.057 მანეთით.

„გრუზგოსტორგმა“ 7 მარტისათვის ფასები დაკლო 1,5 პროცენტიდან—5,8 პროც-დე, მათ შორის ფართლეულზე 5,8 პროც. და საპონზე 12 პროც. „თბილისის ვაჭრობა“-მ 7 მარტისათვის ფასები დააკლო 1—5 პროცენტამდე. 5 პროცენტით ფასები დააკლდა აგრეთვე ტყავის, ფაიანსის ნაწარმოებს და ხხვადასხვა ხელსაწყოებს.

ადგილობრივმა ტრესტებმა ფასებს დაუკლეს უფრო მეტად. ასე მაგალითად საპნისა და ზეთის ტრესტებმა ფასები შეამცირა 2½ 33 პროცენტამდე, ამათგან ტეხნიკურ ზეთზე 33 პროცენტით. ხოლო ქუთაისის ქარხნის მაუდზე 28 პროცენტით.

„ტყავტრესტმა“ დააკლო ფასებს სამიდან რვა პროცენტამდე. თამბაქოს ტრესტმა ყველა ხარისხის პაპიროსზე შეამცირა ფასები 5-დან 11 პროცენტამდე, ხოლო თამბაქოებზე 10-დან 15 პროცენტამდე. „ცეკავშირმაც“ გაატარა ფასების შემცირება ყველა იმ საქონელზე, რომელსაც ის აწვდის ადგილობრივ კოოპერატივებს. მათ შორის ქაღალდის ქსოვილებზე 5 პროცენტით, დამზადებულ ფეხსაცმელებზე—10 პროცენტით, ფაიფურზე—5 პროცენტით და სხვა.

ძირითადმა კოოპერატივებმა სოფლად ფასების შემცირება დაიწყეს ათი მარტიდან. შინავაჭრობის კომისარიატმა ტელეგრაფით დაუგზავნა მათ სათანადო დირექტივები ფასების შემცირების დასაჩქარებლად. უკვე მიღებულია ცნობები იმის შესახებ, რომ ერთიან მომხმარებელთა საზოგადოებებში სოფლად ფასები შემცირებულია დაახლოვებით 3 პროცენტით, ხოლო ბათომში, ქუთაისში და სოხუმში 4 პროცენტით. ამრიგად, თუმცა ფასების შემცირება შეგვიანდა, მაგრამ ხუთი მარტისათვის უკვე ჩვენ გვქონდა ფასების შემცირება თბილისში, ათი მარტისათვის რკინის გზის ხაზზე, ხოლო 15 მარტისათვის სოფლად. შემდეგ ორატორი მიუთითებს, რომ ფასების ის შემცირება, რომელიც უკვე გატარებული არის, შედარებით იოლი მოსახდენი იყო, რადგან ეს იყო ზედნადების შემცირება, მომავალში კი ეს საქმე გაცილებით უფრო რთული იქნება. თავის დროზე უნდა მიექცეს ყურადღება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მომარაგებას სასოფლო-სამეურნეო კოოპერ. საშუალებით, რადგან გლეხები, რომელთაც მოეპოვებათ ეს საქონელი ლოდინს არ დაიწყებენ და მიჰყიდიან კერძო ვაჭრებს არახელსაყრელ ფასებში. ეს არ არის მიზანშეწონილი, რადგან ერთის მხრივ იზარალებს გლეხი, ხოლო მეორე მხრივ ზედმეტი მოგება ჩაუვარდება კერძო ვაჭრებს. გარდა ამისა, თუ ეს საქონელი არ იქნა მომარაგებული დროზე კოოპერატიულ ორგანოების მიერ, შესაძლებელია, რომ ფასები მათზე ძალიან აიწიოს, რაც გავლენას მოახდენს საბიუჯეტო ნაკრების გადიდებაზე. ეხლავე უნდა შევუდგეთ მაგალითად მწვანილეულობის დამზადებას.

დასასრულ მომხსენებელი ეხება ადგილებზე ფასების მოწესრიგებისა და მათი შემცირებისათვის კონტროლის გაწევის საქმის მოწესრიგებას. ამ მხრივ ადგილობრივმა აღმასკომებმა დახმარება უნდა გაუწიონ შინა-ვაჭრობის კომისარიატს და გამოჰყონ ამ საქმისათვის სათანადოთ მომზადებული ამხანაგები.

მოხსენების შემდეგ გაიხსნა კამათი.

ამხ. მიხა ცხაკაია

თავის მოკლე სიტყვაში აღნიშნავს, რომ საჭირო არის კოოპერაციის მუშაობის მოწესრიგებისა და კონტროლის გაწევის საქმეში ჩაბმულ იქნენ მუშებისა და გლეხების ფართო მასები.

ამხ. იოსელიანი

ამბობს, რომ ფასების დაკლების შესახებ ცნობები უკვე გაგზავნეთ ადგილებს და საჭირო არის ამ ცნობების გადასინჯვა. ფასების დაკლება გატარებულ უნდა იქნეს არა მარტო დანართი ხარჯების ანგარიშზე, არამედ ზედნადები ხარჯების შემცირებითა და აპარატის რაციონალიზაციითაც. კერძოთ საჭირო არის სპეციალური დირექტივების მიღებამდე არ დავაყოვნოთ მუშკოოპში ზედნადები ხარჯების შემცირება. საჭირო არის აგრეთვე მკაცრი თვალყურის დევნება, რომ ფასების შემცირება არ გატარდეს საქონლის ღირსების გაუარესების ხარჯზე.

ამხ. გიორგაძე

ჩერდება უმთავრესად ზედნადები ხარჯების შემცირებაზე და ამბობს, რომ ფასების დაკლება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება მიზანშეწონილი, თუ გადათვალიერებული იქნება შესაფერისად კოოპერაციის აპარატის სისტემა.

ამხ. ერისთავი

ეკამათება ამხ. იოსელიანს და ამბობს, რომ ფასების დაკლება ტარდება არა მარტო მოგებათა ხარჯზე; ზოგიერთი საქონელი, როგორიც მაგალითად—კარტოფილი, კომბოსტო და სხ. იყიდება თვითღირებულებაზე ნაკლებ ფასში და შინავაჭრობის კომისარიატის შეფასებაზე ნაკლებათაც.

ამხ. ჟვანია

აღნიშნავს სოფლად საქონლის შესყიდვის ოპერაციების გაჭიანურებას, რასაც იწვევს შესყიდვითი ფასების განსაზღვრის დაგვიანება. ორატორი მიუთითებს აგრეთვე, რომ ცენტრში გამომუშავებული ფასები ზოგჯერ არ შეეფერება ბაზარზე არსებულ მაზანდას, რაც აფერხებს საქონლის დამზადების საქმეს.

კოოპერაციის წარმომადგენლობების გაუქმება ყოველთვის არ არის ხელსაყრელი რადგან ზოგჯერ წარმომადგენელის ყოლა საშუალებას აძლევს ადგილობრივ ორგანიზაციებს თავიდან აიცილონ ხშირი მივლინებები, რაზედაც საგრძნობი თანხები იხარჯება.

ამხ. გ. სტურუა

აღნიშნავს აგრეთვე, რომ შინავაჭრობის კომისარიატის მიერ შემუშავებული დასამზადებელი ფასები ხშირათ ისე მცირეა, რომ ამის გამო ხშირათ საქონელი ვერ უვარდება ხელში მომხმარებელ კოოპერაციას და მას იჩენს კერძო ვაჭარი. მოხსენების შესახებ გამოტანილ რეზოლიუციაში საჭიროა აღინიშნოს მთელი რიგი პრაქტიკულ ღონისძიებათა კოოპერ. აპარატის რეორგანიზაციის გატარების და ზედნადები ხარჯების შემცირების შესახებ.

ამხ. ყურულაშვილი

დაწვრილებით ჩერდება შესყიდვითი ოპერაციებზე და აღნიშნავს, რომ შესასყიდ ფასების გადიდება თავის გავლენას მოახდენს სამრეწველო საქონლის ფასებზედაც. წარმომადგენლობების ლიკვიდაციის საკითხი არც ისე ადვილია, რომ მათი მოსპობა შეიძლებოდეს კალმის ერთი მოსმით. ამ საკითხის გადასაჭრელად საჭირო არის პროფკავშირების და სხვა ორგანიზაციების მიზიდვაც. წარმომადგენლობების ლიკვიდაციის საკითხი დაკავშირებულია მთელ რიგ სხვა საკითხებთან. საჭირო არის, რომ ამან არ გამოიწვიოს კერძო ვაჭრობის გაძლიერება და სახ. მაღაზიების დახურვა არ გახდეს მიზეზი ფასების აწევისა.

ამხ. რუხაძე

მიუთითებს, რომ საჭიროა ფასების დაკლების კამპანიამ დაჩქარებით მიაღწიოს მომხმარებლამდე.

ამხ. საკიანი

აღნიშნავს, რომ ფასების კიდევ უფრო დასაკლებათ საჭიროა, რათა 1-ლი ივნისიდან მოხდეს მრეწველობისათვის საჭირო ნედლეულის გაიაფება.

ამხ. საკიანის სიტყვის შემდეგ დილის სხდომა დაიხურა.

მეორე სხდომა

გუშინ საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. ათაბეკოვის მოხსენების გარშემო. კამათში მონაწილეობა მიიღეს: ამხ. შელიძემ, ნაფეტვარიძემ, აკირტავამ, კაკაბაძემ, ა. დოლიძემ, ჟვანიამ და ყურულიშვილმა.

მომხსენებლის საბოლოო სიტყვის შემდეგ რეზოლიუციის შესამუშავებლად არჩეულ იქნა კომისია, რომელშიაც შევიდნენ: ამხ. ათაბეკოვი, იოსელიანი, გიორგაძე, ერისთავი, ყუფუნაშვილი, სტურუა, ყურულაშვილი, ჯუღელი, ურუშაძე, აკირტავა, კაკაბაძე, ჟვანია, ბოლქვაძე, სვანიძე ნაფეტვარიძე, ა. დოლიძე, ა. რუხაძე, ავაქოვი და საკიანი.

შემდეგ პლენუმმა მოისმინა ამხ. **ფილიპე მახარაძის** ვრცელი მოხსენება სოფლის მეურნეობის განვითარების გზების შესახებ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციასთან დაკავშირებით. ამ მოხსენებას მოვათავსებთ „კომუნისტი“-ს ხვალის ნომერში.

პლენუმის შემდეგი სხდომა შესდგება საღამოს 5 საათზე.

რა ხდება უცხოეთში.

საფრანგეთი მომავალი ომისათვის ემზადება

ამ რამდენიმე ხნის წინათ საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ მიიღო კანონპროექტი „ერის საყოველთაო ორგანიზაციის შესახებ ომის დროს“. ამ კანონპროექტის ისტორია მეტად დამახასიათებელია იმ მომენტისათვის, რომელშიაც ეხლა იმყოფება საფრანგეთი. კანონპროექტი მუშავდებოდა სამი წლის განმავლობაში. მის დამუშავებაში თანამიმდევრობით იღებდენ მონაწილეობას: ნაციონალური ბლოკის, მემარცხენე ბლოკის და „ნაციონალური ერთობის“ მთავრობები. დეპუტატთა პალატის სამხედრო კომისია მის განხილვას შეუდგა 1926 წ. მარტში. ერთის წლის შემდეგ—1927 წ. მარტში—დეპუტატთა პალატამ სასწრაფო წესით მიიღო იგი.

რით აიხსნება კანონპროექტის „დამუშავების“ ასეთი ნელი ტემპი და შემდეგ მისი ასე სასწრაფოთ მიღება?

საფრანგეთს, რომლის მთელი ყურადღება მიქცეული იყო დანგრეული ოლქების აღდგენაზე, ფულით არ მოეპოვებოდა ისეთი დიდი თანხები, რომლებიც საჭირო იყვნენ „ერის საყოველთაო ორგანიზაციისათვის ომის დროს“. ახლანდელი აჩქარება კანონპროექტის მიღებით აიხსნება უმუშევრობის ზრდით, რომელიც გამოწვეულია წარმოების შემცირებით.

და თუ მაკდონალდის მთავრობა, ხელისუფლების სათავეში ჩადგომისთანავე, შეუდგა ხუთი კრეისერის აგებას, რომ სამუშაო მიეცა უმუშევართათვის, რატომ არ შეიძლება, რომ ამავე მიზნით პუანკარეს მთავრობა შეუდგეს ციხე სიმაგრეების აგებას, მით უფრო, თუ ამას მოითხოვს ძლიერი „კომიტე დეფორჟ“ (ლითონის მრეწველობის კომიტეტი—საფრანგეთის ფაქტიური მთავრობა)?. კომიტეტი თავის მოთხოვნილებას კანონპროექტის მიღების შესახებ ასაბუთებდა იმით, რომ რადგან ციხე-სიმაგრეთა აგება სულერთია საჭირო იქნება, სჯობს მათი აგება ახლავე დაიწყოს, რომ ამით გარღვეულ იქნეს სამეურნეო კრიზისის რკალი.

კანონპროექტს საფუძვლად აქვს დადებული ის მოსაზრება, რომ მომავალი ომი იქნება „საყოველთაო ომი“, ამიტომ მასში გათვალისწინებულია ქვეყნის მშვიდობიანი მდგომარეობიდან სამხედრო მდგომარეობაზე გადასვლის საორგანიზაციო ფორმები. კანონპროექტის ძალით, ომის დროს უმოკლეს დროში ტარდება „ქვეყნის მთელი მოსახლეობის, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამხედრო და სულიერი რესურსების საყოველთაო მობილიზაცია“. ვინაიდან ომი ასეთ პირობებში, მთელი ერის შეთანხმებულ მოქმედებას წარმოადგენს, ამიტომ კანონპროექტის ძალით, სამხედრო მოქმედების ხელმძღვანელობა იმყოფება არა ცალკე პირის (სამხედრო მინისტრის ან მთავარსარდლის), არამედ მთელი მთავრობის ხელში. კანონპროექტი ავალებს საფრანგეთისა და მისი კოლონიების ყველა მოქალაქეებს, განურჩევლად სქესისა და ასაკისა, და ყველა არსებულ საზოგადოებებსა და კავშირებს (იგულისხმებიან პროფკავშირებიც) ან მიიღონ მონაწილეობა ქვეყნის თავდაცვაში ან აღმოუჩინონ მას მატერიალური და მორალური დახმარება. „ნაციონალური მობილიზაცია“ ცხადდება საფრანგეთზე „აშკარა“ თავდასხმის ან ერთა ლიგის წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

კანონპროექტის ძალით არსდება სპეციალური „ნაციონალური თავდაცვის უმაღლესი საბჭო“, რომელიც უშუალოდ ემორჩილება მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს. ომის საერთო ხელმძღვანელობისათვის პასუხისმგებელია მთავრობა, სამხედრო მოქმედებისათვის—სამხედრო სარდლობა. მთავრობის ხელშია, აგრეთვე, უმაღლესი კონტროლი ომის დროს.

ჯერ კიდევ მშვიდობიან ხანაში სათანადო სამინისტროებმა უნდა მიიღონ შესაფერი ზომები ქვეყნის თავდაცვისათვის ხმელეთზე, ზღვაში და ჰაერში. სამრეწველო და სარკინისგზო მშენებლობა, რამდენათაც იგი უშუალოდ არის დაკავშირებული ქვეყნის თავდაცვის უნარიანობასთან, მშვიდობიან დროს სწარმოებს ნაციონალური თავდაცვის უმაღლეს საბჭოს კონტროლის ქვეშ.

კანონპროექტი მთავრობას ანიჭებს რეკვიზიციების უფლებას. კანონპროექტის ამ მუხლს განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავდა კანონპროექტის მომხსენებელი პალატაში „სოციალისტი“ პოლ ბონკური. სინამდვილეში „რეკვიზიციების უფლება“ არის ფარისევლური დათმობა იმათ მიმართ, ვინც გულწრფელად არის აღშფოთებული კაპიტალისტების სპეკულიაციით ომის დროს. თავისთავად ცხადია, რომ მთავრობას საშუალება აქვს „რეკვიზიციის“ დროსაც არ აწყენინოს ფაბრიკანტებსა და კაპიტალისტებს (კაპიტალიც შენარჩუნებულია და „უმანკოებაც“).

ასეთია საერთო სახით საფრანგეთის დეპუტატთა პალატის მიერ მიღებული კანონპროექტი „ერის ორგანიზაციის შესახებ ომის დროს“. მისი რეაქციონური და აგრესიული ხასიათი აშკარაა. კანონპროექტი ყველა ომებს, რომელთა წარმოება კი მოუხდება საფრანგეთს, ავანსად აცხადებს „თავდაცვითი“ ომებათ და ამ გზით ფიქრობს საფრანგეთის პროლეტარიატის გადმობირებას ბურჟუაზიის მხარეზე.

საყოველთაო მობილიზაცია ფაქტიურად ნიშნავს ყველა მუშების სრული მილიტარიზაციის გატარებას. შრომის პირობები ჩაყენებული იქნება ისეთ კალაპოტში, როგორც ამას მოითხოვს „სამხედრო მდგომარეობა“, ე. ი. კაპიტალისტების ინტერესები. პარლამენტისათვის მინიჭებული „უმაღლესი კონტროლი“—ფიქციაა, რადგან „მთავრობას აქვს უფლება უარი სთქვას ისეთი განმარტებების მიცემაზე, რომელთაც შეუძლიათ ზიანი მიაყენონ თავდაცვის საქმეს“.

უფრო მეტი, კანონპროექტის მეოთხე მუხლი მთავრობას უფლებას ანიჭებს ომის დროს „საჭიროებისამებრ“ შესცვალოს არსებული კანონები, და, დაბოლოს, მიიღოს საჭირო ზომები „სახალხო ფსიქიკის შესანარჩუნებლად სათანადო სიმაღლეზე“ (ე. ი. უფლება აქვს სისხლში ჩააღრჩოს ყოველგვარი მოძრაობა ომის წინააღმდეგ).

ა. შ.

მექსიკა და შეერთებული შტატები

მექსიკის დამოკიდებულებამ შეერთებული შტატებისაგან თავისი დაღი დაასვა მისი სარკინისგზო ქსელის ხასიათსაც. უკანასკნელ დრომდი მექსიკას არ ჰქონდა სარკინისგზო ხაზი, რომელიც მის ჩრდილოეთ - დასავლეთ სანაპირო ხაზს შეაერთებდა სატახტო ქალაქთან. შტატები — სონორა, სინალოა და ტეპიკი მოჭრილი იყვნენ ცენტრისაგან იმ ანგარიშით, რომ მათი მეურნეობა მთლიანად შეერთებული შტატების გავლენის ქვეშ იყო მოქცეული. ეს შტატები კი მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მექსიკის ეკონომიკაში. ეს შტატები იმდენად იყვნენ განცალკევებული, რომ საქონელი ამ შტატებიდან ჯერ შეერთებულ შტატებში გაჰქონდათ და იქიდან კი, რკინისგზით, ისევ მექსიკაში შემოჰქონდათ.

ეს განცალკევება მექსიკის სამხედრო [illegible] შეერთებული შტატების გავლენის ქვეშ აქცევდა. სინორა არის ინდიელთა მებრძოლი ტომის — იაკების სამშობლო. იაკებიდან სდგება მექსიკის არმიის საუკეთესო ნაწილები. ამ ნაწილების გადასაგზავნად ცენტრალურ მექსიკაში უმოკლესი გზა (რადგან მექსიკის ამ ნაწილში რკინისგზის ქსელი არ იყო) ძევს შეერთებულ შტატებზე (შტატები არიზონა, ახალი მექსიკა და ტეხასის ნაწილი). როცა საჭირო ხდება ჯარის გადაგზავნა, მექსიკის მთავრობამ სპეციალური ნებართვა უნდა მიიღოს შეერთებული შტატების მთავრობისაგან. ასე იყო 1923 წ. როცა გენერალი ხუერტა აუჯანყდა ობრეგონის მთავრობას. და რომ შ. შ. მთავრობა მტრულად ყოფილიყო განწყობილი ობრეგონის მთავრობისადმი, ის თავის ტერიტორიაზე არ გაატარებდა ხუერტას წინააღმდეგ ვაგზავნილ ჯარებს.

ახალი სარკინისგზო ხაზი წარმოადგენს მექსიკის მთავრობის მორიგ ნაბიჯს, მიმართულს შეერთებული შტატების გავლენისაგან განთავისუფლებისაკენ. ახალი სარკინისგზო ხაზი წარმოადგენს უმოკლეს გზას, რომელიც მექსიკის სატახტო ქალაქს აერთებს არა მარტო ჩრდილოეთ - დასავლეთ შტატებთან, არამედ ლოს-ანჟელოსთან და სან-ფრანცისკოსთან.

რკინისგზაზე მოძრაობა დაიწყება მიმდინარე მარტში.

მუშათა მოძრაობა

მელითონეთა ერთიანი ფრონტი ავსტრიაში

„რაციონალიზაცია“ ვერ ასცდა ვერც ავსტრიის ლითონის მრეწველობას. თავის თავად ცხადია, რომ ეს „რაციონალიზაცია“ ავსტრიაშიც, ისე როგორც საერთოდ ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში, მუშათა კლასის ხარჯზე ტარდება.

„რაციონალიზაციის“ მეთოდების ყველაზე ნათელ მაგალითს წარმოადგენს ავსტრიის უდიდესი ლითონის მრეწველობის ფირმის—„ალპინე-მონტან-გეზელშაფტ“-ის ცდა შეეცვალა შრომის ხელფასის გასტუმრების არსებული სისტემა და მოეხსნა წარმოებიდან მთელი რიგი დამხმარე მუშები.

მუშები არ დასთანხმდნენ ხელფასის არსებული სისტემის და შრომის პირობების გაუარესებაზე.

დირექციის ღონისძიებების წინააღმდეგ პროტესტის წარსადგენად მუშებმა აირჩიეს დელეგაცია ავსტრიის მელითონეთა თავმჯდომარის, პარლამენტის წევრის დომესის მეთაურობით.

დირექციამ კატეგორიულად უარი სთქვა დომესთან მოლაპარაკებაზე, დირექციის ბინიდან გამოაგდო—ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით—ისა და დელეგაციის წევრები, რომელთაც განუცხადა, რომ დომესი არ მუშაობს წარმოებაში და არც მოლაპარაკების წარმოებას ეკითხება მას ვინმეო.

დირექციის საქციელმა საშინელი აღშფოთება გამოიწვია მუშებში.

დირექცია ამის შემდეგ შეეცადა დაეწყო უშუალო მოლაპარაკება წარმოების საქარხნო კომიტეტთან, მაგრამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ დომესის მონაწილეობის გარეშე არავითარ მოლაპარაკებას არ გამართავს.

საქარხნო კომიტეტის გადაწყვეტილება ერთხმად მოიწონა მუშების საერთო კრებამ. მუშათა კრებამ აგრეთვე ერთხმად მიიღო კომუნისტების წინადადება—მოეწყოს მტრული დემონსტრაცია დირექციის წინააღმდეგ, თუ უკანასკნელი უარს იტყვის დომესთან მოლაპარაკებაზე. მუშების ეს გადაწყვეტილება მით უფრო საგულისხმოა, რომ მათი უმრავლესობა სოც.-დემ. პარტიას ეკუთვნის.

ავსტრიელ მელითონეთა ერთსულოვნებამ ჩააფიქრა მრეწველები, რომლებიც ასეთ „ჯიუტობას“ არ მოელოდნენ.

პარტიული ცხოვრება

ზოგიერთი ნაკლი ღარიბთა შორის მუშაობაში

უკანასკნელმა საბჭოთა არჩევნებმა ცხადყვეს ღარიბთა ორგანიზაციის როლი და მნიშვნელობა სოფლის საბჭოების განმტკიცებისა და მათი სათანადო შემადგენლობის უზრუნველყოფის საქმეში. საარჩევნო კამპანიის მასალები მოწმობენ, რომ ღარიბთა აქტივობა და თვითშეგნება საერთოდ საკმარისად გაიზარდა. ღარიბები მჭიდრო კავშირში იმყოფებიან საშუალო გლეხობასთან და დაუძლეველ ორგანიზაციულ წინააღმდეგობას უწევენ კულაკებისა და სხვა ანტი-საბჭოთა ელემენტებს. ჩატარებულ გადარჩევათა დამახასიათებელ მიღწევებისა და დადებით მოვლენათა ჩამოთვლა, რომლებიც უმთავრესად ღარიბთა კრებების სწორი მუშაობის ნაყოფია, არ არის საჭირო. საკმარისია აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ ჩვენი პარტიული ორგანიზაციები მეტ შემთხვევებში სათანადო ყურადღებას აქცევდენ ღარიბთა ორგანიზაციის საქმეს და დამაკმაყოფილებელ მუშაობას აწარმოებდენ ამ მიმართულებით.

მაგრამ ამ მუშაობაში, რასაკვირველია, ადგილი ჰქონდა ზოგ ნაკლულოვანებებსაც.

უმთავრესი ნაკლულოვანება ღარიბთა შორის მუშაობაში—ეს გლეხთა სხვა და სხვა სოციალური ფენების სწორი განსაზღვრის უქონლობაა. ზოგიერთ პარტორგანიზაციებს ადგილებზე კარგათ არა აქვთ გარკვეული განსხვავება ღარიბ, საშუალო და ბობოლა გლეხებს შორის, რის გამოც ღარიბთა კრებები ზოგჯერ სოფლის საერთო კრებებათ იქცევიან. ასეთ მოვლენას ადგილი ჰქონდა მანგლისის თემში სოფ. დ. თონეთში. მეორე ნაკლი—ეს ღარიბთა თვით შეგნების სისუსტეა. მაგალითისათვის ავიღოთ მანგლისის თემი. ამ თემში ერთ ადგილას ღარიბებმა არჩევნების დროს განაცხადეს: „საბჭოებში მუშაობისათვის ჩვენ მომზადებული არა ვართ“, მეორე კრებაზე იყო შემთხვევა, როცა ზოგიერთი ღარიბები პროტესტს აცხადებდენ ღარიბთა კრებების მოწვევას წინააღმდეგ იმ მოტივით, რომ „ჩვენ ყველა ღარიბები ვართ, ერთად ვმუშაობთ, საჭირო არაა საზღვრის დადება გლეხობის ფენებს შორის“-ო. ეს და ანალოგიური განცხადებები მოწმობენ, რომ ხსენებული თემის პარტიული ორგანიზაციის მუშაობა ღარიბთა შორის, ვერ იდგა სათანადო სიმაღლეზე, რის გამოც ღარიბებს არ აქვთ თავისი საკუთარი ინტერესების შეგნება. აი ამ ნაკლულოვანებებს უნდა მიაპყრონ უდიდესი ყურადღება მომავალ მუშაობაში ჩვენმა სასოფლო პარტორგანიზაციებმა, მათ უნდა შესძლონ ადგილობრივი პირობების მიხედვით გლეხობის სხვა და სხვა სოციალურ ფენების სწორად განსაზღვრა, რათა ღარიბთა კრებებმა არ დაკარგონ თავისი სახე და არ გადაიქცენ გლეხობის საერთო კრებებად. საჭიროა აგრეთვე კიდევ უფრო გაძლიერდეს ღარიბთა შორის მუშაობის ყველა ფორმები, ღარიბების თვითშეგნების აწევისა და მათ მიერ საკუთარი ინტერესების შეცნობის მიზნით.

ვ.—ხ—ლი.

ქალთა შორის მუშაობა მესამე რაიონში

(თბილისი)

მესამე რაიონში ქალთა შორის მუშაობა სწარმოებს 23 წარმოება-დაწესებულებაში.

წელს მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილებამ შეარჩია დელეგატ-ქალთა კარგი შემადგენლობა და გაზარდა წარმოების მუშა-ქალთა პროცენტი. ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ სადელეგატო კრებებს და მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილების მიერ რაიონის წარმოებებსა და კლუბებთან მოწყობილ წრეებს ესწრება ქალების მეტი რიცხვი. ამჟამად დელეგატ-ქალთა ინსტიტუტი აერთიანებს 183 ქალს. ნაყოფიერად მიმდინარეობს მეცადინეობა დელეგატ-ქალებთან სამ ჯგუფში—ქართულში, სომხურში და რუსულში. საუბრებთან ერთად, დიდი ყურადღება ექცევა, აგრეთვე, პრაქტიკულ მუშაობასაც, რაც გამოიხატება მუშკოოპის სადუქნო კომისიებში, ადგილკომებში და სხ. მომუშავე დელეგატ-ქალთა ანგარიშების მოსმენაში, რაც შესაძლებელს ხდის მუდმივი კავშირის გაბმას ამა თუ იმ სამუშაოზე გამოყოფილ ქალებსა და ამომრჩევლებს შორის.

დელეგატ-ქალთა ინსტიტუტთან მოწყობილია ორი სექცია: კოოპერატიული და იურიდიული. ქალები დაინტერესებული არიან სექციების მუშაობით, რომელიც, ამის გამო, გაცხოველებულ ხასიათს ატარებს. სულ სექციებში მუშაობს 134 ქალი.

რაიონში უჯრედებთან არსებულ პოლიტსკოლებში მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილებამ მოახერხა 25 ქალის ჩაბმა; გარდა ამისა, დიასახლისთა და მუშა-ქალთათვის სპეციალურად მოწყობილია 4 პირველადი პოლიტწრე.

თურქ-ქალთა კლუბთან არსებულ პოლიტწრეში ჩაბმულია 26 ქალი, ავლაბრის მუშათა კლუბთან—23, ტყავტრესტთან—18 და სატრიკოტაჟო ფაბრიკასთან—16 ქალი.

უკანასკნელ ხანებში ავლაბრის მუშათა კლუბის ქალთა კუთხემ მოახერხა თავისი მუშაობის გაცხოველება, მან მოაწყო წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო და ჭრა-კერვის წრე. ამას წინად აქვე მოწყობილია მუშკორთა წრე, რომელშიც ჩაეწერა 18 ქალი. სულ მთელ რაიონში წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო წრეებში რეგულიარულად მეცადინეობს 110 ქალი. ჭრა-კერვის სკოლაში მეცადინეობს 140 ქალი.

როგორც წრევანდელი, ისე შარშანდელი გაწვევის დელეგატ-ქალები ენერგიულ მონაწილეობას იღებენ საზოგადოებრივ მუშაობაში. მუშკოოპის სადუქნო კომისიებში მუშაობს 32 ქალი, ხოლო რაიონის საფაბრიკო კომიტეტებსა და ადგილკომებში—27 ქალი. თვითეულ პიონერ-კოლექტივზე მიმაგრებულია ახალი გაწვევის 5—6 დელეგატი-ქალი.

უკანასკნელ ხანებში შესამჩნევად გამოცოცხლდა თურქ-ქალთა კლუბის მუშაობა, რომლის შემდეგ განვითარებასაც ხელს უშლის ბინის სივიწროვე და თანხების ნაკლებობა. ჭრა-კერვის წრეების სახელმძღვანელოდ გამოყოფილია ორი თურქი ქალი. 8 მარტისათვის რაიკომმა კომპარ. (ბ) კანდიდატებად დაამტკიცა 6 თურქი ქალი.

რაიონში ცოცხლად ჩატარდა ქალაქის საბჭოს არჩევნები, ქალები ხალისით ესწრებოდენ წინასაარჩევნო კრებებს, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო დარაზმულ მუშა-ქალთა 75 პროცენტმა და დაურაზმელ-ქალთა 60 პროც.

ქ. ხ—ა.

რას აკეთებს კომკავშირის თემკომი ავჭალაში

ავჭალის ა. ლ. კომკავშირის თემკომი აერთიანებს 9 უჯრედს: 3 საწარმოო, 2—შენაკრები და დანარჩენი გლეხური. წევრთა რიცხვი 370-მდე აღწევს. ამ ბოლო დროს მუშური ახალგაზრდობის რიცხვმა იკლო, იმის გამო, რომ „ზაჰეს-ში“ მოხდა შტატების შემცირება.

ორგანიზაციის ზრდა ეხლა მეტ წილად სწარმოებს მოჯამაგირეებსა და ღარიბ გლეხთა საუკეთესო ახალგაზრდობის ხარჯზე. იზრდება აგრეთვე ქალების რიცხვი. თუ წინად ორგანიზაციაში ქალები არ შემოდიოდენ, ამჟამად პირიქით, მათი ლტოლვა კომკავშირისაკენ დიდია. დისციპლინა კომკავშირში საერთოდ წარსულთან შედარებით გაუმჯობესებულია. მართალია, არის შემთხვევები, როდესაც ზოგიერთ უჯრედებში ადგილი აქვს ამა თუ იმ კომკავშირელის მიერ საკავშირო დისციპლინის დარღვევას, როგორიცაა ლოთობა, დებოში, ხულიგნობა და სხვა; მაგრამ ასეთი მოვლენები გავრცელებული არაა და მათ წინააღმდეგ სწარმოებს სასტიკი ბრძოლა. წესრიგის დარღვევისათვის გამორიცხულია 5 წევრი.

რაც შეეხება აღმზრდელობითი მუშაობას, იგი მომზადებულ ძალების სიმცირის გამო შესაძლებლობის ფარგლებში სწარმოებს. მაგალითად: კეთდება მოხსენებები ყოფა-ცხოვრების საკითხებზე და დისციპლინის საკითხებზე და სხვა.

პოლიტგანათლების საქმე ახკომკავშირში ძლიერ მოისუსტეს, ამის მიზეზებია: ერთი — პროპაგანდისტების სიმცირე და მეორე — მატერიალური საშუალების სიმცირე. მაგალითად თემკომს არ მოეპოვება ფული, რომ დაუკმაყოფილოს საგზაო ხარჯები პოლიტსკოლის ხელმძღვანელს, რის გამო ფერხდება პოლიტ - განათლების საქმე. პოლიტსკოლები [illegible] რედებში, [illegible] ჰესი“ და „ფესტ[illegible]“.

უპარტიო ახალგაზრდობაში [illegible] მუშაობის გაძლიერების მიზნით აღებულია ხაზი, რათა ხშირად ხდებოდეს კომკავშირის და უპარტიო ახალგაზრდობის გაერთიანებული კრებები, რომლებზედაც დაისმება უპარტიო ახალგაზრდობისათვის საინტერესო საკითხები.

ილ. კ—ი.

მუშაობა გაცხოველდა, უჯრედი გაიზარდა.

(ბორჯომი).

მინის და ჩამოსხმელ ქარხნის კომუჯრედი დაარსდა 1924 წელს. ქარხანაში იმჟამად იმყოფებოდა პარტიის სამი წევრი, დანარჩენები კი უპარტიო მუშები იყვნენ. იმ პირობებში კომუჯრედს ძლიერ უჭირდა მუშაობა, ვინაიდან უჯრედი მცირერიცხოვანი იყო და ამხანაგებიც არ იყვნენ სათანადოთ მომზადებულნი პოლიტიკურად. მიუხედავად ამისა, უჯრედმა მაინც დიდი მუშაობა ჩაატარა. მისი საქმიანობის შედეგად გაიზარდა უჯრედის წევრთა რიცხვი, შემოკრებილი იქნა პარტიის გარშემო უპარტიო მუშათა მასა და სხვ. ამჟამად კომუჯრედი აერთიანებს პარტიის 26 წევრს და რვა კანდიდატს, დაარსებულია აგრეთვე კომკავშირის უჯრედიც, რომელშიაც 15 კომკავშირელი ირიცხება. კომუჯრედის თაოსნობით ადგილკომთან და ქარხნის ხელმძღვანელობასთან ერთად ქარხანაში იქნა გატარებული მომჭირნეობის კამპანია, რამაც ქარხანას რამოდენიმე ათასი მანეთის ეკონომია მისცა. კომუჯრედი ახლო მონაწილეობას იღებს აგრეთვე ქარხნის რაციონალიზაციის საქმეში.

კომუჯრედი დიდი ავტორიტეტით სარგებლობს უპარტიო მუშათა შორის. უჯრედის შინა მუშაობაც წარმატებით მიმდინარეობს. კრებაზე ისმება ისეთი საკითხები, რომლებიც აინტერესებს მუშებს. დღის წესრიგში დასმულ საკითხების გარშემო მსჯელობაში მონაწილეობას იღებს უჯრედის წევრთა უმრავლესობა.

კომუჯრედი ხელმძღვანელობას უწევს კომკავშირის უჯრედსაც, უჯრედზე მიმაგრებულია პარტიის წევრი. მიმაგრებული ამხანაგი ყოველ სამ თვეში აბარებს ანგარიშს პარტუჯრედს, კომკავშირის უჯრედის მუშაობის შესახებ. არის გამოყოფილი პარტიის წევრი ქალთა შორის სამუშაოთაც, რომელიც უწევს დახმარებას ადგილობრივ ქალთა ორგანიზაციას.

უჯრედს აქვს მჭიდრო კავშირი ქარკომთან ფაბრიკასთან. ქარკომში უმრავლესობას პარტიის წევრები შეადგენენ.

ასე მუშაობს ჩვენი, ჯერ კიდევ შედარებით ახალგაზრდა, კომუჯრედი.

ლ. პაპასშვილი.

პარტიული ქრონიკა

— **სიღნაღის სამაზრკომში.** სიღნაღის სამკომის პრეზიდიუმმა დაამტკიცა საორგანიზაციო განყ. სამი თვის მუშაობის გეგმა. უკანასკნელის მიხედვით 1 მაისამდე ა; წ. აღნიშნულმა განყ. უნდა ჩაატაროს შემდეგი მუშაობა: 1. სიღნაღის, ნოსირის, ეკის, გურჯაანის, ნახშირგორის, მარტყოფის, მარნის, კურხუს, თამაკონის, ძვ. სიღნაღის, ხირსის და ქვ. [illegible] ორგანიზაციების გამოკვლევა. 2. ამ ორგანიზაციების გამაერთიანებელ ორგანოების, თემკომ. მდივ. მოხსენ. და ინსტრუქტორების თანამშრომლების მოსმენა, როგორც საორგანიზაციო კოლეგიის, აგრეთვე კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომებზე. 3. თემკომებთან კავშირის და მათზე ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მიზნით მიღებულ იქნეს სათანადო ზომები, რათა ხდებოდეს თემკომების სხდომების მოწვევა სისტემატიურათ. სამუშაო გეგმების შედგენა თვით თემკომების მიერ, აგრეთვე უკანასკნელების მიერ მომხსენებლების გამოყოფა სხვადასხვა საკითხებზე და სხვა. პარტიის მიერ მოვლენების შესწავლა და [illegible] გადარჩევასთან დაკავშირებით და თემკომების და პარტუჯრედების გაერთიანების შედეგებზე. 4. ქალაქის უჯრედების გამოჯანსაღების მიზნით საორგანიზაციო განყ. აღნიშნული გეგმით მიზნად აქვს დასახული ქალაქის უჯრედების და მარნის ხ-ტყის ქარხნის უჯრედის მუშაობის შესწავლა და მოსმენა მათი მდივნის მოხსენებების. 3.-მ. ამხანაგების მიმაგრება ქალაქის უჯრედებზე. უკანასკნელებში მოხსენებების გაკეთებისათვის გამოყოფილ ამხანაგების მიმაგრება სათანადო დირექტივების მიცემით. 5. კოოპერაციის დარგში გეგმით დასახულია მიზნად მომხმარ. კოოპერაციის და საკრედიტო ამხანაგობათა ქსელის გაფართოება, მათში ღარიბი გლეხობის ჩაბმა 5 პროც. ანარიცხების ხარჯზე.

აღნიშნულ გეგმაში გათვალისწინებულია აგრეთვე მთელი რიგი ღონისძიებებისა კომკავშირზე ხელმძღვანელობის, საბჭოთა, პროფკავშირებში, ტერ-ნაწილში მუშაობის, ინფორმაციის დარგებში და სხვა.

გამოძახილი შანხაის აღების გამო

ნუხა, 25 მარტი. ქალაქის მთელ მოსახლეობაში დიდი ენტუზიაზმი გამოიწვია ცნობამ კანტონის ჯარების მიერ შანხაის აღების შესახებ.

საერთო აღფრთოვანების აღსანიშნავად დღეს აბრეშუმის ყველა ადგილობრივ ქარხნებში მოეწყო მუშათა საერთო კრებები, რომლებზეც ერთხმად გამოქონდათ სათანადო რეზოლიუციები და ესალმებოდენ ჩინეთის ნაციონალურ განმანთავისუფლებელ მოძრაობის გმირებს—კანტონის ჯარებს—და უსურვებდენ მედგრათ წინსვლას უკვე გამოფხიზლებულ ჩინეთის ძლევამოსილ პროლეტარიატს. (ადს).

ბაქოს ბაზრობის დახურვა

ბაქო, 25 მარტი. სავაჭრო ოპერაციების შეწყვეტის გამო, დღეს ბაზრობას დიდი გაცხოველება ემჩნეოდა. გრძელდებოდა გარიგებების დადება დილიდან ბაზრობის დახურვამდე. უმრავლესობა აღურიცხავი დარჩა. ბაზრობის დახურვის წინ, საბაზრო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ლაქტიონოვმა განაცხადა, რომ სპარსეთის ვაჭრობის შუამდგომლობით, დამთავრებულ გარიგებების ჩამოყალიბებისათვის ვადა გაგრძელებულია კიდევ 6 დღით. გაუკეთა რა ჯამი ბაზრობას, ამხ. ლაქტიონოვმა აღნიშნა, რომ წრევანდელი ბაზრობა იყო ყველაზე ნაყოფიერი, წარსულ ბაზრობებთან შედარებით. მისი ვარაუდით, საბაზრო ბრუნვა უნდა აღემატებოდეს 25 მილ. მანეთს.

„მე დარწმუნებული ვარ, განაცხადა დასასრულ ლაქტიონოვმა, რომ წარმატებით დასრულდება ის მოლაპარაკება, რომელიც დაიწყება საბჭოთა კავშირსა და სპარსეთს შორის სავაჭრო ხელშეკრულების დადების გარშემო“.

შემდეგ გამოსულმა სპარსეთის გენერალურმა ელჩმა აზერბეიჯანში ესფენდიარიმ განაცხადა:

„მე ვფიქრობ, რომ წრევანდელი ბაზრობა იყო ყველაზე ნაყოფიერი წარსულ ბაზრობებთან შედარებით, ბაქოს მეექვსე ბაზრობა გახდა უმთავრესი საბაბი მოლაპარაკების განახლებისა სავაჭრო ხელშეკრულების დადების გარშემო საბჭოთა კავშირსა და სპარსეთს შორის“.

დასასრულ ესფენდიარიმ გამოსთქვა იმედი, რომ მოლაპარაკება წარმატებით დასრულდება.

ბაზრობა დაიხურა დღის 4 საათზე.

დღის მიწურულში აღრიცხულია 58 გარიგება სულ 1.641.554 მან. გარიგება დადებულია 35.000 ფუთ ბამბაზე, 50 ვაგონ ფართლეულზე და სხ. სულ დღემდე დადებულია 673 ხელშეკრულება 19.500.00 მან. ღირებულ საქონელზე, წინააღმდეგ შარშანდელი 16.283.000 მან. აქედან საგარეო ვაჭრობაზე მოდის 11.900.000 მან: ანუ საერთო ბრუნვის 60 პროც., წინააღმდეგ შარშანდელ 9.207.000 მანეთისა. (ადს).

ბეთჰოვენის გარდაცვალების 100 წ. თავი

ბეთჰოვენი და თანამედროვეობა

მე უკვე მრავალჯერ დავრწმუნდი, თუ როგორი არაჩვეულებრივი ძლიერებით მოქმედებს ბეტხოვენის მუსიკა მუშათა აუდიტორიაზე,—საერთო მუსიკალურ თვალსაზრისით მეტად მცირე მომზადების მქონე აუდიტორიაზედაც კი.

ამ გარემოებამ არ უნდა გააოცოს ის, ვინც სწორი სოციოლოგიური ანალიზით უდგება ბეტხოვენის შემოქმედებას ერთის მხრით და მშრომელთა მასების განცდებს მეორე მხრით.

სავსებით არაა სწორი, რასაკვირველია, იმის დაშვება, რომ თითქოს გამარჯვებული მშრომელი მასების კულტურული მოთხოვნილებანი და პირველი მათი საკუთარი ნაბიჯები კულტურული შემოქმედების საქმეში ახლო იქნება ბურჟუაზიის დაცემის წლებთან, ე. ი. სწორედ იმ უკანასკნელ ათეულ წლებთან, რომელნიც წინ უსწრებდენ რევოლიუციას. შესაძლოა, რომ უკანასკნელი ათეული წლების წინასწარმეტყველურად—მგრძნობიარე ხელოვანებს შეეძლოთ თავის თავზე განეცადათ მოახლოებული სოციალური ქარიშხალების გავლენა, მაგრამ საერთოდ და მთლიანად მუსიკოსები, ისე როგორც ხელოვნება სცხოვრობდენ გახრწნის გზაზე შემდგარი ბურჟუაზიული საზოგადოების ატმოსფეროში, რომელიც თავისი იდეური შინაარსით გადაგვარდა დეკადანსში და როგორც ყველა დეკადენტები ვირტუოზული ფორმების სიბრჭყვიალეში ფარავდენ თავიანთ სიცარიელეს. ცნობილი იტალიელი მუსიკის ისტორიკოსი ბოსტიანელი ტყუილად კი არ ამბობდა, რომ უკანასკნელი ათეული წლების ე. ი. ბეტხოვენის შემდეგი წლების მუსიკის განვითარების დამახასიათებელი ნიშანი იყო მუსიკალურ ფორმათა გართულება და იდეურ-პოეტურ შინაარსის გაღატაკება.

ბეტხოვენი არის დემოკრატიული ინტელიგენციის სწორედ ის მუსიკოსი რომელიც უდიდესი ბუნებრივი ნიჭით იყო დაჯილდოებული და რომელმაც მუსიკალურად გამოხატა მეტად საინტერესო მომენტი წვრილ-ბურჟუაზიულ სტიქიის განვითარებაში.

წვრილი ბურჟუაზია არასოდეს არ ასულა იმ სიმაღლემდე, როგორც საფრანგეთის დიდი რევოლიუციის დროს. ამ მოვლენაში და მის გამოსახვაში მთელ მსოფლიოში გამოიხატა უდიდესი ცდა, რომ წვრილი ბურჟუაზია მდიდარ ბურჟუაზიასთან ერთად გამარჯვებულიყო ბრძოლაში, ჩაეგდო ხელში ძალაუფლება და თავის ირგვლივ დაერაზმა მთელი მშრომელი ხალხი; ეს იყო ის ცდა, რომელზედაც ოცნებობდა სწორედ დემოკრატიული ინტელიგენცია. დემოკრატ. ინტელიგენცია, რომელიც ფეოდალური წესწყობილების დანგრევით ამოვარდა კალაპოტიდან და ირყეოდა ავანტიურისტ-ნახევრად ლაქიის ტიპსა (როგორც მაგ. ფიგარო) და მეცნიერული აზრის ბრწყინვალე პიონერის და მსოფლიო უსამართლობით ტანჯული ტიპს (როგორც მაგ. დიდრო და რუსო) შორის, მოექცა სწორედ იმგვარ მოძრავ ყოველგვარი მოსალოდნელი შემთხვევებით აღსავსე, პატივმოყვარეობის, დროებითი გამარჯვებებით, მარცხებით და მუქარით, აფეთქებებით გართულებულ მდგომარეობაში, რომელიც „ძველი წყობილების ადამიანის“ ერთფეროვან სულს გადააქცევდა უახლესი ადამიანის მღელვარე, რთულ, დაუდგრომელ შეგნებად.

ამ ახალი—დაუდგრომელი, მშფოთვარე, სიხარულის და წყევლის შორის მერყევი შეგნების გამომხატველი იყო მუსიკა. სწორედ ხელოვნების ამ თვისებური მატარებლის—დემოკრატიული ინტელიგენციის წარმოშობით აიხსნება მუსიკის სწრაფი ზრდა მეთვრამეტე საუკუნის დასასრული და მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში.

საფრანგეთის რევოლიუციაში ჩვენ გვაქვს განსაკუთრებული მოვლენა, რომელშიაც **ინდივიდუალიზმის** ზრდისა და შეგნების გაღრმავების ნიადაგზე იქნა მოხდენილი ინდივიდუალისტების ერთ მძლავრ ჯგუფად შეკავშირების ცდა. ინტელიგენციის პატივმოყვარე წარმომადგენლები, რომელნიც ფართო მასებს ჩაუდგენ სათავეში, აწყობდენ მთელ სახელმწიფოებს, მთელ არმიებს, ქმნიდენ მთელ მსოფლმხედველობას. იაკობინელები სცდილობდენ წვრილ მეშანების გაერთიანებას ერთ საფუძველზე და ამის მისაღწევად ისინი იყენებდენ ხელოვნებას, პირველ რიგში მუსიკას. მათ დღესასწაულთათვის, რომელიც ხან მხიარულებას, ხან მწუხარებას გამოხატავდა და ხან სამშობლოს ჰორიზონტზე ღრუბლების ჩამოწოლას მოასწავებდა, სწერდენ ისეთი მუსიკოსები, როგორიც იყვნენ მოხუცი გოსეკი, კერუბინი და მეგიული.

მაგრამ ის, რაც ფრანგებმა გამოსახეს ერთგვარ ოფიციალურ ხელოვნებაში, როგორც მათი პოლიტიკური შემოქმედების რეალური უდიდესი გაქანების დანართი, მეზობელ ქვეყნებში, გერმანელ მოსახლეობით ქვეყნებში ის გამოაშკარავდა უფრო მოწყვეტილ-ესთეტიურ ფორმებში. სამაგიეროდ რევოლიუციონური ენერგია პრაქტიკიდან სავსებით ხელოვნურ დარგში გადადიოდა და აქ მნიშვნელოვნად მეტ სრულყოფას აღწევდა. აი, რატომ იყო, რომ შილერი, გოეთე და ყველა მათი მიმდევარნი უფრო მაღლა იდგნენ, ვიდრე საფრანგეთის რევოლიუციის ოფიციალური ნახევრად—პოეტები. აი რატომ იყო, რომ ბეტხოვენმა უფრო მეტი სრულყოფის სიმაღლემდე შესძლო ამაღლება, ვიდრე გოსეკმა, მეგიულმა და კერუბინმა.

მაგრამ ბეტხოვენის მუსიკა გამსჭვალული იყო სწორედ იმ მსოფლმხედველობით, რომელიც საფუძვლად ედო წვრილი ბურჟუაზიის დიად რევოლიუციონურ-დემოკრატიულ აღორძინებას.

ბეტხოვენის მსოფლმხედველობის ძირითადი დასაწყისი, რომელიც აშკარავდება მის მუსიკაში, ასეთია: იგი აღნიშნავს ბედისწერის სიმკაცრეს, ბუნების გულგრილობას, რომელიც ბედისწერის სახით არის აღმართული ადამიანის წინაშე, სოციალური წყობილების ღრმა დაცემას, რომელიც სწამლავს მთელ სიცოცხლეს.

მაგრამ ბეტხოვენი სრულიადაც არ არის პესიმისტი. იგი არ აფერადებს სინამდვილეს, ხატავს მას მთელი თავისი საშინელებით და ამასთანავე მოუწოდებს ბრძოლისაკენ. მას უყვარს ბრძოლა, იგი გრძნობს ბრძოლის ღრმა სიხარულს ყველა იმ უბედურებათა და ტანჯვათა შეგნებით, რომელიც სდევს თან ამ ბრძოლას. ბრძოლის შედეგი—აი, ის ძირითადი თავისებურება, ის ატმოსფერა, რომლითაც არის გამსჭვალული ბეტხოვენის მუსიკა მის მთავარ ნაწილებში. ამ ბრძოლამ, ბეტხოვენის მტკიცე რწმენით, რომლითაც ყოველთვის იყო იგი გამსჭვალული, უნდა მიგვიყვანოს ჰარმონიამდე, ეს ბრძოლა უნდა დამთავრდეს ადამიანის გონების უგუნურ სტიქიაზე გამარჯვებით.

მუსიკა, რომელიც შესდგება წონასწორობის დარღვევათა და მათი აღდგენისაგან, თავისი არსების საუკეთესოდ გამოხატავდა ასეთ რევოლიუციონურ, დინამიურ მსოფლმხედველობას.

ბეტხოვენი, თუმცა პირადათ უბედური და ჩაგრული იყო, მაგრამ თავის არსებაში ატარებდა სიხარულის ისეთ განუზომელ მოთხოვნილებას და ჰქონდა ისეთი უნარი გამოეყენებია ყველა ის ნუგეში, სიმშვიდის ალერსის გამომწვევი განცდები, რომელიც კი შეეძლო მიეცა სიცოცხლეს, რომ მან დათრგუნა თავისი სიცოცხლის ბედშაობისა და შევიწროების ყოფა და თავის მუსიკაში ხოტბა შეასხა სიცოცხლის იმ ყვავილებს, რომლებსაც იგი ხვდებოდა ცხოვრებაში და რომელიც იძლეოდა იმის ნიშანს, რომ ადამიანს მომავალში ელის ბედნიერება, როგორც ჯილდო შეურყევლობისა და თავგანწირვისათვის. ეს აძლევდა საშუალებას ბეტხოვენს აეღორძინებია მრავალ სიმიანი საკრავი, რომელიც ადამიანის გრძნობათა მთელ გამას შეიცავდა. ყოველივე ეს არის ბურჟუაზიის გაზაფხულის მიღწევა და ფილოსოფიური მატერიალიზმისა და იაკობინურ ტრადიციებთან ერთად ახლოს არის ჩვენთან.

ერთის მხრით დიდი რევოლიუციის აღმაფრენისა და ბეტხოვენის მიერ მისი მუსიკალური გამოსახვის შორის, და მეორეს მხრით, პროლეტარული რევოლიუციის აღმაფრენისა და პროლეტარიატისა და კომკავშირის ამ ეხლანდელ მოთხოვნილებათა შორის, რომელსაც ახლო მომავლის მუსიკას უდგენენ, სძევს მანძილი, რომელიც სავსეა ხეობებით და გორაკებით, მაგრამ საერთოდ გამოსახავს ბურჟუაზიის ნამდვილ შემოქმედებას.

აი, რატომ არის ბეტხოვენი ჩვენი მომავალი მუსიკის წინამორბედი, აი რატომ ხდება, რომ ჯერ-ჯერობით საკუთარ მუსიკალურ შემომქმედთა უყოლობის გამო ჩვენი საზოგადოება ასეთის ყურადღებით უსმენს ბეტხოვენის შემოქმედებას. ბეტხოვენი ენათესავება მას.

ა. ლუნაჩარსკი.



ლუდვიგ ბეთჰოვენი

ლუდვიგ ბეთჰოვენი

დღეს, 26 მარტს შესრულდა 100 წ. გარდაცვალებიდან იმ უდიდესი მუსიკოსისა, რომლის შემოქმედების ტოლი კაცობრიობას ჯერ არ უნახავს. ეს მუსიკოსი არის ბეთჰოვენი.

მომღერალ ორგანისტ იოგანნე ვანბეთჰოვენის ოჯახში, 1770 წ. 17 დეკემბერს დაიბადა ის ლუდვიგი, რომელმაც შემდეგში აალაპარაკა მთელი ქვეყანა, და რომლის სახელიც ოქროს ასოებით აღინიშნა კაცობრიობის განვითარების ისტორიაში.

იოგანნე თავის პატარა შვილს, ლუდვიგს მუსიკას ბეჯითად ასწავლიდა; ლუდვიგი დიდ ნიჭს იჩენდა მუსიკისას. იოგანნე თუმცა ღარიბი იყო, მაგრამ ტყავს იძრობდა და შვილი კი საუკეთესო მასწავლებლებთან მიჰყავდა. მამას უნდოდა ლუდვიგს მალე შეესწავლა საქმე, თავის გარჯა-მუშაობით ლუკმა პური ეშოვნა და ხელი შეეშველებინა დედ-მამის გაჭირვებულ ცხოვრებისათვის. ეს ასეც მოხდა: 15 წლის ლუდვიგს ჩვენ უკვე ვხედავთ ორგანისტად ეკლესიაში. მაგრამ ლუდვიგის გენიოსობა სხვა ასპარეზზე, სხვა მხრივ იმზირებოდა.

ვერაფერმა შეაკავა ბეთჰოვენი, ვერც მამის გაჭირვებულმა ცხოვრებამ, ვერც დედის ცრემლებმა და 15-16 წლის ლუდვიგმა ვენაში ამოყო თავი.

ავსტრიის დედა ქალაქი იმ დროის სამუსიკო ცენტრად ითვლებოდა ევროპაში; აქ სცხოვრობდნენ მარშლად წოდებულნი მუსიკოსნი: ნეფე, ზეიფლეიცი, გუმმელი და სხვა, და ყველა ამათ სათავეში უდგნენ სახელგანთქმული ჰაიდნი და თვით მოცარტი. აი ეს ქალაქი იყო ბეთჰოვენისათვის საოცნებო.

ვენაში ლუდვიგმა მალე მიიქცია მუსიკოსების ყურადღება და, ასე გასინჯეთ, ქალაქის უმაღლესი წრეც ეძებდა შემთხვევას მოესმინა ბეთჰოვენის იმპროვიზაცია ფორტეპიანოზედ. ლუდვიგის ოცნება სინამდვილედ გარდაიქცა. მან გატაცებით შეისწავლა მუსიკა ჰაიდნის ხელმძღვანელობით. მაგრამ დადგა მალე დრო, როდესაც ლუდვიგი გაცრუებული იმედებით უსმენდა თავის მასწავლებლის გაკვეთილებს. მასწავლებელი გაოცებაში მოჰყავდა მოწაფის სავარჯიშო ნაწერებს; იგი ამ ნაწერებს დიდხანს უკრავდა და აკვირდებოდა უცნობ, ახალ-ახალ ხმათა კომბინაციებს; ნათლად ჩანდა, რომ მასწავლებელი ვერაფერს მისცემდა თავის მოწაფეს და მოწაფე კიდევ ვერაფერს მიიღებდა მასწავლებლისაგან; ევროპაში სახელ განთქმული, მუსიკის მარშალი ჰაიდნი და გენიოსი მოწაფე ერთმანეთს უნდა დაშორებოდნენ. ეს ასეც მოხდა. ჰაიდნმა თავის სამოღვაწეო ასპარეზად ამოირჩია ლონდონი, სადაც მას სიკვდილამდე მეფური დიდება და ცხოვრება ელოდა, ბეთჰოვენი კი დარჩა ვენაში, სადაც იგი ცხოვრებამ აწამა და ჯვარს აცვა.

დაახლოვებით, ასე, ოც და ათის წლისა იქნებოდა, როდესაც ბეთჰოვენმა იგრძნო საშინელი ავადმყოფობა, რამაც შემდეგში ამ კაცის გენიოსური ცხოვრება გარდააქცია უსიხარულო ცხოვრებად უბედური კაცისა. ეს ავადმყოფობა იყო სიყრუე.

ამ საშინელმა სენმა მიიყვანა ეს კაცი იქამდის, რომ იგი არამც თუ საზოგადოებაში, არამედ ამ ქვეყანადაც მარტოდ მარტო გრძნობდა თავის თავს, როცა იგი ველარ ჰპოვებდა ნუგეშს იმ საქმეში, რაც შეადგენდა მთლად მის ცხოვრების დანიშნულებას.

ცნობილი ბიოგრაფი, მწერალი და მუსიკოსი ფ. გილლერი თავის საინტერესო წიგნში გვაძლევს ფრიად საყურადღებო ცნობებს მუსიკოსის ცხოვრების უკანასკნელ დღეების შესახებ; აი როგორ აგვიწერს გილლერი იმ უკანასკნელ დარბაზობას, რომელიც თვით გილლერმა და გუმმელმა გადაუხადეს ბეთჰოვენს.

„მე და ბეთჰოვენის მეგობარი, გუმმელი წავედით მუსიკოსის სანახავად; ყველამ ვიცოდით მისი ავადმყოფობა. მივდიოდით მაღლა სართულის კიბეებზედ და გული მიცემდა, რომ ჩემი თვალები დაინახავდნენ ჩვენი დროის ერთს უდიდეს გენიოსს. გავიარეთ ვიწრო ორღობე, შევედით ღარიბ ოჯახში, გუმმელმა გადაჰკოცნა ბეთჰოვენი, ბეთჰოვენმა გულში ჩაიკრა გუმმელი. ოთახის მორთულობა ფრიად ღარიბი იყო, ვნახე ბევრი შკაფები, კარიდორშიაც კი, ქაღალდებით გატენილი. ეს მუსიკოსის ნაწერები იყო, აქ იყო მილიონების დაგროვილი სიმდიდრე, რომელიც მუსიკოსს შევიწროების და შეწუხების მეტს არას აძლევდა, ხოლო შემდეგში ამ ნაწერებმა არა ერთი და ორი ფირმა გაამდიდრა და მილიონები შესძინა. მუსიკოსმა სიყვარულით მოიგონა ზოგიერთი თავის მეგობარი, მათ შორის გიოტეც. ბოლოს მწუხარებით დაიწყო ჩივილი თავის უნუგეშო ცხოვრებაზე: აგერ ოთხი თვეა ლოგინათ ვარ ჩავარდნილი, მეშინიან დიდი ხანი არ გაგრძელდეს ჩემი ასეთი მდგომარეობაო. ბეთჰოვენი შეეხო აგრეთვე იმ დროის მუსიკაში გამეფებულ გემოვნებას; იგი ვერ შერიგებოდა იმ უმიზნო და უმნიშვნელო მფარველობას, რასაც ეწეოდნენ მეფე-დედოფალი უნიჭო და დილეტანტ მუსიკოსებისადმი.

„მართალია, საშინელებაა, მაგრამ მეტი ღონე არ არის... დასწერე რამე. და მიუძღვენ დედოფალს, იქნებ რამე წყალობა მოიღოსო“—ურჩევდა გუმმელი თავის მეგობარს. ალბათ მეგობრის ამნაირი რჩევა ბეთჰოვენს ბუნებას არ ეგუებოდა და მან მწარე სარკაზმით მიახალა გუმმელს: „იცი რა გითხრა, ჩემო მეგობარო, მოდი დასწერე „ცოდვათა მონანიების საგალობელნი“ და მიართვი მის უდიდებულესობას, ეს წიგნი საუკეთესო საკითხავი და გასართობი იქნება მისთვის“. ამ სიტყვების შემდეგ მუსიკოსმა გულიანად გადაიხარხარა. ასე დასცინოდა მუსიკოსი გვირგვინოსნებს, რომლებიც უკვე მუსიკოსებს ჰკვებავდნენ, ხოლო ნიჭიერებს ვერ ეპოვნათ მათი მფარველობა.

ბეთჰოვენმა გენიალური მეცხრე სიმფონია უძღვნა გენერალ ბონაპარტს. შემდეგ, როცა მან გაიგო, რომ გენერალმა თავის თავი მეფედ გამოაცხადა, პარტიტურაში პირველი წარწერა „ვუძღვენი ბონაპარტსო“ ამოშალა.

თუმცა გერმანელების ხელოვნებამ გადმოიღო კლასიური ფორმა რომაელების და ბერძნების კულტურისა და შეითვისა მათი ენაც კი, თუმცა გერმანელებმა იტალიელებიდგან მიიღეს მუსიკა მთლად თავისი ფორმებით, მაგრამ ბუმბერაზი თხზულებანი ბეთჰოვენის გენიოსობისა ნათლად გვიჩვენებენ, რა შინაარსი შეუძლია ნიჭიერ ხელს ჩააქსოვოს და ჩასტიოს ამ გარეგნულ ფორმაში. მარტო ბეთჰოვენის მუსიკაზე არ ითქმის ეს. ასევე უსაზღვრო იდეით აღსავსეა მუსიკა ვაგნერისა; მაგრამ ბეთჰოვენს განსაკუთრებული პირობები დაუმზადა ბედმა; ვენის ქუჩებზე მოხეტიალეს განა შეეძლო თვალებით ეგრძნო ახმაურებული ქალაქის სიმშვენიერე? სიყრუემ მთლად მოსწყვიტა და დაუხშო უკანასკნელი საშუალებაც კი მოესმინა თავისი მუსიკა მაინც: იგი მარტო თავის გულში ლანდივით მოელინებულ ხმებს ელაპარაკებოდა. აი ამ დროს, ამ მდგომარეობაში ჰქმნის იგი დიდებულ ნაწარმოებს,—აქ უფრო გვაოცებს მისი გენიოსობა.

მართალია ბეთჰოვენის შემდეგაც ითქვა მუსიკაში ბევრი რამ ახალი, ბერლიოზმა თავისი გრანდიოზული საორკესტრო ნაწარმოებით, ლისტმა—სიმფონიური პოემებით, შუმანმა—რომანტიზმით აღსავსე კამერული კომპოზიციებით გადასდგეს კიდევ არა ერთი და ორი ნაბიჯი წინ, მაგრამ მათ მიერ თქმული ახალი სიტყვა შედარებით ბეთჰოვენთან, შეადგენს მხოლოდ რაღაც ახალს, რომელსაც ვერ შეუძლიან მიაყენოს რაიმე ჩრდილი ამ გენიოსის მოღვაწეობას, როგორც სიმფონიურსა და კამერულ სტილის დამაგვირგვინებელს. თუმცა მუსიკის ხელოვნებაში არა ერთი სიტყვა ითქვა ახალი, თუმცა ბეთჰოვენის შემდეგაც დაიწერა არა ერთი და ორი ბუმბერაზი ნაწერები, მაგრამ ამ მუსიკის თხზულებები არსებითად დარჩებიან ჩვენთვის მუდამ ახლებად. დრომა და ჟამმა ისინი ვერც დააბერა.

გავიდა 100 წელი, კიდევ გაივლიან მრავალნი წელნი და მეცხრე სიმფონია ბეთჰოვენისა დარჩება ხმატკბილობის შეკრულ კონად, რომლითაც გაეცნო კაცობრიობა ბგერათა ოკეანეს სივრცეს, რომელიც მუდამ დაუჭკნობელი და სურნელოვანი იქნება. არა მარტო მეცხრე სიმფონია, არამედ მე-5-თე მე-7-ე მე-8-ე სიმფონიებიც სათითაოდ წარმოადგენენ პოემებს ბუნებაში გაბნეულ ხმებისას. მისი 32 სონატა დღესაც შეადგენენ ფორტეპიანოს საუკეთესო ლიტერატურას, მისი სასიმო კვარტეტები დღესაც ამშვენებენ კამერულ მუსიკის კონცერტების პროგრამას.

ი. კარგარეთელი.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

საგაზაფხულო მუშაობა

ოზურგეთი, 25 მარტი. გურიის სოფლებში გლეხთა მეურნეობებში უკვე შეუდგენ საგაზაფხულო მუშაობას. უკვე დაიწყო ვენახის ვაზვა, ხეხილების შეკრეჭა და ნერგების გაშენება.

დიდი მოთხოვნილებაა სახალო ინსტრუმენტებზე: სეკატორებზე, მაკრატელზე, ხერხებზე, ამ მოთხოვნილებას ასი პროცენტით აკმაყოფილებს საკრედიტო ამხანაგობა შეღავათიან პირობებში.

იანვარში მოსულ თოვლს არ დაუზიანებია ძვირფასი კულტურები და სუბტროპიკული ნერგები (ადს).

მალარია

ოზურგეთი, 25 მარტი. ზამთრისა და სიცივეების პერიოდში ოზურგეთის რაიონში მალარიით დაავადმყოფების რიცხვი ერთბაშად დაეცა მინიმუმამდე. 1 იანვრიდან 23 მარტამდე მალარიის სადგურში გატარდა 660 ავადმყოფი, შარშან კი იმავე პერიოდში გატარებული იყო 1,200 ავადმყოფი.

ეხლა, თბილი ამინდების დაწყების შემდეგ სადგურში კვლავ მოიმატა ავადმყოფების რიცხვმა (ადს).

ქალაქის კეთილმოწყობა

ფოთი, 25 მარტი. ქალაქის ბაღში, რომელიც წარსულ წლებში დაზიანდა ყინვით, რგავენ ახალ ტროპიკულ მცენარეებს. ამ სამუშაოსათვის აღმასკომმა გადასდო 13.000 მან (ადს).

ოვანეს თუმანიანის ხსოვნას

ახალციხე, 24 მარტი. სომეხი პოეტის ოვანეს თუმანიანის გარდაცვალების წლის თავზე ახალციხის სომხურმა ცხრაწლედმა გამართა ლიტერატურული საღამო. მოწაფეებმა გააკეთეს მოხსენებები თუმანიანის შემოქმედების შესახებ (ადს).

სამხრეთ-ოსეთი

საგაზაფხულო მუშაობა

ცხინვალი, 24 მარტი. ზამთარმა წელს საკმაოდ დიდხანს გასტანა. მთებში ჯერ კიდევ დიდი თოვლია. ჩვეულებრივ, მარტის შუა რიცხვებში თავდება მიწის ხვნა ბარში, მაგრამ წელს გლეხობა ჯერაც არ შესდგომია მუშაობას. მთაში გამოილია ზამთრის საკვები მასალა.

მიწებს კულაკები დაეპატრონენ.

(ყაზბეგი).

ამ თემში არის ძველი მემამულეების ნაქონი მიწები, რომელთა დაყოფა-დანაწილება ხშირად აურზაურს იწვევს, რაიც თითქმის ყოველწლობით ხდება, მიუხედავად ამისა, ვერც ერთხელ წესიერად ვერ დაანაწილეს ეს სასოფლოდ გადაქცეული მიწები.

ამ დაყოფაში გამოჩნდენ კულაკი გლეხებიც და მოიფიქრეს ძველებურად გათარეშება. თუმცა აქ ბევრი არ მოიპოვებიან ბობოლა გლეხები, მაგრამ საკმაო მაინც არიან. ესენია: მოვაჭრეები, დიდი მეცხვარეები და სხვ.

ამათაც სასოფლო მამულებიდან თითქმის იმდენი ნაკვეთები მისცეს, რაც ღარიბ და საშუალო გლეხობას. ისინიც ისე სარგებლობენ ამ მამულებით, როგორც ღარიბი და საშუალო გლეხები.

ამას ყურადღება არავინ მიაქცია, მიუხედავად იმისა, რომ ყაზბეგში ყოველი არშინი მიწა გლეხისათვის დიდ რამეს წარმოადგენს.

შვილდ-ისარი.

ბეწვზე გადარჩენილი.

(წერილი ხონიდან, ქუთ. მაზრა).

შ. ხონი ქუთაისის მაზრაში ერთ-ერთი დიდი სავაჭრო ქალაქია, რომელსაც გარს არტყია ხშირად დასახლებული მრავალი დაბა-სოფელი ხონში თვალსაჩინო ბაზარია, სადაც ქუთაისისა და სენაკის მაზრის გლეხობა თავის ნაშრომს ასაღებს. განსაკუთრებით პარასკეობით არაჩვეულებრივი სიცოცხლე და მოძრაობა ემჩნევა ხონს: მისასვლელი გზები სავსეა ქვეითი და ურმის მგზავრებით. მაგრამ უნდა აღინიშნოს ერთი სამწუხარო მდგომარეობა. ქუთაისისა და ხონის გზატკეცილზე მოძრაობა დიდათ შეფერხებულია უხიდობის გამო. რამდენიმე წელია მას შემდეგ, რაც გუბის წყალმა გაიტაცა საუკეთესო რკინა-ბეტონის ხიდი, მის მაგივრად არაფერი სჩანს; გაიშალა ბორანი, რომელსაც 80-დე ფუთი სიმძიმე აჰქრებს და წყალდიდობაც უვარგისად ხდის.

მიმდინარე წლის თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში ქ. ქუთაისიდან ხონში მიმავალი 12—13 წლის ახალგაზრდა მეურმე გამალებით მიერეკებოდა ხარებს, სიცივისაგან გაყინულ ხელებს დაფლეთილ ფარაჯაში ითბობდა, რომ კიდევაც მიადგა ძალზე ადიდებულ მდინარეს (გუბის წყალი); ბორანიც ვერ მუშაობს, გასვლა საშიშია. გავიდეს თუ არა? ათასგვარი ფიქრებით გაჰყურებს აქაფებულ მდინარეს. არა! უნდა გავიდეს! სახლში ეჩქარება. ხარებიც მშიერი ჰყავს. მცირე ყოყმანის შემდეგ შეუდგა ფონით გასვლას; შუა მდინარეში შესვლისთანავე წყალმა გაიტაცა ხარი და ურემი, საწყალი მეურმე სასოწარკვეთილი გაჰკივის, ყველას იმედი გადაწყვეტილი აქვს. მაგრამ თვალის დახამხამებაში ჩაეშვენ მდინარეში მებორნე გლეხი ვასილი სანოძე და მისი ამხანაგები, რომლებმაც თავგანწირული ბრძოლის შემდეგ გაგიჟებულ მდინარეს გამოსტაცეს ურმის მხოლოდ ერთი ნაწილი და მასთან ხარები. წყლიდან ამოიყვანეს შიშისა და სიცივისაგან თავზარდაცემული მეურმეც. ბევრი იყო ამ სურათის მოწმე. ხშირია აქ ასეთი შემთხვევები. ეს შემთხვევა ერთხელ კიდევ მოწმობს, თუ რამდენად დიდი ხიდის საჭიროება გუბის წყალზე.

ხ—ნი.

მთელი წლის სარჩო ცეცხლმა შთანთქა

(ავჭ. თემი, თბილისის მაზრა).

ამის წინეთ სოფ. ქვემო-ავჭალაში დატრიალდა დიდი საცოდაობა: ორ გლეხის უშანგაშვილების საბძლებს გაუჩნდა ცეცხლი და მთლად გადაბუგა.

ეს გლეხები ითვლებიან ღარიბ გლეხებათ, მათ მთელი წლის მოსავალი პური, თივა, ქერი, ბზე შენახული ჰქონდათ საბძელში, რომელიც დაშორებული იყო სახლზე 100 საჟენის მანძილით. ვისგან ან საიდან გაუჩნდა ცეცხლი საბძლებს, არავინ იცის. ცეცხლს არაფერი ეშველა, მიუხედავად იმისა, რომ სადგურ ავჭალის სახანძრო ხელსაწყოებიც მოიხმარეს.

ამჟამად მათ საქონელი შიმშილით ეხოცებათ და არავინაა, რომ დაზარალებულთ დაეხმაროს, ან სესხი მისცეს. კარგი იყო, რომ ამ გლეხებს საბძლები დაზღვეული ჰქონოდათ, მაგრამ ეხლა გვიანღაა ამაზე ლაპარაკი.

საჭიროა მთავრობამ ყურადღება მიაქციოს და აღმოუჩინოს რაიმე დახმარება მათ.

აკ.

მუშათა ცხოვრება

გავაძლიეროთ ხელმძღვანელობა საწარმოო თათბირებზე

დღეს ყოველ მოწინავე მუშამ და მოსამსახურემ იცის, თუ რა მნიშვნელობა აქვს საწარმოო თათბირებს ჩვენი მრეწველობის განვითარებისათვის. რამოდენიმე წელიწადია არსებობს საწარმოო თათბირები და ამ ხნის განმავლობაში, სადაც კი არსებობდა და თავის სიმაღლეზე იდგა იგი, წარმოება გაჯანსაღებულია, ბევრი თვალსაჩინო ნაკლულევანებები გამოსწორებულია. მაგრამ, როგორც ამბობს ს. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტი თავის ცირკულიარში საწარმოო თათბირების მუშაობის გაჯანსაღების შესახებ—„საწარმოო და ეკონომიურ თათბირების მუშაობაში ისევ რჩება მთელი რიგი დეფექტები".

ამ დეფექტებში პირველად ყოვლისა აღსანიშნავია ცუდი ხელმძღვანელობის საკითხი. თვის-თავად ცხადია, სადაც ხელმძღვანელობა არ არის, იქ საქმე კარგად ვერ იქნება დაყენებული. ჩვენს საწარმოო თათბირებსაც ხელმძღვანელობა აკლიათ. ვინ უნდა უხელმძღვანელოს საწარმოო თათბირებს? რასაკვირველია პროფესიონალურმა, პარტიულმა და სამეურნეო ორგანოებმა. ამ ორგანოებმა უნდა ეცადონ საწარმოო თათბირებში რაც შეიძლება მეტი აქტიური მუშები ჩააბან; თავ-თავის დროზე მოიწვიონ თათბირების სხდომები; რაც ყველაზე საყურადღებოა წინასწარ უნდა დაამუშავონ თათბირებზე გასარჩევი საკითხები. თათბირების მუშაობას შემთხვევითი ხასიათი არ უნდა ქონდეს, როგორც ეს დღეს არის. კანტროლი უნდა გაეწიოს, თუ რამდენად ტარდება ცხოვრებაში თათბირის დადგენილებები. ამასაც დიდი მნიშვნელობა აქვს თათბირების მუშაობის გამოსაცოცხლებლად და მასში მუშების მეტი რაოდენობით ჩაბმისათვის. მუშებმა უნდა დაინახონ, რომ საწარმოო თათბირები სალაყბო დაწესებულება არაა, ისინი ჩვენი წარმოების საჭირბოროტო საკითხებს არჩევენ, გამოაქვთ დადგენილებები წარმოების აღორძინებლად, და ეს დადგენილებები ცხოვრებაში ტარდება.

როგორც ამბობს თბილისის კომიტეტის ცირკულიარი თათბირის სხდომაზე „მოსმენილ უნდა იქნეს ადმინისტრაციის ინფორმაცია თათბირების დადგენილებათა შესრულების შესახებ". ცხადია, ყველა ეს საკითხები მოგვარდება, საწარმოო თათბირების მუშაობა გამოცოცხლდება, თუ საწარმოო თათბირებზე გაძლიერებულ იქნა სწორი ხელმძღვანელობა სათანადო ორგანოების მიერ.

ლ.

პრაქტიკანტების შესახებ

უკვე ახლოვდება როგორც აგრონომიული, ისე საინჟინერო დარგის სტუდენტების პრაქტიკაზე წასვლის დრო, თუ ეხლავე არ შეუდექით საქმეს, მერე გვიან იქნება.

საჭიროა დაჩქარებით გამოიცეს განკარგულება შრომის კომისარიატის მიერ, როგორც ეს შარშან იყო, რომ ის სტუდენტები, რომელნიც მიდიან პრაქტიკაზე—განთავისუფლებული იქნენ დროებით უჯამაგიროდ, მხოლოდ სამსახურის შენახვით. საჭიროა რაც შეიძლება მეტი რიცხვი სტუდენტებისა გაგზავნილ იქნეს პრაქტიკაზე, რათა ახალგაზრდობამ ადრე და კარგად შეითვისოს პრაქტიკული ცოდნა-გამოცდილება.

მუშკორი გოგებაშვილი.

ლოთებს და სიმულიანტებს არ უნდა დახმარება

გაზ. „რაბოჩი პრავდა"-ს № 60-ში დაიბეჭდა თბილისის უბკავშირის დამზღვევ სალაროს თავმჯდომარის ამხ. ვანო ლაშქარაშვილის წერილი, რომელშიც ის სხვათა შორის ამბობს, რომ ლოთობიდან გამოწვეულ ავადმყოფს უნდა მიეცეს მისი დღიური ხელფასიდან 50 პროცენტი, ე. ი. მისი ჯამაგირის ნახევარიო. მე ამაზე მინდა უპასუხო, რომ არც ერთი კაპიკი არ უნდა მიეცეს ასეთ ავადმყოფებს, როგორიც არიან ღვინო-არყიდან დაავადმყოფებულნი. გარდა ამისა, ბევრი მოიპოვება ჩვენში, ისეთები, რომლებიც სიმულიანტობენ, და დამზღვევ სალაროდან ღებულობენ გაცდენილ დღეების ჯამაგირს. ეს ყოვლად დაუშვებელია. ასეთი საშუალებებით ჩვენ ვერ შევსძლებთ ლოთობის და სიმულიაციის წინააღმდეგ ბრძოლას. სიმულიანტებს და სიმთვრალით დაავადმყოფებულებს, ვიმეორებ, არც ერთი კაპიკი არ უნდა მიეცეს არც წარმოებიდან და არც დამზღვევ სალაროდან. ამნაირი მიმართულებით შესაძლებელია შემცირდეს ლოთობაც და სიმულიაციაც.

მუშკორი ძია ლევან.

საჭიროა საბავშვო ბიბლიოთეკა

ლენინის უბანში ამჟამად ორმოც ათასზე მეტი მცხოვრებია. ყველა ესენი უმთავრესად მუშა-მოსამსახურეები არიან.

ხსენებულ უბანში ბევრი რამ გაკეთდა. ზოგიერთ ქუჩებში გაყვანილია კანალიზაცია, ქვაფენილები, გაშენებულია დასასვენებელი ბაღები და სხვ. მაგრამ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. მათ შორის პირველი ადგილი უჭირავს საბავშვო ბიბლიოთეკას, რომელიც ამჟამად ლენინის უბანში არ არსებობს.

აქ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პლეხანოვის სახელობის კლუბში მოწყობილი ბიბლიოთეკა ვერ აკმაყოფილებს მთელი ლენინის უბნის მცხოვრებლების მოთხოვნილებას, რადგანაც ერთ და იმავე დროს აქ ხდება წიგნების გაცემაც და ადგილობრივ მკითხველების დაკმაყოფილებაც.

ლენინის უბანში უნდა გაიხსნას ერთი საბავშვო ბიბლიოთეკა.

მუშ. ხითხელი.

მუშათა ქრონიკა

— **კონცერტი მუშებისათვის.** დღეს პლეხანოვის სახ. კლუბში ოპერის მსახიობთა მონაწილეობით გაიმართება კონცერტი.

— **„წითელი ჯვარი".** რკ. გზ. მეორე დისტ. რაზმში დაარსდა „წითელი ჯვრის" საზოგადოება.

— **წარმოდგენა.** დღეს ორჯონიკიძის კლუბში ადგილობრივ დრამწრის მიერ წარმოდგენილ იქნება ნ. ნაკაშიძის პიესა „ვინ არის დამნაშავე".

— **შუამდგომლობა.** სადგ. გორის საწარმოო თათბირმა დაადგინა ეთხოვოს სახანძრო განყოფილებას, რათა სადგ. გორში დაარსდეს სახანძრო რაზმი.

— **ექსკურსიები.** სადგ. თბილისის მოძრაობის დარგის ადგილკომმა მოაწყო 5 ექსკურსია.

— **მუშების დაწინაურება.** სადგ. თბილისის ადგილკომმა ერთი წლის განმავლობაში დააწინაურა 90 მუშა-მოსამსახურე.

წითელ ჯარში

არტილერისტთა ზეიმი

გუშინ 1-ლ ქართულმა საარტილერიო ლეგიონმა იდღესასწაულა თავის არსებობის 6 წლის თავის შესრულება.

1-ლ საარტილერიო ლეგიონს აქვს ბრწყინვალე წარსული.

იგი დაარსებული იქნა ქ. ბათომში 1921 წლის 25 მარტს. პირველად ეწოდებოდა მას 1-ლი მუშათა და გლეხთა საარტილერიო დივიზიონი. მოკლე ხნის შემდეგ დივიზიონი დაბანაკდა თბილისის მაზრის სოფ. საგარეჯოში, სადაც იგი შეუდგა თავისი რიგების შევსებას და სწავლების წარმოებას.

პირველ ხანებში დივიზიონი განიცდიდა დიდ მატერიალურ გაჭირვებას; არ იყო არმიელთათვის ტანსაცმელი, საკმაო საჭმელ-სასმელი. მიუხედავად ამისა, დივიზიონის მთელი შემადგენლობა პირნათლად ასრულებდა მთავრობის ყოველივე დავალებას.

დივიზიონს თავის არსებობის გზაზე ბევრჯერ მოუხდა შეტაკება მშრომელთა მტრებთან. იგი იღებდა მონაწილეობას ბანდიტიზმის ლიკვიდაციაში სვანეთში, სადაც მან ამოცანა ბრწყინვალედ შეასრულა.

1924 წელს დივიზიონი გადაკეთებულ იქნა საარტილერიო ლეგიონათ და იგი განაგრძობს წითელ არტილერისტთა მზადებას.

ლეგიონს დიდი მიღწევები აქვს აგრეთვე პოლიტ-საგანმანათლებლო დარგში.

წითელი არტილერისტები ზარბაზნების შესწავლასთან ერთად, ეტანებიან პოლიტ-საგანმანათლებლო დარგს და იღებენ მხურვალე მონაწილეობას კლუბის, ბიბლიოთეკის და ლიკპუნქტების მუშაობაში.

წითელ არტილერისტებმა ლეგიონის დღესასწაული გადაიხადეს ზეიმით. მათ ერთხელ კიდევ მისცეს სიტყვა საქართველოს მშრომელთ, რომ განაგრძობენ მედგრათ სიარულს ნაცადი გზით და მათი ზარბაზნები ყოველთვის მზად იქნებიან ცეცხლში გაახვიონ მშრომელთა მტრები.

ი. ზ.

თბილისის გარნიზონის სამხკორთა თათბირი

პირველი სხდომა

გუშინ, 25 მარტს, საღამოს 5 საათზე წითელ არმიის და ფლოტის სახლის სათეატრო დარბაზში გაიხსნა თბილისის გარნიზონის სამხკორთა თათბირი.

პრეზიდიუმის სამდივნოს და სამანდატო კომისიის არჩევნების შემდეგ მოსმენილ იქნა მისასალმებელი სიტყვები.

მისალმებები

არმიის პოლიტიკური სამმართველოს სახელით თათბირს ესალმება ამავე სამმართველოს უფროსი ამხ. რატნეკი. თავის სიტყვაში იგი ეხება იმ უდიდეს მნიშვნელობას, რომელიც აქვს სამხკორის საქმიანობას წითელ არმიის ბრძოლის უნარიანობის განმტკიცებაში და უსურვებს თათბირს წარმატებით გადასჭრას ყველა ის საკითხები, რომელნიც სდგანან მის დღის წესრიგში.

ამხ. რატნეკის სიტყვის შემდეგ თათბირს ესალმებიან გაზ. „ზარია ვოსტოკა"-ს და „კომუნისტი"-ს მუშკორთა წარმომადგენლები, რომელნიც ამბობენ, რომ საჭიროა ამიერიდან მჭიდრო კავშირის დამყარება სამხკორთა და მუშკორთა შორის, ვინაიდან ამას მოითხოვს საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესები.

დღის წესრიგი

მისასალმებელ სიტყვების შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი დღის წესრიგი, 1) სამხედრო-პოლიტიკური სწავლება და სამხკორთა ამოცანები, 2) სამხკორთა მუშაობის შედეგები მანევრებზე და სამხკორის როლი ბრძოლის დროს, 3) მუშაობა სამხკორთა აქტივთან, 4) აღმშენებლობითი მუშაობის წარმოება სამხკორთან, 5) სამხედრო პროპაგანდა სამოქალაქო პრესაში და სხვა.

დამსახ. პროფ. პ. მელიქიშვილის გარდაცვალების გამო

საყვარელ მასწავლებლის ხსოვნას

ძნელი ასაწერია ის უდიდესი მწუხარება, რომელიც თავს დაგვატყდა ძვირფასი, დაუფასებელი და საყვარელი დამსახურებული პროფესორ პეტრე გრიგოლის ძე მელიქიშვილის სიკვდილის გამო. განსაკუთრებით ძნელია ეს ჩვენთვის, მის უახლოეს თანამშრომელთათვის, ვინაიდან ყოველდღიურ ცხოვრების მაგალითით, თავისი ხელმძღვანელობით და ჩვენზე მამობრივი ზრუნვით მან თავისადმი განსაკუთრებული სიყვარული ჩაგვინერგა. ის იშვიათი ადამიანი იყო: ბუნებით მდიდრათ შემკული და მრავალგვარ ძვირფას თვისებებით დაჯილდოვებული. ამას გრძნობდა ყველა, ვისაც კი ოდესმე ჰქონია მასთან რაიმე საქმე. პირველ შეხვედრაზევე ყველა აღტაცებაში მოჰყავდა მის რბილ, თავაზიან და უსაზღვრო ზრდილობიან მოპყრობას. მასში ჩანერგილი იყო რაღაც მომხიბლავი მიმზიდველობა. მისი ღრმა, დიდი, მაგრამ მუდამ ნაღვლიანი და სევდით მოსილი თვალები სჭვრეტდენ მასთან მოსაუბრე ადამიანს და სწრაფად უკეთებდენ ანალიზს. გულჩვილი და უზომოთ გულკეთილი ის ყოველ წუთს მზად იყო კეთილი საქმისათვის და ვერავინ ვერ ასწრებდა ამ საქმის სისრულეში მოყვანას. საკმარისია ცოტათი მაინც გაეცნობოდით მის ხასიათს, რომ გეგრძნოთ ამ გარეგნულად მკაცრ ადამიანში რამდენი სულის სიდიადე, ლმობიერება, ადამიანის პიროვნებისადმი პატივისცემა და ზრუნვა იყო განხორციელებული. ვისაც ერთხელ მაინც მოუხდებოდა მასთან მუშაობა არ შეეძლო არ ეგრძნო მისი მამობრივი სიყვარული და ყურადღება. სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ამ იშვიათ ადამიანს და მასწავლებელს არ ავიწყდებოდა უნივერსიტეტის და თანამშრომლების საქმეები.

ის მკაცრი იყო და დიდ მოთხოვნილებას უყენებდა ყველას, ვინც კი მის ხელმძღვანელობით მუშაობდა, მაგრამ მას ამის უფლება ჰქონდა, რადგან იგი ათასჯერ მეტ მოთხოვნილებას უყენებდა თავის თავს.

მისთვის კერძო ცხოვრება არ არსებობდა. ლაბორატორია იყო მისი ოჯახი და მისი კერა. ამ საერთო ოჯახში იგი განიცდიდა მწარე და ტკბილ წამებს.

ჩვენი ძვირფასი მასწავლებელი დაუშრეტელი წყარო იყო მრავალმხრივ ცოდნისა. არ მოიპოვება დარგი მეცნიერებისა, რომელშიაც ის ყოფილიყო ჩაუხედავი და რომლიდგან არ ჰქონოდა მას მრავლად ამოკრეფილი და დაგროვილი მის იშვიათ-ნათელ თავში საჭირო მასალა. იგი წარმოადგენდა ცოცხალ ენციკლოპედიას ყოველთვის და ყველასათვის ადვილად მისაწვდომს. ბუმბერაზი მეცნიერი და ცოდნით აღსავსე მასწავლებელი მთელი თავისი სიცოცხლის დროს უნერგავდა მოწაფეებს ქიმიის აზრის ლოღიკას და მეცნიერულ კვლევა-ძიების ინიციატივას, მან სიცოცხლის დროსვე თავისი უმწიკლო უანგარო სამეცნიერო მოღვაწეობით და დაუღალავი შრომით აიშენა ხელუქმნელი ძეგლი.

სამუდამოდ დარჩება, საყვარელო მასწავლებელო, შენ უახლოეს დაობლებულ მოწაფეთა გულში შენი ნათელი ხსოვნა და შენი ცხოვრების ცოცხალი მაგალითი დაიდება საძირკვლად, როგორც ჩვენ სამეცნიერო მუშაობას, ისე ყოველდღიურ ცხოვრებას.

მისი ლაბორატორიების თანამშრომელნი და მოწაფენი.



პროფ. პ. მელიქიშვილი კუბოში—პროფსაბჭოს მცირე დარბაზში

პროფ. მელიქიშვილი ბათომში

(მოგონება)

აპრილის პირველ რიცხვებში 1923 წელს, განათლების სახკომმა, ამხ. დ. კანდელაკმა მითხრა, რომ ბათუმში სამკურნალოთ ჩამოვა პრ. მელიქიშვილი და ეცადეთ ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოთო. მე პირადათ არ ვიცნობდი პროფესორს, თუმცა ბევრი რამ გამეგონა მის შესახებ, როგორც დიდ მეცნიერზე. ამხ. კანდელაკის თხოვნამ ძალიან მასიამოვნა და მოუთმენლათ ველოდი, როდის მეწვეოდა ბათუმში იშვიათი სტუმარი.

ერთ დღეს, ადრე დილით, ვიღამაც კარებზე დააკაკუნა. გავაღე. ჩემ წინ იდგა ხელში პატარა ბარგით, საშუალო ტანის, ფერმკრთალი და შელახულ ტანსაცმელში გამოწყობილი მოხუცი. შევეკითხე, რა ნებავს. მოხუცმა მიიღო ძალიან დარცხვენილი სახე. ის ბოდიშს იხდის შეწუხებისათვის და მოვიდა ჩემთან ამხანაგ კანდელაკის თხოვნით, რომ რამდენიმე საათი დაჰყოს ჩემს ბინაზე და შემდეგ კი დავეხმარო მუდმივ ბინის საშოვნათ ბათუმში მკურნალობის დროს. თანაც წყნარათ დაუმატა: „მე ვარ პრ. მელიქიშვილი".

ამ სიტყვების გაგონებისთანავე გამოვართვი ბარგი, და ვთხოვე შემობრძანებულიყო ბინაში. თანაც დაუმატე, რომ თუ მას არ სურს მასპინძლის შეურაცყოფა, არავითარ ახალ ბინაზე არ იფიქროს, ვინაიდან მისი ბინა იქნება ჩემი სახლი და თუ ამით მას ხელს შეუშლი, მე გადავალ სხვაგან. ბევრი თხოვნის შემდეგ დავათანხმე პროფ., რომ მე ის არ შემაწუხებს და, პირიქით, ძალიან მასიამოვნებს, თუ ჩემთან დარჩება სიცხოვრებლად.

პირველ საუბრიდანვე არაჩვეულებრივად მიმიზიდა ამ ადამიანმა. ჩვენი ბაასი შეეხებოდა მეცნიერებას. პროფესორი მომიყვა მის მიერ საზღვარგარეთ ნახულისა და ნაშრომევის შესახებ. მისმა მახსოვრობამ მე გამაკვირვა. 40—45 წლის ამბავს ისე ჰყვებოდა, თითქოს გუშინდელი ამბავიაო. აქ ძნელია იმის გადმოცემა, რასაც მიამბობდა ხოლმე ეს დიდი ადამიანი. აღნიშნავ მხოლოთ თუ როგორ უყურებდა გამოჩენილი პროფესორი დამხობილ მეფის მთავრობას.

ერთხელ მან მიამბო შემდეგი: ოდესის სტუდენტებს გადაეწყვიტა ჩემს აუდიტორიაში მოეწყოთ ჩუმი კრება. ეს ამბავი გაეგო პოლიციელებს. ლექციაზე მოვიდნენ შეიარაღებული შავრაზმელი სტუდენტებიც. კრების გახსნისას უკანასკნელებმა ასტეხეს ხმაურობა და რევოლვერით მოკლეს ერთი სტუდენტი. პოლიციელებს, რომელთაც უნდოდათ სისხლი დაეფარათ ჩემს აუდიტორიაში, მე განუცხადე კარებთან:— „ჩემ აუდიტორიუმში შეხვალთ მაშინ, როდესაც მე მკვდარი ვიქნები. დიახ, დამთავრა პროფესორმა, მეფის ჩინოვნიკები მხეცები იყვნენ".

პროფესორი დაავადებული იყო ყელში ხმოვანი იოგების დაზიანებით, რაც გამოწვეული იყო პროფ. მელიქიშვილის ქიმიურ ლაბორატორიუმებში ხანგრძლივ მუშაობისაგან. მას საშინლათ აწვალებდა და მთელი ღამეები არ ეძინა. არ მეძინა მეც და მას უგდებდი ყურს. ასე გავატარეთ ორი-სამი კვირა.

თავის ლაბორატორიუმის საქმეების გამო პროფესორი რამდენიმე ხნით გაემგზავრა თბილისში, მას თავის სიცოცხლეში მეცნიერების მეტი არა გააჩნდა რა. მისი ბინა, ოჯახი მომავალი—ლაბორატორიუმი იყო.

წასვლისას ჩვეულებრივ მოწიწებით მთხოვა, რომ დაბრუნდება მალე და ქობულეთში გაემგზავრება. თანაც დამპირდა, რომ ამის შესახებ მომწერდა წერილს. მართლაც 19 მაისს, მომივიდა შემდეგი წერილი:

„დიდათ პატივცემულო ილიკო! 1923 წ. 19 მაისს მე თქვენი წერილი, რომელიც გამომატანეთ დავით კანდელაკის გადასაცემათ, იმ დღესვე, როგორც ჩამოველი, გადავეცი. მე უკეთ ვგრძნობ, ექიმები მარჩევენ, რომ პლაჟზე გავატარო კიდევ ერთი-ორი კვირა, ამიტომ გბედავ, რომ გთხოვოთ, თუ შესაძლებელია, დამეხმაროთ ქობულეთში წასვლა და იქ მოწყობა. როცა აქეთ მოვდიოდი, თქვენ დამპირდით და ნება მომეცით, რომ ერთი-ორი საათი თქვენ ბინაზე გამეტარებინა. თუ ეხლაც ნებას მომცემთ მე დიდათ-დიდათ მადლობელი ვიქნებოდი. მე ვაპირებ აქედან გამომგზავრებას დაახლოვებით 25-26 მაისს, ყოველ შემთხვევაში გამოგიგზავნით ტელეგრამას. მომიცით ნება გამოგიცხადოთ ჩემი დიდი მადლობა თქვენ მასპინძლობისათვის, თუ მე შევძლებ შემდეგ წელს შრომას, უმთავრესად მიზეზი იქნება ის მოვლა, რომელიც მე მქონდა, როცა მე ვიყავი ბათუმში. თქვენი პატივცემული და ერთგული მეგობარი პ. მელიქიშვილი".

24 მაისს მივიღე დეპეშა და 25-ს კი პროფესორს დავხვდი ბათუმის სადგურზე. ისევ დავბინავდით ჩემთან და ვისაუბრეთ ძალიან ხმამაღლა ამის შესახებ, თუ რატომ არ ვღებულობდი მე ფულს პროფესორისაგან ხარჯისათვის. ერთხელ მის დასამშვიდებლათ გამოვართვი ათასი მანეთი (მაშინდელი ბონებით) მწვანილისათვის და ძალიან გაეხარდა.

როდესაც, ცოტა ხნით პროფესორი მოვათავსე ბათუმის ახლოს ბარათოვის აგარაკზე, მან მთხოვა ხშირათ ვსტუმრებოდი.

პროფესორმა დაჰყო ბათუმში, ქობულეთში და მწვანე კონცხზე სამ თვემდის. ყველაზე უფრო მოსწონდა მას ბათუმის ზღვის ნაპირი.

— ჩემო ილიკო— მე მიხდება უფრო ბათუმის პლაჟზე ყოფნა და მოხარული ვარ რომ ჩემი კარგი მეგობარი გახდი და მეხმარები-ო.

— თბილისში უსათუოდ შემოდით ჩემთან— მთხოვა მან,—მე ვცხოვრობ ქიმიურ ლაბორატორიაში, ბებუთოვის ქუჩაზე. ივნისის შუა რიცხვებში ძვირფასი სტუმარი გავისტუმრე ბათომიდან.

ექიმი ილ. ქოჩიაშვილი.

ცხედრის გადასვენება

25 მარტს დილის 12 საათისათვის უნივერსიტეტის პირველ კლინიკურ ინსტიტუტთან (ყოფ. ალექსანდროვის საავადმყოფო), სადაც დასვენებული იყო განსვენებული დამსახურებული პროფესორი პ. გ. მელიქიშვილის ცხედარი, თავი მოიყარეს დროშებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტის, მათთან არსებულ მუშფაკის მსმენელებმა და მოსწავლე ახალგაზრდობამ.

ეზოში არიან უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს წევრები და განსვენებულის ნათესავები და მეგობრები.

დღის სრულ 12 საათზე და 15 წ. ცხედარი კლინიკის პროზექტურიდან გამოიტანა პროფ. ივ. ჯავახიშვილმა, შ. ნუცუბიძემ, კ. კეკელიძემ ა. შანიძემ და სხვებმა.

კამოს და პასტერის ქუჩებზე ორთავე მხრივ ჩამწკრივებული არიან სტუდენტები, ფაკულტეტების დეკანების, და მოსწავლეები—მასწავლებელთა მეთაურობით.

კუბოს წინ მიუძღვის დროშები; პირველ რიგში მიდიან პროფესორები და უნივერსიტეტის უმცროს მასწავლებელთა შემადგენლობა. მათ უკან დიდ მანძილზე იშლება ზღვა-სტუდენტობისა და მოსწავლე ახალგაზრდობისა, რომელიც გზადაგზა თანდათან დიდდება.

წესრიგს იცავს ტეხნიკური კომისია პროფ. ალ. მაჭავარიანის ხელმძღვანელობით და სტუდენტთა ქვე-კომისიის დახმარებით.

გამოცხადებულ მარშრუტით, ცხედარი მიასვენეს მუშათა სასახლის მხატვრულად მორთულ მცირე დარბაზში და დაასვენეს თალხით შემოსილ მაღალ კვარცხლბეკზე.

სამოქალაქო პანაშვიდი

მუშათა სასახლის მცირე დარბაზი თავისი მორთულობით არაჩვეულებრივ სურათს წარმოადგენს.

დარბაზი მორთულია პალმებით და სხვა მწვანეულობით. კუბოს ამკობს წითელი დროშებიც.

დარბაზის თავში ამაღლებულ ადგილზე თალხით შემოსილ კვარცხლბეკზე ასვენია თეთრი კუბო განსვენებულ პროფესორის ცხედრით, რომლის მშვიდი და სპეტაკი სახე უფრო მძინარ ადამიანის შთაბეჭდილებას ახდენს, ვიდრე გარდაცვალებულისას.

დარბაზის ერთ-ერთი კუთხე უკავია ქართველ ახალგაზრდა მუსიკოსთა სიმფონიურ ორკესტრს —დირიჟორ ა. გველესიანის ხელმძღვანელობით.

საერთო წესრიგს იცავს სტუდენტების ქვეკომისია ამხ. გ. მესხის მეთაურობით.

საღამოს 6 საათისათვის მუშათა სასახლის წინ დიდძალი ხალხი იყრის თავს, რომელიც მოუთმენლად ელის დარბაზში შესვლას.

ეს მომენტიც მალე ახლოვდება. დირიჟორის ჯოხის შერხევასთან ერთად დარბაზში გაისმის შოპენის სამგლოვიარო ჰიმნი, რომელსაც უერთდება განსვენებულის ჭირისუფალთა და მეგობართა ქვითინი.

იწყება გარეთ მოგროვილი ხალხის გაშვება დარბაზში. ცხედარის წინაშე იხრებიან მრავალი თავები. ხალხი დარბაზში შედის რუსთაველის პროსპექტით და გადის ჯორჯიაშვილის ქუჩით.

პანაშვიდის დაწყებიდან კუბოსთან დგებიან საპატიო ყარაულები—ერთი პროფესორის, ერთი ასისტენტის და ერთი სტუდენტის შემადგენლობით. ასეთი შემადგენლობა იცვლის ერთმანეთს მთელი საღამოს განმავლობაში—პანაშვიდის დამთავრებამდე.

დარბაზში ორკესტრი განუწყვეტლივ უკრავს სამგლოვიარო მარშებს.

ღამის 8 ნახ. საათზე დამთავრდა პირველი სამოქალაქო პანაშვიდი.

დღეს

დღეს, რათა ყველას განსვენებულის ცხედრის ნახვის საშუალება მიეცეს, მუშათა სასახლის მცირე დარბაზი ღია იქნება დილის 10 საათიდან—ღამის 9 საათამდე. საღამოს შესდგება მორიგი სამოქალაქო პანაშვიდი. პანაშვიდის დროს დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი.

პროფესორ მელიქიშვილის დაკრძალვის წესი

დამსახ. პროფ. პ. გ. მელიქიშვილის დამკრძალავი კომისიის დადგენილებით, კვირას დილის 11 საათიდან პროფკავშირთა საბჭოს მცირე დარბაზში და ფოიეში თავს იყრიან მხოლოდ მთავრობის, პროფკავშირთა სახლის წარმომადგენლები, პროფესორები და ასისტენტები.

დილის 10 საათიდან პროფესიონალურ კავშირების სხვადასხვა დაწესებულებათა წევრები თავს იყრიან რუსთაველის პროსპექტზე მუშათა სასახლიდან დაწყებული—თავისუფლების მოედნის მიმართულებით.

ტეხნიკუმების და შრომის სკოლების მოწაფეები მასწავლებელთა ხელმძღვანელობით, დილის 10 საათიდან ეწყობიან მწკრივებათ ფილაქნების გასწვრივ, რუსთაველის პროსპექტის ორთავე მხარეზე, მუშათა სასახლიდან—უნივერსიტეტის მიმართულებით.

ამრიგათ დარაზმული მოწაფენი ამავე ხაზით გაჰყვებიან პროცესიას ორგანიზაციების გავლის შემდეგ.

უნივერსიტეტის, პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის და მუშფაკების სტუდენტები დილის 9 საათზე თავს იყრიან უნივერსიტეტის ეზოში. აქედან განაწილდებიან პროცესიის მსვლელობის მთელს გზაზე და წესრიგის დაცვის მიზნით შეადგენენ ცოცხალ ჯაჭვს მელიქიშვილის და ლენინის ქუჩების და რუსთაველის პროსპექტის ორთავე მხარეზე მოწაფეთა რიგების წინ.

12 საათზე ცხედარს გამოასვენებენ მუშათა სასახლიდან მთავრობის და პროფესურის წარმომადგენლები.

პროცესია შეჩერდება რუსთაველის თეატრის წინ, სადაც წარმოთქმული იქნება სიტყვები.

პროცესიის მისვლამდე უნივერსიტეტის ეზოში დილის 10 საათიდან არავინ არ იქნება შეშვებული.

უნივერსიტეტის ეზოში საფლავზე წარმოთქმული იქნება სიტყვები.

სამძიმრის დეპეშა

მოსკოვიდან

ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის სტუდენტთა ერთი ჯგუფი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს დამსახურებულ პროფესორის აკადემიკოს მელიქიშვილის დაკარგვის გამო.

ხატიაშვილი, ცინცაძე, ხუნძაძე, ტამაზულიანი, ნიკურაძე, აბაშიძე, ბერიშვილი.

დღეს ასაფლავებენ არტურ ლეისტს

არტურ ლეისტი

დღეს დიდუბეში ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა პანთეონში დამარხავენ არტურ ლეისტს. ეს პირველი შემთხვევაა, როცა პანთეონში იმარხება უცხოელი და ევროპიელი.

არტურ ლეისტი ორმოც წელზე მეტი იდგა შეურყევლად ქართულ კულტურის ფრონტზე და ამ ხნის განმავლობაში რამდენიმე თაობას ჰქონდა საშუალება გამოეცადა მისი მეგობრული თავდადება და ქართული მწერლობის სიყვარული.

1922 წელს 23 ოქტომბერს, როცა სრულიად საქართველოს ხელოვანთა კავშირის მთავარმა კომიტეტმა მას გადაუხადა 40 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავი იუბილე არტურ ლეისტის დიდ დამსახურებაზე ქართველი ერის წინაშე ბევრი ითქვა და კიდევ უფრო მეტი დაიწერა.

ჩვენ გვიხაროდა, რომ თვითონ განსვენებული სიცოცხლეშივე მოესწრო მოესმინა ის მადლობის სიტყვა, რომელიც მან დაიმსახურა და რომლისთვისაც ის ასე თავგანწირულად მუშაობდა.

საბჭოთა მთავრობამ დააფასა განსვენებულის ღვაწლი და ის სიკვდილამდე ითვლებოდა დამსახურებულ მოღვაწეთა პენსიონერების სიაში.

არტურ ლეისტი ოთხმოციან წლებში ჩამოვიდა საქართველოში გერმანიიდან. ის თავიდანვე მოჰყვა მაშინდელი ქართულ ინტელიგენციის შუაგულში. თვითონ არტურ ლეისტს გერმანული მუყაითობით აქვს აწერილი თავისი მოგონებებში მაშინდელი ქართული ინტელიგენციის საქმიანობა და ზოგიერთი მისი მომენტები: ილია ჭავჭავაძეზე, აკაკი წერეთელზე, იაკობ გოგებაშვილზე უთუოდ უსაჭიროეს მასალებათ დარჩებიან ქართულ ინტელიგენციის ისტორიისათვის.

ამ ხნიდან დაწყებული არ ყოფილა არც ერთი რჩეული კულტურული წამოწყება, რომ არტურ ლეისტი, რომ მასში არ გარეულიყოს და თავის თავზე არ მიეღოს საქმიანი შრომა.

უმთავრესი შრომა, რომელიც მიუძღვის არტურ ლეისტს ქართულ მწერლობის წინაშე, არის მისი თარგმანები გერმანულ ენაზე ქართველ მწერალთა საუკეთესო ნაწერებისა—მანვე გადათარგმნა ივანე მაჩაბლის ხელმძღვანელობით „ვეფხის ტყაოსანი" გერმანულ ენაზე. ეს წიგნი თავის დროზე გამოიცა გერმანიაში და დიდი გახმაურებაც გამოიწვია. აქამდე ეს წიგნი ერთად-ერთ წიგნათ რჩება, რომლითაც უცხოელები ეცნობიან ქართულ მწერლობას.

ამ თარგმანებს თუ ხანდისხან აკლია მხატვრული გადაცემა, ისინი ყოველ შემთხვევაში გაკეთებულია დიდი სინდისიერებით და საქმის ცოდნით. თარგმანების გარდა არტურ ლეისტი სწერდა შენიშვნებს ქართულ მწერლობაზე გერმანიის პრესაში და, თავის დროზე ამას უთუოდ მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი მწერლობის საერთაშორისო ბაზარზე გამოტანისათვის.

ქართულ მწერლობის გარდა არტურ ლეისტი სთარგმნის აგრეთვე სომხის მწერლებს, ეცნობა მათ და აქვეყნებს „სომხურ ესკიზებს" და „სომხეთის პოეტებს".

ამას გარდა არტურ ლეისტმა ქართულად დასწერა ორი წიგნი: „საქართველოს გული"—ეს წიგნები დაბეჭდა ქართულმა სახელმწიფო გამომცემლობამ. პირველი წიგნი გამოსვლისთანავე დაიტაცეს და დიდი ხანია არ იშოვება არსად—მეორე წიგნს ჯერ კიდევ სტამბის სუნი [illegible] არ მოშორებია და განსვენებული სულ რამდენიმე კვირის წინათ კითხულობდა მის კორექტურას.

განსაცვიფრებელია არტურ ლეისტის მახსოვრობისა და დაკვირვების ნიჭი, მას შეეძლო სრული სისწორით წარმოედგინა ის რაც ერთხელ უნახავს რამდენიმე ათი წლის წინათ.

მოხუცებში ზოგიერთებს კიდევ უფრო უმახვილდებათ მახსოვრობა, რადგან ცხოვრება თვითონ გადადის მოგონებაში—ასეთი იყო არტურ ლეისტიც; ამიტომ ეს ნაწერები დიდხანს დარჩებიან. ქართულ მწერლობაში ეს მოგონებები დაწერილია იშვიათი თავდადებლობით, აქ ავტორი არც კი სჩანს, მაშინ, როდესაც სხვა წერილებიდან ირკვევა, რომ თვითონ არტურს ბევრჯერ დიდი როლიც უთამაშია.

შრომის უნარი მას შერჩა სიკვდილამდე, გასაკვირი იყო მისი ასეთი ამტანობა. 75 წელი კიდევ ვერ აკავებდა მოხუცის ცნობის მოყვარეობას —მან იცოდა ყველაფერი, რაც ხდებოდა ქართულ მწერლობაში, ის იყო ყველა ლიტერატურულ ფაქტების კურსში.

არტურ ლეისტი დიდი ხანია სწერდა წიგნს, „ადამიანები და საგნები აღმოსავლეთში". ეს წიგნი ყველაზედ საინტერესო იყო მისი თქმით, რაც მას დაუწერია—მას ჰქონია. ეს წიგნი გერმანიაში იყო გაგზავნილი და ყოველდღე ელოდა პასუხს, როდის დაიბეჭდებოდა—ბოლოს მაინც ვერ მოუცადა.

უსათუოთ მსუბუქი იქნება მიწა ამ პატიოსან და შრომის მოყვარე უცხოელ ინტელიგენტისა და ხელოვანისათვის.

ტიციან ტაბიძე.

ცხედრის გადასვენება ხელოვნების სასახლეში

გუშინ, საღამოს 8 საათზე განსვენებულ საზოგადო მოღვაწისა და დამსახურებულ მწერლის არტურ ლეისტის ბინაზე თავი მოიყარეს განსვენებულის პირადმა მეგობრებმა, ქართველმა მწერლებმა, გერმანელთა ახალშენისა და ადგილობრივი გერმანელთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

ცხედრის გადმოსვენებას დაესწრო აგრეთვე გერმანიის საკონსულოს წარმომადგენლები. ამჟამად ცხედარი ასვენია ხელოვნების სასახლეში.

განსვენებულის კუბო შემკულია მრავალი გვირგვინებით მწერალთა კავშირისაგან, ხელოვნების სასახლიდან, გერმანელთა ახალშენიდან, გერმანიის საკონსულოდან და სხ.

მიღებულია სამძიმრის მრავალი დეპეშები რესპუბლიკის ქალაქებიდან და გერმანელთა ახალშენებიდან.

დაკრძალვის წესრიგი

დამკრძალავმა კომიტეტმა გამოიმუშავა დაკრძალვის წესრიგი:

ცხედარი გამოსვენებულ იქნება ხელოვნების სასახლიდან ნაშუადღევს სწორედ სამ საათზე. პროცესია სასახლის ქუჩით გაემართება რუსთაველის პროსპექტისაკენ და ვერის ხიდისა და პლეხანოვის პროსპექტით მივა დიდუბეში, სადაც ცხედარი დასაფლავებულ იქნება ქართველ მოღვაწეთა პანთეონში.

გამოსვენებამდე ხელოვნების სასახლეში დღის 12 საათზე დაიწყება სამოქალაქო პანაშვიდი. პანაშვიდის დროს დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი და წარმოსთქვამენ სიტყვებს მწერალთა კავშირის და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

გამოსვენების წინ ხელოვნების სასახლესთან სიტყვებს წარმოსთქვამენ შემდეგი ორგანიზაციების წარმომადგენლები: ქართველ მწერალთა კავშირისაგან, ხელოვნების სასახლიდან, გერმანელთა ახალშენიდან და აიარტუნიდან.

დანარჩენი ორგანიზაციების წარმომადგენლები სიტყვებს იტყვიან დიდუბეში.

დაკრძალვის ხარჯები იკისრა საქართველოს სახკომსაბჭომ. პროცესიას გაჰყვება აგრეთვე გერმანელთა გუნდი. საფლავზე შესრულებულ იქნება რამოდენიმე გერმანული გალობა.

ქრონიკა

გულა რიზა ხან-ანსარის ჩამოსვლა

გუშინ თეირანიდან თბილისში ჩამოვიდა სპარსეთის გენერალური კონსული ბათომში მოქ. გულა რიზა ხან-ანსარი.

მამულის გადაცემა.

პროფგანათლების მთავარმმართველობამ მიმართა გორის სამაზრო აღმასკომს, რათა გორის სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმს გადაეცეს ამჟამად შვიდწლედის განკარგულებაში მყოფი მამული თავის შენობებით და აგრეთვე პედაგოგიურ ტეხნიკუმის მამულიც.

ახალი საავადმყოფო.

თბილისის აღმასკომი შეუდგა საგარეჯოში საავადმყოფოს აგებას. საავადმყოფოს ექნება სადოსტაქრო, შინაგან სნეულებათა, სამეანო და სხვა განყოფილებები. საავადმყოფოს ექნება 40 საწოლი მწოლიარე ავადმყოფთათვის. საავადმყოფოს ასაგებად გადადებულია 100.000 მანეთი.

ახალი არტელები

ს. ჩ. უ. ს. შინა-ვაჭრობის სამმართველოსთან არსებულმა არტელების სარეგისტრაციო კომისიამ 25 მარტის სხდომაზე დაამტკიცა შემდეგ არტელების წესდებანი:

ქუთაისის სარეწაო კოოპერატიული არტელის „დახმარება"-ს წესდება. აღნიშნული არტელი აწარმოებს თამბაქოს ნაწარმოებთა და კოლოფების დამზადებას.

სხდომაზე დამტკიცებულ იქნა აგრეთვე თბილისის ქალთა შრომის არტელი „ტრიკოს წარმოება".

რემედასში

საქართ. რემედასის ცენტრალური კომიტეტი გვთხოვს გამოვაცხადოთ შემდეგი:

„თანახმად რემედასის ც. კ. პრეზიდიუმის დადგენილებისა (ოქმი № 8, 11 მარტი 1927 წ.) ც. კ. აცხადებს იმ პირთა საყურადღებოთ, რომელნიც ვალდებულნი არიან მის წინაშე, ამ განცხადების გამოქვეყნების შემდეგ ორი კვირის განმავლობაში გაასწორონ თავიანთი ვალი, წინააღმდეგ შემთხვევაში საქ. რემედასის ც. კ. იძულებული იქნება, გამოაქვეყნოს იმ პირთა გვარები, რომელნიც გაურბიან თავიანთი ვალის დაფარვას. პარტიულ ამხანაგების საქმე გადაეცემა ს. კ. პ. ცენტრალურ საკონტროლო კომისიას, უპარტიოთა კი—სასამართლოს".

თბილისის აღმასკომში.

◆ **დიღმის არხი.** თბ. აღმასკომი შეუდგა დიღმის არხის გაყვანას. არხი მორწყავს 1500 დესეტინა სივრცეს.

◆ **სომხის ბაზარზე ტრამვაი** მუშაობას დაიწყებს მუშათა საერთაშორისო დღეს—1-ლ მაისს.

◆ **პლეხანოვის პროსპექტის** მოკირწყვლა უკვე დაიწყო. პროსპექტი მოკირწყლება ოთხკუთხი ქვებით. ქვებს ქვევით მოგებული იქნება ბეტონი.

განათლების კომისარიატში.

◆ **საბჭოთა კავშირის დიდ ენციკლოპედიურ** ლექსიკონისათვის საჭირო მასალების მისაწოდებლად გუშინ განათლ. კომისარის დ. კანდელაკის თავმჯდომარეობით შესდგა სპეციალური თათბირი. გამოყოფილი იქნა კომისია მასალების დასამუშავებლად.

◆ **პოლიგრაფიულ სკოლის გამგეთ** დაინიშნა ამხ. სიმ. გძელიშვილი.

◆ **ქართული ენის და საზოგადოებათ** მეცნიერების მასწავლებელთა კონფერენცია მოწვეული იქნება მაისის შუა რიცხვებში თბილისში.

◆ **გორის სახ.-სამ. ტეხნიკუმთან** არსებულ სამრეწველო-ეკონომიურ ტეხნიკუმის მესამე კურსის მოწაფეები, განათლების კომისარიატის დადგენილებით, გამოშვებული იქნებიან სასწავლო წლის ბოლოს უმაღლეს სასწავლებელში შესვლის უფლების მინიჭებით.

◆ **პედაგოგიური ტეხნიკუმი.** განათლების კომისარიატმა გადასწყვიტა გორის პედაგოგიური ტეხნიკუმი მოათავსოს ახალ ფართო ბინაში და უზრუნველჰყოს ის ყოველგვარი საჭირო სასწავლო ნივთებით.

◆ **კვალიფიციური მუშები.** პროფგანათლების მთავარმმართველობამ გამოჰყო კომისია წარმოებებში მყოფ კვალიფიციური მუშების აღსარიცხად. ეს მუშები გამოყენებული იქნებიან სკოლა-სახელოსნოებში მომუშავეთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში.

შრომის სახ. კომისარიატში.

◆ **შრომის ჰიგიენის ლაბორატორიისათვის** შრომის კომისარიატმა მიიღო ახალი აპარატები ჯანმრთელობისათვის მავნე ჰაერის გამოსაკვლევად წარმოებებში.

სხვადასხვა

◆ **სპეცტანისამოსი.** თბილისის მუშკოოპმა მიიღო დიდძალი სპეცტანისამოსი.

◆ შაბათს 26 მარტს საღამოს 6 საათზე შესდგება „ბავშვთა მეგობრების" საზოგადოების პლენუმი, ამავე საზოგადოების მდივნების და რწმუნებულების თანდასწრებით.

მისამართი: (კომინტერნის ქუჩა № 4).

◆ **რემედასის გამოფენა.** დღეს რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში გაიხსნება რემედასის გამოფენა.

ვინ იგზავნება სამუშაოზე

დღეს, 27 მარტს, თბილისის შრომის ბირჟაში სამუშაოზე გასაგზავნად გამოძახებულნი არიან შემდეგი პირები: **პირველ სექციიდან:** თ. ივანოვი, ვ. იორდანიშვილი, ა. ბაბიანცი, რ. ვებერი. **მეორე სექციიდან:** ი. აგაევი, მ. რცხილაძე, ნ. აზარეტიანი. **მესამე სექციიდან:** ვ. კანკოვა, შივანდოვსკი—სტანისლავი, ი. ბუხარიაშვილი, პ. პახოვსკი, ნ. ბერსერიანცი, პ. ჩიგარიოვა, ვ. მუსხელიშვილი, დ. ბერაძე, ს. წერეთელი და გ. ჯიშკარიანი.

ხელოვნების ბოლოში

შემთხვევები

◆ **ბოქლომის გატეხის** საშუალებით 24 მარტს წყნეთის ქუჩა № 6 გაქურდეს დიმიტრი რუდნიკოვის ბინა.

◆ **მტკვარში გადავარდნა.** 23 მარტს ღამის 3 საათზე ვერის ხიდიდან მტკვარში გადავარდა უცნობი მოქალაქე. გვამი ჯერ არ არის აღმოჩენილი.

◆ **ხანძარი ურმებზე.** 24 მარტს ბიკვევის ქ. № 34 მარტიროსოვის ეზოში მდგარ თივით დატვირთულ ორ ურემს გამოურკვეველ მიზეზების გამო გაუჩნდა ცეცხლი და დაიწვა. ურმები გადარჩენილი იქნა.

◆ **ჯიბგირის შეპყრობა.** 24 მარტს დააპატიმრეს ცნობილი ჯიბგირი ხაჩატურ ლალოიანცი.

◆ **მორგებული გასაღების საშუალებით** 24 მარტს ყარსის შესახ. № 2 გაქურდეს ალ. ვადაჭკორიას ბინა.

◆ **ქურდი ქალი.** 24 მარტს ქურდობისათვის დააპატიმრეს ლიუსიკა სარქისის ასული სარქისოვი.

◆ **საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ** ამხანაგობის № 216 სახლში აკრეფილ წყლის ფულის გაფლანგვისათვის დააპატიმრეს ბიქტორ გიორგისძე ჯოჯუა.

დაჭრა

არუთინ მურადიანცი ამ რამოდენიმე ხნის წინედ განშორდა ცოლს ოჯახური უსიამოვნების ნიადაგზე.

გუშინ, საღამოს, მურადიანცმა იყიდა ბებუთის დანა და მოკვლის განზრახვით მიუხდა ბინაზე (გონჩაროვის ქ., № 45,) ყოფილ ცოლს.

მურადიანცმა განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა, რადგან ამ დროს შემთხვევით ოთახში შევიდა მეზობელი გრიგორიანცი.

გაბრაზებულმა მურადიანცმა დანით რამოდენიმე ჭრილობა მიაყენა გრიგორიანცს, უკანასკნელი მოთავსებულია რესპუბლიკის საავადმყოფოში.

მურადიანცი დაპატიმრებულია.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **„ამერიკელი ძია".** დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება „ამერიკელი ძია".

◆ **კომკავშირელ მწერალთა წრეში.** ორშაბათს 29 მარტს საღ. 6 საათზე გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქციის ბინაზე შესდგება მორიგი ლიტერატურული კრება.

◆ **ხელოვანთა სასახლეში,** შაბათს 26 მარტს საღ. 6 საათზე, შესდგება საქ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის გამგეობის სხდომა.

საზეიმო სხდომა კონსერვატორიაში

ბეთჰოვენის საზეიმო დღეების გამმართავი კომისიის საჯარო სხდომა გაიმართება სახ. კონსერვატორიის დარბაზში დღეს, 26 მარტს, საღამოს სრულ 5 საათზე;

სხდომას გახსნის და შესავალ სიტყვას წარმოსთქვამს განათლ. კომისრის მოადგილე ამხ. **მარიამ ორახელაშვილი,** შემდეგ იქნება მოხსენებები, სიტყვები და საკონცერტო განყოფილება.

შესვლა მოწვევის ბარათებით.

შემდეგ საღამო-კონცერტი საოპერო თეატრში.

შეცდომის გასწორება

„კომ." 20 მარტის ნომერში, „თეატრსა და კინოს" შესახებ გამართული დისპუტის ანგარიშში, დაშვებულია შემდეგი შეცდომა: მომხს. ს. ამაღლობელის ძირითადი დებულება არ ყოფილა, რომ თეატრის აუდიტორია დღეს იგივეა, რაც რევოლიუციამდე იყო, რომ თეატრის კრიზისს ვერ გადასჭრის ახალი მაყურებლის გაჩენა. შეცდომით არის გადმოცემული თეატრისა და კინოს კრიზისის სხვაობის საფუძვლებიც.

სასამართლო

მურსალ-ოღლის საქმე

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ ამხ. პ. ბურკაძის თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულების: ივანიძის და ფანარჯევის, პროკურორ ნათენაძის და მდივან გეწაძის მონაწილეობით ახალციხეში გაარჩია გურსალ ოსმან, ისკანდერ მამედ, ხურშუტ ომარ-ოღლების და მარალ აზიზ-ყიზის საქმე.

1925 წ. გურსალ ოსმან-ოღლი ესტუმრა სიძეს ასლან მამედ-ოღლის. ვახშმობის შემდეგ ასლანი მიიპატიჟეს დასაძინებლად გურსალის და მისი ცოლის მარალ-ყიზის ოთახში.

ასლან მამედ-ოღლი დააწვინეს ნათხოვარ ახალ ლოგინში.

ნაშუაღამევს ასლანი აღვიძებს რძალს და სთხოვს გაყვეს მახლობელ ოთახში.

ბოლოს სიკვდილის მუქარით ქალი გაჰყავს მახლობელ ოთახში. წასვლისას ქალი ანიშნებს ქმარს ასლანის საქციელს.

ასლან-ოღლიმ რძალთან იქონია სქესობრივი კავშირი.

ქალის ქმარი გურსალ-ოღლი ყოველივეს ხედავდა.

ასლან-ოღლის მოაჩვენა თავი ისე, რომ თითქოს მას ეძინა.

შემდეგ ქალი კვლავ დაწვა ქმართან.

როცა ასლან-ოღლის და ქალსაც ეძინა გურსალ-ოღლიმ ხანჯლით გაუპო თავი ასლან-ოღლის. მიღებული ჭრილობებისაგან ეს უკანასკნელი იქვე გარდაიცვალა.

გურსალის ცოლმა კი შესძლო გაქცევა.

სიძის გვამი გურსალმა, მეზობლის ისკანდერ მამედ-ოღლის დახმარებით, გადაიტანა დასამალავად ყანაში.

შემდეგში გვამი გამოიცვენს, მაგრამ ბოროტმოქმედი ვერ დააპატიმრეს.

გავიდა ერთი წელი.

გურსალ-ოღლისა და ისკანდერ მამედ-ოღლის უსიამოვნება მოუვიდათ. უკანასკნელმა საჯაროთ უთხრა გურსალ-ოღლის:

— შენ კაცის მკვლელი ხარ და ჩემი შეურაცხყოფა კაცის მოკვლისათვის არ შეგრჩებაო.

ამის გამო გურსალ-ოღლი დააპატიმრეს.

ბრალდებული გამოტყდა დანაშაულობაში და დაასახელა ის პირები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს მას ბოროტმოქმედების კვალის დაფარვაში.

სასამართლოში ბრალდებულმა განაცხადა, რომ მან მკვლელობა ჩაიდინა თავისი შეურაცხყოფის ნიადაგზე.

სასამართლომ სცნო, რომ გურსალ ოსმან-ოღლიმ მკვლელობა ჩაიდინა სულიერი მღელვარების დროს, რისთვისაც მიუსაჯა მას 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

დანარჩენი ბრალდებულები სასამართლომ გაამართლა.

მკვლელებს—დახვრეტა

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ ამხ. პ. ბურკაძის თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულების: ბაიბუროვის და მეფისწვერიძის, პროკურორ ხოჯამიროვის და მდივან გეწაძის მონაწილეობით ახალციხეში გაარჩია ზაქარ ამირხანიანცის და აზამ ისოიანცის საქმე.

ამირხანიანცს და ისოიანცს ბრალდებოდათ მოქ. მატუო ამირხანიანცის მოკვლა [illegible] მიზნით.

1925 წ. 10-აპრილს, სოფ. ხოთნის (ახალქალაქის მაზრა) მცხოვრები [illegible] ამირხანიანცი მოდიოდა ახალქალაქიდან, სადაც [illegible] ხარი. [illegible] ფულით მას უნდა შეეძინა [illegible].

სოფ. კულიკამის მახლობლად ამირხანიანცს თავს დაესხა ბიძაშვილი ზაქარ ამირხანიანცი ამხანაგით.

თავდამსხმელებმა ამირხანიანცს ხანჯლით მიაყენეს 14 ჭრილობა. ჭრილობებისაგან ამირხანიანცი გარდაიცვალა.

ზ. ამირხანიანცმა და ისოიანცმა ხარი გაჰყიდეს 105 მანეთად და ფული თანასწორად გაინაწილეს.

მოკლული კაცის გვამი გადააგდეს ხევში.

არ გასულა დიდი ხანი, რომ მკვლელები დააპატიმრეს.

სასამართლომ სცნო, რომ ზ. ამირხანიანცმა და ისოიანცმა მკვლელობა ჩაიდინეს გაძარცვის მიზნით, რისთვისაც მიუსაჯეს მათ უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა.

ახალქალაქის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარის ყოფ. მოადგილის კონბერგის საქმე

ახალქალაქი, 25 მარტი. აღმოსავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოს გამსვლელმა სესიამ ამხ. ბურკაძის თავმჯდომარეობით დაამთავრა ახალქალაქის სამაზრო აღმასკომის ყოფ. თავმჯდომარის კ. ბალაშანოვის და მისი მოადგილის ნ. კონბერგის საქმე. კ. ბალაშანოვს და ნ. კონბერგს ბრალი ედებოდათ მილიციელ რუდიკის წამებაში.

საქმე შემდეგში იყო: 1925 წლის ივნისში სოფ. ტროიცკოში ახალქალაქის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის კონბერგის თავმჯდომარეობით მოწვეულ იქნა კრება სამობილიზაციო კამპანიის ჩასატარებლად. კრებაზე გამოცხადდა მილიციელი რუდიკი, რომელმაც ითხოვა ღამის გასათევი და საკვები ცხენისათვის. კონბერგმა მილიციელს უარი უთხრა თხოვნაზე და უკანასკნელ ამის გამო შეეკამათა მას. კონბერგის განკარგულებით რუდიკი დააპატიმრეს და მოათავსეს ცალკე ოთახში, სადაც ის ხელ-ფეხ შეკრული მიაკრეს კედელზე. კრების დამთავრების შემდეგ კონბერგი მილიციონერის ცხენზე შეჯდა და გაემგზავრა ახალქალაქში, მაგრამ მას მოუსწრო განთავისუფლებულმა მილიციელმა, რომელიც ძლიერ აღშფოთებული იყო კონბერგის საქციელით და გინება დაუწყო მას. მილიციელი კონბერგის განკარგულებით გლეხებმა ხელმეორეთ შეიპყრეს, შეუკრეს ხელ-ფეხი, დააწვინეს ცარიელ ფურგონზე და გაგზავნეს ახალქალაქის აღმასკომში, სადაც ის ჩაჰკეტეს ცალკე ოთახში. იქ რუდიკი იჯდა მთელ ღამეს და დილით გაათავისუფლა სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარემ ბალაშანოვმა.

ექსპერტიზამ გამოარკვია, რომ მილიციელ რუდიკს დაპატიმრების დროს სცემეს.

სასამართლომ ბრალდებულ კონბერგს მიუსაჯა 4 წლით დაპატიმრება სასტიკი იზოლიაციით.

ბრალდებული ბალაშანოვი განთავისუფლებულ იქნა (ადს).

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება № 26

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საგლეხო მეურნეობისათვის მიყენებული წანახედის ფაქტის გამორკვევისა და ამ წანახედით გამოწვეული ზარალის რაოდენობის განსაზღვრის წესის შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. წანახედის ფაქტის გამორკვევა და საგლეხო მეურნეობისათვის ნათესისა, ბოსტნისა, ბაღისა და სხვ. წახდენით მიყენებული ზარალის რაოდენობის განსაზღვრა დაეკისრება განსაკუთრებულ კომისიას,—რომელიც დაარსდება თვითეულ სოფელში და აგრეთვე თვითეულ სათემო და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტთან.

2. პირველ მუხლში აღნიშნული კომისიები მოეწყობიან—თვითეული შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარის, ორის წევრისა და 3-დან 5 კანდიდატამდე, რომელთაც დანიშნავს: სოფლისა და თემის კომისიაში—თემის აღმასრულებელი კომიტეტი საბჭოს წევრთაგან ან საარჩევნო უფლების მქონე ადგილობრივ მოქალაქეთაგან, ხოლო სამაზრო კომისიაში—სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტ. წევრთა ან კანდიდატთაგან, ან და საარჩევნო უფლების მქონე ადგილობრივ მოქალაქეთაგან.

3. სამაზრო კომისიის გამგებლობის საგანს შეადგენს გამოარკვიოს მასსიური ხასიათის წანახედის ფაქტი და განსაზღვროს ისეთი წანახედით გამოწვეული ზიანის რაოდენობა, რომელიც მიუყენებია სხვა თემის შემადგენლობაში შემავალი მთელი სოფლის საქონელს.

სათემო კომისია გამოარკვევს მასსიური ხასიათის წანახედის ფაქტს და განსაზღვრავს ისეთი წანახედით გამოწვეული ზარალის რაოდენობას, რომელიც მიუყენებია იმავე თემის შემადგენლობაში შემავალი მთელი სოფლის საქონელს.

სასოფლო კომისიის გამგებლობის საგანს შეადგენს—დაადასტუროს წანახედის ფაქტი და შეაფასოს წანახედით მიყენებული ზიანი ყოველ შემთხვევაში, გარდა იმ შემთხვევისა, რაც სამაზრო და სათემო კომისიის კომპეტენციას შეადგენს.

4. დაინტერესებული მხარის მოთხოვნით ან სამაზრო თუ სათემო აღმასრულებელი კომიტეტის წინადადებით სათანადო კომისია დაათვალიერებს წანახედ ადგილს და გამოარკვევს ზარალის რაოდენობას, რაზედაც შეადგენს ოქმს, რომელშიაც აღნიშნულ უნდა იქნეს: დრო და ადგილი ოქმის შედგენისა, კომისიის შემადგენლობა, რა არის სახელდობრ წანახედით გაფუჭებული, რაოდენობა და ღირებულება წანახედისა, საერთო რაოდენობა მიყენებული ზიანისა და ვის ეკუთვნის წამხდენი საქონელი.

5. უკეთუ კომისიის თავმჯდომარე ან წევრი დაინტერესებულია ზარალის გამო აღძრული საქმის შედეგით, იგი ჩამოცილებულ უნდა იქნეს წანახედის დათვალიერებისა, შეფასებისა და ოქმის შედგენისაგან, როგორც რომელიმე მხარის განცხადებით, ისე საკუთარი განცხადებითაც. თავმჯდომარისა თუ წევრის ჩამოცილებისთანავე კომისიის შემადგენლობას შეავსებს კანდიდატი.

6. სამაზრო და თემის აღმასრულებელ კომიტეტს შეუძლიან შეამოწმოს ოქმის შინაარსისა და კომისიის მიერ განსაზღვრული ზარალის რაოდენობის სისწორე.

7. კომისიის მიერ შედგენილი ოქმი განეცხადება ორივე მხარეს და, უკეთუ საქმე მორიგებით გათავდა ან მხარენი შეთანხმდენ ზარალის ანაზღაურების საკითხზე, ეს შეთანხმება ჩაიწერება ოქმში, რომელსაც მხარენი ხელს მოაწერენ.

8. უკეთუ მორიგება და შეთანხმება არ მოხდა, მოთხოვნა ზარალის ანაზღაურების შესახებ მხარემ მხარეს სასამართლოს წესით უნდა წარუდგინოს საერთო საფუძველზე, გარდა ისეთი საქმისა, რომლითაც წანახედით მიყენებული ზიანი ასანაზღაურებელია 15 მანეთზე არა უმეტესი რაოდენობით; ასეთ საქმეს, ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით კომისია გადასცემს სათემო აღმასრულებელ კომიტეტს, რომელიც გადასწყვეტს მას განსაკუთრებულ კანონით განსაზღვრული წესისამებრ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1927 წლ. მარტის 5
თბილისი-სასახლე.

დადგენილება № 28

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

სათემო აღმასრულებელი კომიტეტების მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 102 მუხლის მე-2 ნაწილში და 202^1 მუხლში აღნიშნულ დადგენილებათა დარღვევის გამო აღძრულ საქმეთა და აგრეთვე წანახედით და ტყის წესების დარღვევით მიყენებული,—15 მანეთზე არა უმეტესი, ზარალის გამო აღძრულ საქმეთა განხილვის წესის დებულების დამტკიცების შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დებულება—სათემო აღმასრულებელ კომიტეტების მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 102 მუხლის მეორე ნაწილში და 202^1 მუხლში აღნიშნულ დადგენილებათა დარღვევის გამო აღძრულ საქმეთა და აგრეთვე წანახედით და ტყის წესების დარღვევით მიყენებული, 15 მანეთზე არა უმეტესი, ზარალის გამო აღძრულ საქმეთა განხილვის წესის შესახებ და ეს დებულება სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ორი კვირის შემდეგ დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

2. სახალხო სასამართლოებში წარმოებული გადაუწყვეტელი საქმეები: ა) სისხლის სამართლის 102 მუხლის მეორე ნაწილში და 202^1 მუხლში აღნიშნულ დადგენილებათა დარღვევის შესახებ და ბ) წანახედით და ტყის წესების დარღვევით მიყენებული 15 მანეთზე არა უმეტესი ზარალის გადახდევინების შესახებ—გადაეცეს განსახილველად სათანადო თემის აღმასრულებელ კომიტეტებს.

3. ასეთივე საქმეები, რაც სასამართლოს საკასაციო ინსტანციის განსახილველადაა, დატოვებულ იქნეს სასამართლო დაწესებულებებში—შემდგომი წარმართვისა და განხილვისათვის სასამართლოს წესით,—რომელიც დადგენილია სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებით.

4. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი, იუსტიციის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, გამოსცემს ორი კვირის განმავლობაში ინსტრუქციას ამა დადგენილების მეორე მუხ. აღნიშნული საქმეების ჩაბარებისა და მიღების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1927 წ. მარტის 5.
თბილისი-სასახლე.

დებულება

სათემო აღმასრულებელი კომიტეტების მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 102 მუხლის მე-2 ნაწილში და 202^1 მუხლში აღნიშნული დადგენილებათა დარღვევის გამო აღძრულ საქმეთა და აგრეთვე წანახედით და ტყის წესების დარღვევით მიყენებული, 15 მანეთზე არა უმეტესი, ზარალის გამო აღძრულ საქმეთა განხილვის წესის შესახებ

1. სისხლის სამართლის კოდექსის 102 მუხლის მეორე ნაწილში და 202^1 მუხლში აღნიშნულ დადგენილებათა დარღვევის გამო აღძრულ საქმეთა და აგრეთვე წანახედით და ტყის წესების დარღვევით მიყენებული, 15 მანეთზე არა უმეტესი ზარალის გამო აღძრულ საქმეთა განხილვა, როგორც დროებითი ღონისძიება მოხდება სათემო აღმასრულებელ კომიტეტებში შემდეგი მუხლებით გათვალისწინებული წესისამებრ.

2. იმ დამნაშავეს, რომელსაც ამა დადგენილების პირველ მუხლით გათვალისწინებული დარღვევა ჰბრალდება და სათანადო შემთხვევაში საქმის მონაწილე მხარეებს—საქმის განხილვის დღე უწყების გაგზავნით ეცნობებათ.

3. უკეთუ ბრალდებული ან მხარენი, რომელთაც დაბარების უწყება პირველად მიიღეს, არ გამოცხადდენ, მათ უწყება ხელმეორედ გაეგზავნებათ და თუ მეორედაც არ გამოცხადდენ —საქმე შეიძლება განხილულ იქნეს მათ დაუსწრებლად.

4. საქმის გარჩევა მოხდება საჯაროდ, სათემო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარისა და 2 წევრის შედგენილობით.

უკეთუ თემის აღმასკომის რომელიმე წევრი ადგილობრივ არ იმყოფება ან რაიმე სხვა მიზეზის გამო მას არ შეუძლიან საქმის განხილვაში მონაწილეობა მიიღოს მის მაგიერ საქმის განსახილველად მოიწვევა თემის (ან სოფლის) საბჭოს წევრი რიგის მიხედვით.

5. უკეთუ სათემო აღმასკომისა და აგრეთვე სათემო (სოფლის) საბჭოს თავმჯდომარე და წევრი საქმის გადაწყვეტაში დაინტერესებულია ან ბრალდებულთა თუ მხარეებთან რაიმე განსაკუთრებულ ურთიერთობაშია, იგი ჩამოცილებულ უნდა იქნეს საქმის გარჩევისაგან, როგორც საქმეში მონაწილე დაინტერესებულ პირთა განცხადებით, ისე საკუთარი განცხადებითაც.

6. სათემო აღმასკომის დადგენილება განხილული საქმის შესახებ გამოიტანება ხმის მარტივი უმეტესობით (მუხლი მეოთხე) და შედგენილ იქნება წერილობით; დადგენილებას ხელს მოაწერს თავმჯდომარე და ორივე წევრი.

7. თემის აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება ბრალდებულს ან უკმაყოფილო მხარეს შეუძლიან გაასაჩივროს სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტში შვიდი დღის განმავლობაში დადგენილების გამოტანის დღიდან.

8. თემის აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება მეშვიდე მუხლით გათვალისწინებული ვადის გასვლამდე არ უნდა იქნეს აღსრულებული, ხოლო გასაჩივრებული დადგენილება—მანამდე, ვიდრე მას მაზრის აღმასრულებელი კომიტეტი არ დაამტკიცებს.

9. მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება საბოლოოა და არ განისაჩივრება.

10. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი, იუსტიციის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით გამოსცემს ინსტრუქციას ამა დებულების შეფარდებისათვის.

ფეხბურთი

გაზაფხულის სეზონის გახსნა

კვირას, 27 მარტს, იხსნება სპორტთამაშობათა გაზაფხულის სეზონი. დილის 9 საათზე ფიზკულტურის თბილისის საბჭოს სასპორტო დარბაზში შესდგება თბილისის ყველა ფეხბურთელთა გუნდების საერთო კრება. დილის 11 საათზე იქვე შესდგება კალათბურთელების კრება.

12 საათზე ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართება ფეხბურთელების და კალათბურთელების აღლუმი, რის შემდეგაც დაიწყება ფიზკულტურული გამოსვლები მაყურებელთა მონაწილეობით. ბოლოს გაიმართება შეჯიბრები კალათბურთში და ფეხბურთში.

გაზაფხულის სეზონის გახსნის აღსანიშნავად შეჯიბრი ფეხბურთში გაიმართება თბილისის საუკეთესო გუნდებს შორის—„დინამო“-სა და ქალაქის ნაკრებ გუნდს შორის.

გუნდები გამოდიან შემდეგ შემადგენლობით „დინამო“: დ. ცომაია, ფოჩხუა, ბლანკმახი, ფეოდოროვი, ჟორდანია, ანიკინი, ქოიავა, ფუჩულია, გალპერინი, იაკიმიდი და ელ. ცომაია.

თბილისის ნაკრები გუნდი: პაპკოვი, ხევსურიანი, გასპაროვი, იმნაძე, ფრუიძე, ჰონელი, ნ. ამბოკაძე, გუნია, აბაშიძე, ვარნაძე და აივაზოვი.

მსაჯი—ამხ. **მდივანი.**

შეჯიბრი დაიწყება ნაშუადღევის 4 საათზე. შესვლა სტადიონზე თავისუფალია.

ახალი ხიდი

ბარცხანის ხიდი

ამჟამად მიმდინარეობს ბარცხანის ხიდის (ბათომის ახლო) კაპიტალური შეკეთება. ხიდი კეთდება ბათომის აღმასკომის თანხებით. შეკეთება ჯდება 5145 მან. ხიდის შეკეთება დამთავრდება ერთი თვის განმავლობაში.

აფერისტები

რომლებსაც არავინ აწუხებს

(წერილი რედაქციის მიმართ)

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით ვაცნობო სათანადო ორგანოებს, რომ **საბინაო კოოპერატიულ ამხანაგობა „ქალაქი-ბაღის“ გამგეობაში,** რომელსაც ხელმძღვანელობს ინჟ. მადიჩი და კომპანია, **ადგილი აქვს აფერისტობას და გაფლანგვას.** ამის შესახებ „კომუნისტში“ და „მუშა“-ში რამდენიმე თვის წინეთ მოყვანილი იყო ფაქტიური ცნობები, რის მიუხედავათ აფერისტები პასუხისგებაში მიცემული არ არიან. ვაცნობებ რა ამ ფაქტს სათანადო ორგანოებს, პასუხისმგებლობას ვიღებ, აღნიშნული ბრალდებების დამტკიცებისთვის.

ამხ. სალამით ს. ამაღლობელი.

23 მარტი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემო-დასახელებულ ამხანაგებს კვირას ა. წ. 27 მარტს დღის სრულ 11 საათზე გამოცხადდენ საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში (ოთახი № 34) მიმღები კომისიის სხდომაზე.

1) ანნა სტეფანეს ასული ალბერტაშვილი (საკარდონის ფაბრიკა), 2) ლეონ ოგანესის ძე ამირიანი (სახ. პოლიტ. ინსტ. 23 უჯრ.), 3) ილია მიხეილის ძე ლეჟავა (ა.-კ. კომუნისტ. უნივერსიტეტი).

ნორჩ პიონერთა თბილისის ბიურო იუწყება, რომ სამშაბათს 29 მარტს საღამოს 8 საათზე განათლების მუშაკთა სახლში შესდგება ბავშვთა კომმოძრაობის შემსწავლელ მასწავლებელთა წრის მორიგი მეცადინეობა.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილება იუწყება, რომ შაბათს 26 მარტს საღამოს 6 საათზე განათლების მუშაკის სახლის შენობაში (კოლუბანის—5) შესდგება ეკონომკომისიების წევრ კომუნისტების თათბირი.

დღის წესრიგში:

1) მოხსენებები ადგილებიდან და 2) ამხ. ნოე ლეჟავას მოხსენება ეკონომკომისიების მუშაობის მორიგ ამოცანების შესახებ.

საქართველოს კომპარტის თბილისის ორგანიზაციის მესამე რაიკომი იუწყება, რომ შაბათს, 26 მარტს დილის 10 საათზე რაიკომის ბინაზე შესდგება მესამე რაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მესამე რაიკომის აგიტპროპგანყოფილება იუწყება, რომ შაბათს, 26 მარტს, საღამოს 5 საათზე რაიკომის აგიტპროპგანყოფილების შენობაში შესდგება მესამე რაიკომის აგიტპროპგანყოფილების სხდომა.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მესამე რაიკომის აგიტპროპგანყოფილება იუწყება, რომ 26 მარტს საღამოს 6 საათზე შესდგება კომპარტიის პოლიტცოდნის შემოკლებულ სკოლების და კომკავშირის პირველ და მეორე საფეხურის სკოლების ხელმძღვანელთა თათბირი.

ვის აქვს საწინააღმდეგო?

ქართულ გაერთიანებულ სამხედრო სკოლის მე-2-ე ასეულის კომუჯრედის პრეზიდიუმში შემოტანილი აქვთ განცხადებები პარტკანდიდატათ მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგებს:

1) გრიგოლაშვილი მიხეილ იოსების ძე, დაბადებული 1902 წ. ა. ლ. კ. კ. წევრი 1924 წლიდან.

2) გუჯაბიძე აკაკი სპირიდონის ძე. დაბადებული 1902 წ. ა. ლ. კ. კ. წევრი 1925 წლიდან.

3) კოტრიკაძე მიხეილ იესეს ძე, დაბადებული 1905 წ. ა. ლ. კ. კ. წევრი 1923 წლიდან.

თუ ვისმეს ვაქვთ რაიმე საწინააღმდეგო ზემო აღნიშნულ ამხანაგებზე, გთხოვთ გვაცნობოთ ქ. მ. ს. სკოლის მე-2-ე კომუჯრედის პრეზიდიუმში არა უგვიანეს ა. წ. 20 მარტისა.

საქ. რემედასის ცეკა იტყობინება, რომ დღეს, 26 მარტს, საღამოს 6 საათზე საქ. რემედასის ცეკას ბინაზე შესდგება პრეზიდიუმის მორიგი სხდომა.

დასწრება ყველა წევრებისათვის აუცილებელია.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდენ ორი დღის ვადაში თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო განმანაწილებელ განყოფილებაში (ოთახი № 34) ამხანაგ **კვირიკაძესთან.**

1-ლი სამილიციო რაიონი. 1) სიმონ ალექსანდრეს ძე ჩიხლაძე, 2) კანონ გრიგოლის ძე ლარიონოვი, 3) ალექსანდრე ნიკიფორის ძე თაყაიშვილი, 4) ვლადიმერ არსენის ძე კიკნაძე, 5) ოსიპ (სიკა) პავლეს ძე სიმხოვიჩ, 6) ვასილ იოსების ძე არეშიძე, 7) ივან მიხეილის ძე კუხალაშვილი, 8) გრიგოლ ბენედიქტეს ძე პარკაძე. **მე-2-რე სამილიციო რაიონი.** 1) იური იოსების ძე გრინბერგ, 2) ალექსანდრე ვახტანგის ძე გაბუნია, 3) ალექსანდრე ივანეს ძე მალიშევი, 4) მუშეგ კანოვის ძე ალამარდიანი, 5) ივანე ალექსის ძე პრეობრაჟენსკი, 6) პავლე პავლეს ძე დერმიჩევი, 7) კონსტანტინე ვიქტორის ძე გორბელაძე, 8) ივანე ივანეს ძე ხერებრიაკოვი, 9) რაჟდენ სიმონის ძე ჯღამაძე, 10) ალექსანდრე მიხეილის ძე ბეჟანოვი, 11) გიორგი გრიგოლის ძე მაისაშვილი. **მე-3-მე სამილიციო რაიონი.** 1) ვასილ ივანეს ძე პოლოსოვი, 2) ნოე გიორგის ძე ზამბახიძე, 3) სიმონ ალექსის ძე ბირიუკოვი, 4) ირაკლი ჯაბას ძე ყიზირია, 5) ალექსანდრე ერმოლოზის ძე ბახტაძე, 6) გრიგოლ ვარდენის ძე ბუხნიკაშვილი, 7) გალაქტიონ ნიკოლოზის ძე ნუცუბიძე, 8) არტაშეს გრიგოლის ძე ვანციანი, 9) ლევონ ალექსანდრეს ძე ბაბაჯანოვი, 10) დავით სილიბისტროს ძე კოპლატაძე, 11) ანტონ იაკობის ძე ტერ აკოპოვი, 12) ბართლომე ექვთიმეს ძე ზიზინეიშვილი, 13) ლევან ბიჭოს ძე მიროტაძე, 14) გრიგოლ ბებურის ძე სარჯველაძე, 15 ვლადიმერ ვლადიმერის ძე აკიმოვი, 16) ილია შერმანდის ძე ებრალიძე, 17) მიხეილ სოლომონის ძე ჩხეიძე, 18) დავით გრიგოლის ძე ნასარიძე, 19) მიხეილ პეტრეს ძე ძაგანია, 20) ზაქარია სერგეის ძე ზალინოვი, 21) მიხეილ აბრამის ძე ჩილინგარიდი.

მე-4-ხე სამილიციო რაიონი. 1) ევგენი დავითის ძე არჩვაძე, 2) იასონ ივანეს ძე ფირცხალავა, 3) ლაზარ ისაკის ძე ფიშერი.

მე-5-თე სამილიციო რაიონი. 1) პავლე სტეფანეს ძე ვლუხოვსკი.

მე-7 სამილიციო რაიონი. აშოტ ოვანესის ძე თუმანიანი, 2) ჭიჭინაძე გიორგი სიფოს ძე, 3) მინას იაგორის ძე ტერუმოვი. **მე-9-ე სამილიციო რაიონი.** 1) იოსებ ანტონის ძე ტერ-გევონდიანც, 2) კლიმენტი ლავრენტის ძე ბოკერია, 3) ვლადიმერ სიმონის ძე ქავთარაძე, 4) კონსტანტინე გრიგოლის ძე ზარ-მომანოვსკი, 5) ვლადიმერ მოსეს ძე აბრამზონი, 6) მიხეილ ზაქარიას ძე მესროპოვი, 7) სტეპან სერგეის ძე ხახანოვი. **მე10-თე სამილიციო რაიონი.** 1) იოსებ იაკობის ძე ანშილევიჩ, 2) ნოე მაქსიმეს ძე ლეჟავა, 3) კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ჩხეტია, 4) დავით ივანეს ძე ვაშაკიძე, 5) ვასილ კაპიტონის ძე ანთაძე, 6) გიორგი ქრისტიფორეს ძე ჯავარიშვილი, 7) ივანე ვასილის ძე გორბაჩევი, 8) ვასილ მიხაილის ძე იტრიევი, 9) გუკას ალექსანდრეს ძე ხაჰაპურიძე, 10) სერგეი როსტომის ძე შავიშვილი, 11) ფილიპე პეტრეს ძე ვოგოშიძე. **მე-11-ე სამილიციო რაიონი.** ნიკოლოზ ლევის ძე კოზლოვსკი. **მე-12-ტე სამილიციო რაიონი.** შალვა ტარასის ძე გაჩეჩილაძე.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 1927 წლის მარტის 23-ს გარდაიცვალა ს. ს. რ. კავშირის სამეცნიერო აკადემიის წევრი - კორესპონდენტი დამსახურებული პროფესორი

პეტრე გრიგოლის ძე

მელიქიშვილი

საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატი ღრმა მწუხარებით იუწყება საკავშირო სამეცნიერო აკადემიის წევრ - კორესპონდენტის, თბილისის სახ. უნივერსიტეტის პირველი რექტორის, დამსახურებული პროფესორის

პეტრე გრიგოლის ძე

მელიქიშვილის

გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი საქ. პროფსაბჭოს მცირე დარბაზში 25 და 26 მარტს, საღამოს 6—8 საათზე, გამოსვენება ამავე დარბაზიდან კვირას, 27 მარტს, შუადღის 12 საათზე. დაკრძალვა სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება საკავშირო სამეცნიერო აკადემიის წევრ - კორესპონდენტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი რექტორის, დამსახურებული პროფესორის

პეტრე გრიგოლის ძე

მელიქიშვილის

გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი საქ. პროფსაბჭოს მცირე დარბაზში 25 და 26 მარტს, საღამოს 6—8 საათზე, გამოსვენება ამავე დარბაზიდან კვირას, 27 მარტს, შუადღის 12 საათზე. დაკრძალვა სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ოთხშაბათს, 23 მარტს, გარდაიცვალა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორი, სრულიად საკავშირო სამეცნიერო აკადემიის წევრი-კორესპონდენტი და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სამეცნიერო საბჭოს წევრი

პეტრე გრიგოლის ძე მელიქიშვილი

2—1 2191

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიო - ფარმაცევტიული დარგის მეოთხე კურსის სტუდენტობა ღრმა მწუხარებით აუწყებს ფართო საზოგადოებას მცხოვანი მეცნიერის, საკავშირო აკადემიის წევრის დამსახურებულ პროფესორის

პეტრე გრიგოლის ძე

მელიქიშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება საქართველოს პროფსაბჭოს მცირე დარბაზიდან კვირას, 27 მარტს შუადღის 12 საათზე. დაკრძალვა სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში. 2—1 ქვ. 2210

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტის მე-III და მე-IV კურსის სტუდენტობა **ულრმესი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას საკავშირო სამეცნიერო აკადემიის წევრ - კორესპონდენტის, დამსახურებული პროფესორის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი რექტორის**

პეტრე გრიგოლის ძე

მელიქიშვილის

გარდაცვალებას.

2—1 ქვ. 2212

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო დარგის მე-2-რე კურსის სტუდენტობა ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას საკავშირო აკადემიის წევრ-კორესპონდენტის და ძვირფას მასწავლებლის

დამსახ. პროფ. **პეტრე მელიქიშვილის**

გარდაცვალებას. 2214

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგ. ფაკ. საბუნებისმეტყველო დარგის **მეხამე** კურსის სტუდენტობა ღრმა მწუხარებით იუწყება მათი დიდი მასწავლებლის, საკავშირო სამეცნიერო აკადემიის წევრ-კორესპოდენტის და დამსახურებული პროფესორის

პეტრე მელიქიშვილის

გარდაცვალებას. 2204

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიურ ფაკულტეტის, საბუნებისმეტყველო დარგის მე-4 კურსის სტუდენტობა ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას მხცოვანი მეცნიერის და საყვარელ მასწავლებლის

დამსახ. პროფ. **პეტრე მელიქიშვილის**

გარდაცვალებას ნ. 2203

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტობა ღრმა მწუხარებით იუწყება უნივერსიტეტის პირველი რექტორის, ამავე ფაკულტეტის ყოფილი დეკანის და დამსახურებულ პროფესორის

პეტრე გრიგოლის ძე მელიქიშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება საქ. პროფ. საბჭოს მცირე დარბაზიდან კვირას, 27 მარტს, შუადღის 12 საათზე, დაკრძალვა სახ. უნივერსიტეტის ეზოში. (ეე)

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტები ღრმა მწუხარებით იუწყებიან აგრონომიულ ფაკულტეტის ყოფილ დეკანის და ძვირფასს ხელმძღვანელის დამსახურებულ პროფესორის

პეტრე გრიგოლის ძე მელიქიშვილის

გარდაცვალებას. ნ. 822

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტეხნიკური ფაკულტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება დამსახურებული პროფესორის

პეტრე გრიგოლის ძე

მელიქიშვილის

გარდაცვალებას. 2—1

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თვალთა სნეულების კლინიკა ღრმა მწუხარებით აუწყებს ფართო საზოგადოებას საკავშირო სამეცნიერო აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორის

პეტრე გრიგოლის ძე მელიქიშვილის

გარდაცვალებას. 2213

პროფესორ პეტრე მელიქიშვილის სახელობის 1-ლი ქიმიური ტექნიკუმის პედაგოგიური საბჭო და მოსწავლე ახალგაზრდობა ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას თავის საყვარელ და პატივცემულ ხელმძღვანელის დამსახურებულ პროფესორის და აკადემიკოსის

პეტრე გრიგოლის ძე

მელიქიშვილის

გარდაცვალებას 3—1 ნ. 875

თბილისის ინდუსტრიალური ტექნიკუმის პედაგოგიური საბჭო და მოსწავლე ახალგაზრდობა ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას დამსახურებული პროფესორის

პეტრე გრიგოლის ძე

მელიქიშვილის

გარდაცვალებას. 2206

საქართველოს ტეხნიკური საზოგადოების გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება **საზოგადოების საპატიო თავმჯდომარის,** საკავშირო აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, დამსახურებული პროფესორის

პეტრე გრიგოლის ძე

მელიქიშვილის

გარდაცვალებას 2207

სრულიად საქართველოს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება საზოგადოების მხცოვანი წევრის და საპატიო თავმჯდომარის, დამსახურებული პროფესორის

პეტრე გრიგოლის ძე

მელიქიშვილის

გარდაცვალებას 2205

პროფესორ პეტრე მელიქიშვილის სახელობის თბილისის ქიმიური ტექნიკუმი ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ 26 მარტს, შაბათს, დილის 12 საათზე დანიშნულია ტექნიკუმის დარბაზში (სამოსწავლო შესახვევი № 2—4), სამოქალაქო პანაშვიდი ძვირფას და დაუვიწყარ ხელმძღვანელის, დამსახურებულ პროფესორ და საკავშირო აკადემიის წევრ-კორესპონდენტის

პეტრე გრიგოლის ძე მელიქიშვილის

გარდაცვალების გამო. ნ. 886

საზოგადოება საქართველოს „ავიაქიმის“ პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით აცნობებს საზოგადოების ყველა წევრებს, რომ ა. წ. 23 მარტს, საღამოს 8 საათზე გარდაიცვალა საზოგადოების საბჭოს აქტიური წევრი, ქიმიური სექციის საპატიო თავმჯდომარე და საყვარელი ხელმძღვანელი (დღიდან საზოგადოების დაარსებისა) საკავშირო სამეცნიერო აკადემიის წევრი-კორესპონდენტი დამსახურებული პროფესორი

პეტრე გრიგოლის ძე მელიქიშვილი

2217

ღრმა მწუხარებით აღნიშნავს და გლოვობს რუსთაველის სახელმწიფო თეატრი კულტურის ქვაკუთხედის და მეცნიერების დარგში დიად წარმომადგენლის

პეტრე გრიგოლის ძე

მელიქიშვილის

დაკარგვას. 2—1 ნ. 889

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ მარტის 22 გარდაიცვალა კავშირის წევრი დამსახურებული მწერალი და საზოგადო მოღვაწე

არტურ ლეისტი

გამოსვენება მოხდება ხელოვნების სასახლიდან დღეს, მარტის 26-ს ნაშუადღევის 3 საათზე. დაკრძალვა მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, დიდუბეში. ნ. 876

ქართველ მწერალთა აკადემიური ასოციაცია მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ მარტის, 22-ს გარდაიცვალა ასოციაციის წევრი დამსახურებული მწერალი და საზოგადო მოღვაწე

არტურ ლეისტი

გამოსვენება მოხდება ხელოვნების სასახლიდან დღეს, მარტის 26-ს ნაშუადღევის 3 საათზე. დაკრძალვა მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, დიდუბეში. ნ. 876

ქართველ ხელოვანთა კულტურული კავშირის მთავარი კომიტეტი (ხელოვნების სახლი) მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ გარდაიცვალა კავშირის წევრი დამსახურებული მწერალი

არტურ ლეისტი

გამოსვენება დღეს, 3 საათ. ხელოვანთა სასახლიდან (მაჩაბ. ქ. № 13). დაკრძალვა დიდუბის პანთეონში ნ. 876

რუსთაველის სახელმწიფო თეატრი მწუხარებით აღნიშნავს ქართულ კულტურის უანგარო მოსიყვარულის და მოამაგის

არტურ ლეისტის

დაკარგვას

გამოსვენება დღეს, 3 ს. ხელოვანთა სასახლიდან (მაჩაბ. ქ. № 13). ნ. 888

თავზარდაცემული და გულმოკლული მეუღლე მარიამ თეოდორეს ასული თავისი დით ფრედერიკათი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ, რომ მარტის 22-ს გარდაიცვალა დაუვიწყარი და საყვარელი

არტურ ლეისტი

გამოსვენება დანიშნულია ხელოვნების სასახლიდან (მაჩაბლის ქ. № 13) დღეს, მარტის 26-ს, ნაშუადღევის 3 საათზე. დაკრძალვა ქართველ მწერალთა პანთეონში, დიდუბეში. ნ. 890

ქართველების დიდ მეგობრის და დამსახურებულ საზოგადო მოღვაწის

მწერალ **არტურ ლეისტის**

გარდაცვალების გამო ულრმეს მწუხარებას გამოსთქვამენ განსვენებულის მოწაფენი ნ. ზ.

ნინა ივანეს ასული ერისთავი შვილებითურთ, ბიცოლებით და სიძით ულრმეს მადლობას უძღვნიან ქართულ მსროლელ დივიზიის 1-ლ და 2-ე საარტილერიო ლეგიონს, აგრეთვე იმ პირთ, ვინც პატივი სცა პირადის დასწრებით დასაფლავებაზე ან დეპეშით მათვის ძვირფას დაუვიწყარ ტრაღიკულად დაღუპულ

კოტე ერისთავს 2202

ნიკოლოზ გრიგოლისძე ჯავახიშვილი, შვილები—ალექსანდრე, ვერა, ელენე და თამარი, რძალი ზინაიდა ჯავახიშვილი, სიძეები—პლატონ საყვარელიძე, ბესარიონ ყავრიშვილი, და შვილისშვილები მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ მათი საყვარელი და დაუვიწყარი

ევა მაქსიმეს ასული ჯავახიშვილის

სულის მოსახსენებლად გადახდილ იქნება ნახევარი წლის პანაშვიდი კვირას, 27 მარტს, 12 საათზე ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. 2199

ღრმად დამწუხრებულნი ძმა ყარამან გაბრიელისძე ქუთათელაძე თავისი მეუღლით ვარვარა ივანეს ასული გიგიბერია-ქუთათელაძისა,; და ნატალია გაბრიელის ასული ქუთათელაძე-წულაიასი შვილებით; ძმის შვილები ევგენი და აპალონი ქუთათელაძეები თავისი მეუღლეებით ელეონორა და ვერა, დათიკო, კოწია, ლადო, ხუტა, მარუსია და ვერა აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს უეცრად გარდაცვალებას საყვარელ

მარიამ (მენიკო) გაბრიელის ასული

ქუთათელაძე-ხუხუნისა

რომლის დაკრძალვა დანიშნულია ვერის ახალი სასაფლაოზე კვირას 27 მარტს 3 საათზე. ცხედრის გამოსვენება პეთხაინის № 3 2211

მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 22 მარტს ღამის 2 საათზე გარდაიცვალა საყვარელი

ნადეჟდა არტემის ასული

ჯიბუტი-მამულოვისა

რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ მეუღლე სტეფანე მამულოვი, მშობლები არტემ და მარიამ, ძმები: მიშა და ვალოდია ჯიბუტები. სიძე პავლე ქორქოლიანი თავისი მეუღლით. სამოქალაქო პანაშვიდი დანიშნულია 26 მარტს საღამოს 6 საათზე დაკრძალვა მოხდება 27 მარტს კვირას ნაშუადღევის 3 საათზე. გამოსვენება ყუბანის ქუჩიდან № 8 2208

სახელმწიფო დრამა

3—1 ნ. 879

კვირას 27 მარტს უკანასკნელათ ამ სეზონში აზიანის

დეზერტირკა

კომედია 4 მოქმ.

სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი ალ. ახმეტელი.

აპოლლო ტელ. 7—61.

არფასტო ტელ. № 19—22.

სოლეი ტელ. 20—44.

დარბაზი ტელ. 14—03.

0—18 ნ. 748

სომხეთის კინოს ნაწარმოები

„ზარე“ რეჟისორი ბეკ-ნაზაროვი

ქურთების ცხოვრებიდან

სეზონის ახალი სურათი! პირველათ თბილისში ბარბარა, ლა-მარ სურათში

„მეკობრეთა შთამომავალნი“

პირველად თბილისში

„ცირკის ტყუპები“

„ნიბელუნგები“-ს გმირის პ ა უ ლ რ ი ხ ტ ე რ ი ს მონაწ.

ანონსი: მალე მხატვრული შედევრი „ს ო დ ო მ ი დ ა გ ო მ ო რ ა“

სახელმწიფო დრამა

შაბათს 26 მარტს ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ წარმოდგენა

ამერიკელი ძია ნ. შიუკაშვილის ორიგინალ. კომ. 4 მოქმ. და 3 ინტერმედ.

ოპერის და ცირკის მსახიობნი სტუმრათ „არშაკ მინაიჩთან“

1. „ლაქიების“ ინტერმედიაში—შარაშიძე და მრავალი.
2. „ჩანგალის“ ინტერმედიაში—ვიტინგი და ვოლჩანეცკაია.
3. კინტოების ინტერმედიაში „ჩტო ესტ ჩტო ბილო“ კინტოები სანდრო ინაშვილი და ლეო ტანტი.

მეორე მოქმ. ბანკეტი ამერიკელების საპატივცემლოდ

თამადა—სერგო ევლახოვი

თარჯიმნები: სანდრო ქორქოლიანი და ლეო ტანტი

სტუმრები ბანკეტზე: მესნიაევი, სპრიშევსკაია, სერგეევი და სახელ. ოპერის ბალეტი.

დადგმა: ალ. ახმეტელის. მხატვარი: მ. შავიშვილი

ყველა სეზონის ბილეთები და კონტრამარკები გაუქმებულია

2—1 ნ. 878 სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი ალ. ახმეტელი

ცირკი ძმ. ტანტების

ტელ. 16—67

წაიკითხეთ ჩვენი აფიშები!!

1—1 ნ. 880

ს.ს.ს. რესპ.დამსახ. მსახ. ძმ. ტანტების ხელმძღვანელობ.

დღეს, 26 მარტს,

საუკეთესო ნომრების სანახაობანი, დამსახ. არტ. ძმ. ტანტების მონაწილეობით. ფრანგული ჭიდაობის ჩემპიონატი გრძელდება

ჭიდაობს 4 წყვილი

გადამწყვეტი რევანში საბოლოო შედეგამდე ბორისოვის გამოწვევით

ბორისოვი—კ. ბულ გურსკი—ჟელეზნიაკ

მეორე წყვილი შულც—ბუმბერაში ზოტი იაუნზე—სკარბე

კვირას, 27 მარტს, ყველასთვის ხელმისაწვდომი საბავშვო დილა, საჩუქრების დარიგება. დასაწყისი ნაშუადღევის 1 საათზე

ადმ. ხელმძღვანელი მ. ი. ტადე.

სახელმწიფო ოპერა

ნ. 884

კვირას, 27 მარტს დილით: მე-2 აბონემენ. მე-9 წარმოდგენა **ტრილბი**

საღამოთი **სამსონ და დალილა**

სამშაბათს, 29 მარტს, პირველ აბონიმენტის მეათე წარმოდგენა

ლოენგრინ

თბილისის აღმასკომის ტეხნიკური განყოფილება

აცხადებს, რომ 7 აპრილს ხუთშაბათს, ნაშუადღევას 2 საათზე ოთახში № 328 შესდგება

საჯარო ვაჭრობა

პირველ საქალაქო კლინიკურ ინსტიტუტის (კამოს ქ. № 103), ქირურგიულ და ტერაპევტიულ განყოფილებების შენობის ასაგებ სამუშაოთა გასაცემათ.

განცხადებები დახურულ პაკეტებში ჩაშვებულ უნდა იქნეს საჯარო ვაჭრობის ყუთში. განყოფილება იტოვებს უფლებას წერილობითი საჯარო ვაჭრობის შემდეგ მოაწყოს ზეპირი ხელ ახალი საჯარო ვაჭრობა. საჯარო ვაჭრობის შესახებ კონდიციების და ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება ოთახში № 338.

განცხადებას თანდართული უნდა ექნას ქვითარი ქალაქის აღმასკომის სალაროში განცხადებული თანხის 10 პროცენტის შეტანის შესახებ გირაოს სახით.

ტეხნიკური განყოფილების გამგე ინჟინერი **ლეჟავა.**

ნ. 891

სომხეთის სახვაჭროების სამმართველოში

მნიშვნელოვანად დაკლებულია ფასები

ტყავეულის ყველა საქონელზე:

ოდესის ლანჩა 1927 წ. 1 იანვ. ღირდა 2 მ. 80 კ.—1927 წ. 15 მარტს 2 მ. 70 კ. კილო.

ხრომი შავი ბოგოროდის მეორე ხარისხის 1927 წ. 1 იანვ. ღირდა 1 მ. 15 კ.—1927 წ. 15 მარტს 1 მ. 05 კ. ფუსი.

ხრომი ფერადი ბოგოროდის მეორე ხარისხის 1927 წ. 1 იან. ღირდა 1 მ. 55 კ.—1927 წ. 15 მარტს 1 მ. 40 კ. ფუსი.

მამაკაცის ფეხსაცმელი რუსული ხრომის ვინტ. 1927 წ. 1 იანვ ღირდა 11 მ. 50 კ.—1927 წ. 15 მარტს 10 მ. 50 კ.

მამაკაცის ფეხსაცმელი საზღვარგარეთეული და რანტიანი 1927 წ. 1 იანვ. ღირდა 15 მ. 40 კ.—1927 წ. 15 მარტს 14 მ. ნ. 882

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 29 მარტს, 1927 წ. დღის 3 საათზე სახლში № 152 ელისაბედის ქ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ამხ-ბა „ტრიოხგორნი“-ს მოძრავ ქონებას: ერთ რკინის ბოჭკით № 121 43 ვედრო $43_2|^{10}$ 4190 გრადუსის სპირტს შეფასებულს 1000 მანეთად, მოქ. კვიტაშვილის და სხვ. ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 11 იან. 26 თებ. 13 იან. 4 თებ. 30 მარტს 1926 წ. თარიღით, № 71 (638) 94—390—159 გაცემულ აღსრულებელ ფურცლისა. ნ. 887

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

სამკურნალო

საწოლებით

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—21

ექიმი ი. ი. გერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

ექიმი

გ. ნ. ონანოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულობანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა

ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 3.

ექიმი

ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.

რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—19

ექ. ი. მ. გაპრინდაშვილი

პლეხანოვის პროსპექტი № 65 იღებს სპეციალურათ ვენერიულ სიფილისით და კანით ავადმყოფებს.

დილით 7 ნახ.—8 ნახ. საღამოს 5—8 საათამდე.

სათვალეების მორგება

უ ფ ა ს ო დ

ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 3—63. 25—1

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი

შინაგან, ბავშთა და ქალთა ავადმყოფობანი

ღებულობს 5—7 საათზე. სომხის ბაზარი № 3, თავისუფლების მოედნიდან მეორე სახლი

დავკარგე სამხ. საარიცხვო ბარათი № 1532 მიხეილ ვასილისძე სალდაძისსახელზე, ჩ. გ. 2198

დავკარგე პირადობას მოწმობა № 6, გაცემული მე-2-რე შრომის სკოლის მიერ, გრიგოლი კონსტანტინესძე გიორგაიას სახელზე, ჩ. გ. 2200

დავკარგე პირადობის მოწმობა გიორგი მიხეილისძე ინასარიძეს სახელზე 2201

დავკარგე პირადობის მოწმობა, გაცემული მე-9-რე სამილიციო უბნის სამმართველოდან, ანდრია იაკობისძე ჰიაბრიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2209

დავკარგე დამზღვევი სალაროს წიგნაკი № 4959 ზურაბ წირეთლის სახელზე, ჩ. გ. 2218

ალმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.